პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76)მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

საქ. სს. ს. ... ბიბლიოთეკა

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

- პენლევეს ფინანსიური პროექტი საფრანგეთის პარტიებმა არ მიიღეს.
- შვეციის და ნორვეგიის მელითონეებმა დელეგაცია გამოგზავნეს საბჭოთა კავშირში.
- გერმანიის ნაციონალისტებში განხეთქილება ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო.
- დაიწყო ტატარბუნარის აჯანყების მონაწილე გლეხების გასაართლება.

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 260 (1415)

დღეს 12 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. სახალხო სახლი) გაიხსნება

თბილისის სამაზრო-საქალაქო მეექვსე პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. პარტიის მორიგი საკითხები მომხ. **ამხ. ს. ორჯონიკიძე**, 2. თ. კ. ანგარიშები—მომხ. **ამხ. მ. კახიანი**, 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4. სოფლად მუშაობის შესახებ—მომხ. **ამხ. სვანიძე**, 5. პროფკავშირების მუშაობის შესახებ— **ამხ. ყურულაშვილი**, 6. წარმოებაზე—**ამხ. ჟოჟიკაშვილი**, 7. პარტმუშაობაზე 8. არჩევნები.

თბ. კომიტ. მდივანი—**მიხ. კახიანი.**

დღევანდელი კონფერენციისათვის

მნიშვნელობა თბილისის საქალაქო-სამაზრო პარტიული კონფერენციის, რომელიც დღეს იხსნება, არ შემოიფარგლება ჩვენი დედა-ქალაქის და მისი მაზრის ფარგლებით. თბილისის ორგანიზაცია თავისი შემადგენლობით და ხვედრი პოლიტიკური წონით წარმოადგენს მთელი რესპუბლიკის ორგანიზაციების ხერხემალს, მოწინავე რაზმს და თავისი მუშაობით ტონს აძლევს უკანასკნელთ, აგრედვე შეძლებისდაგვარად და საჭიროების მიხედვით თავისი რიგებიდან გამოცდილ ხელმძღვანელ ამხანაგებს აწვდის მათ.

ჩვენს სასოფლო სამეურნეო ქვეყანაში თბილისი უმთავრესი პროლეტარული ცენტრია, და აქ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დგომა თავის დანიშნულების სიმაღლეზე, მისი მხრით სწორი ხელმძღვანელობის განხორციელება მუშათა მასების მიმართ ერთ-ერთი უტყუარი საწინდართაგანია, რომ ჩვენი მუშათა კლასი უფრო განამტკიცებს თავის გავლენას გლეხობაზე და დაიცავს მასთან მჭიდრო კავშირს.

თბილისის ორგანიზაცია ბოლო ხანებში მნიშვნელოვანად გაიზარდა როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივად. მისი გაძლიერება უმთავრესად ხდებოდა წარმოებაში უშუალოდ ჩაბმულ მუშების ხარჯზე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა თბილისის პროლეტარული მასსები და ისინი თავის გავლენის ქვეშ მოაქცია. საგრძნობლად აიწია პარტიის წევრთა კულტურულმა დონემ და პოლიტიკურმა შეგნებამ. დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული მათ შორის ტეხნიკურ და პოლიტიკურ უცოდინარობის მოსასპობად. გაიზარდა პარტიის წევრთა აქტივობა; ისინი ცხოველ მონაწილეობას იღებენ მიმდინარე საკითხების განხილვაში. ეს, სხვათა შორის, ნათელჰყო ეხლახან ჩატარებულმა რაიონულმა კონფერენციებმა.

ორგანიზაციის შემდგომი გაძლიერება პროლეტარული ელემენტებით, დაზგასთან მდგომ მოწინავე მუშებით, პარტიის წევრთა ცოდნის და პოლიტიკურ შეგნების უფრო გაღრმავება, მათი ლენინური აღზრდა, შინა-პარტიული დემოკრატიის განვითარება, უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება მთელ უპარტიო მუშათა მასებთან,—ასეთია მორიგი ამოცანები.

შინა-პარტიული მდგომარეობის განმტკიცება ძირითადი პირობაა, რომ პარტიამ შესძლოს იმ ამოცანების გადაჭრა, რომელთაც აყენებს დღევანდელი სინამდვილე.

პირველ რიგში აქ ჩვენ გვინდა შევეხოთ პროფკავშირების მუშაობის გამოცოცხლების საკითხს, რომელსაც თბილისისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც აქაა თავმოყრილი პროფკავშირთა მთავარი მასსა. ბოლო დროს ამ საგანზე საკმაოდ ბლომად დაიწერა. ამაზე გვაქვს უმაღლეს პარტიულ ორგანოების დადგენილებებიც. სწორი ურთიერთობის დამყარება პარტიულ და პროფორგანოებ შორის, პირველთა მხრით წვრილმანი ჩარევის დაუშვებლობა უკანასკნელთა საქმიანობაში, სამაგიეროდ საერთო პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება ფრაქციების საშუალებით, პროფკავშირების გადაქცევა მუშების ინტერესების ნამდვილად დამცველ და მათი მასიურ თვითმოქმედების ორგანოებად, მუშათა მასების დაკავშირება მათთან და ამ გზით მთელ პარტიასთან,—ეს ამოცანები უნდა შეიგნოს პარტიის ყოველმა უჯრედმა, პარტიის თვითეულმა წევრმა და ამის მიხედვით წარმართოს თავისი ყოველდღიური მუშაობა.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას მოხსენება წარმოების შესახებ. ყველასათვის უდავოა, რომ მრეწველობის აღორძინების და გაფართოვების დარგში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ მხრივ აწი გაცილებით უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენი მრეწველობის პროდუქცია ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის, პირველ ყოვლისა გლეხობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ჩვენ მოკლე ხანში უნდა დავსძლიოთ საქონლის ნაკლებობა. პარტიის და ხელისუფლების ორგანოები ამისათვის იღებენ ყოველგვარ ზომებს. მთელი პარტია, ყოველი მისი უბრალო წევრი, უნდა იცნობდეს მრეწველობის აღდგენის დარგში მიღწეულ შედეგებს, უფრო კი მიღებულ თუ მისაღებ ღონისძიებებს მისი უფრო გაფართოვებისათვის. საჭიროა პარტიულ აზრის ამოძრავება წარმოების საკითხების გარშემო. კერძოდ მრეწველობის განვითარებისათვის მცირე მნიშვნელობა არა აქვს სამეურნეო ორგანოებისადმი პარტუჯრედების და პროფორგანიზაციების მხრით მიზანშეწონილ დამოკიდებულების დამყარებას. ისინი, რა თქმა უნდა, უშუალოდ არ ერევიან სამეურნეო ადმინისტრაციის საქმიანობაში, მაგრამ ამავე დროს საფუძვლიანად უნდა ერკვეოდენ ფაბრიკა-ქარხნების მდგომარეობაში, ცხოვლად უნდა იყვნენ დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების აწევით, წარმოების რაციონალიზაციით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით და სხ.

კონფერენცია თავის მსჯელობის საგნად გაიხდის სოფლად მუშაობის საკითხებს. ამას აქვს მნიშვნელობა არა მარტო იმიტომ, რომ თბილისის ორგანიზაცია გლეხურ უჯრედებსაც აერთიანებს, არამედ იმიტომ, რომ სოფლად მუშაობის გაძლიერება პარტიის უმთავრესი ლოზუნგთაგანია, რომელსაც თბილისის ორგანიზაცია გვერდს ვერ აუხვევს, როგორც ჩვენი პარტიის ავანგარდი. საბჭოების გამოცოცხლება, საბჭოთა დემოკრატიის განხორციელება, საშუალო და ღარიბ გლეხობის კავშირის განმტკიცება, კულაკობის განაპირება, სოფლის საწარმოო ძალების ჩაყენება სოციალისტურ კალაპოტში, ფართე დახმარების აღმოჩენა ღარიბ გლეხობისათვის, სოფლის აქტივის შემოკრება, პარტიის ირგვლივ, მისი მოწინავე ელემენტების შეყვანა პარტიაში, პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება სოფლის საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ და მრავალი სხვა,—აი საითკენაა მიმართული ჩვენი ყურადღება. თბილისის ორგანიზაციას და მასთან დაკავშირებულ მუშათა მასსებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ არა მარტო თბილისის მაზრის, არამედ მთელი რესპუბლიკის გლეხობისათვის კულტურულ და მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად, მასზე პოლიტიკურ-იდეურ ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

თბილისის ორგანიზაცია თავის მორიგ კონფერენციაზე გამოიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს თავის რიგების უფრო განსამტკიცებლად და ყველა იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც აყენებს ეხლანდელი სინამდვილე. თბილისის ორგანიზაცია ყოველთვის იდგა მოწინავე პოზიციებზე და, ეჭვს გარეშეა, იგი ეხლაც არ უღალატებს თავის ბრწყინვალე წარსულს და თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს.

პენლევე კაიოს გზით

„ფინანსიურმა კრიზისმა იმდენად დაჩრდილა პარიზში ყველა დანარჩენი პოლიტიკური საკითხები, რომ ამ ჟამად აღარ ლაპარაკობენ ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაციის (დამტკიცების) შესახებაც კი",—აი რას გადმოგვცემს დღევანდელი დეპეშა. მართლაც, მდგომარეობა მეტად სერიოზულია, საფრანგეთი ფინანსიური კატასტროფისაკენ მიექანება და გამოსავალი თითქო არსად სჩანს.

ჩვენ ამას წინედ ცალკე წერილი უძღვენით საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას, სადაც საკმაოდ ვრცელი ცნობები გვქონდა მოყვანილი ამ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტიანობის, მისი საშინაო და საგარეო დავალიანების, მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის სიმძიმის შესახებ. აქ ზედმეტად მიგვაჩნია ნათქვამის განმეორება.

როგორც ვიცით, ფინანსიურ კრიზისმა იმსხვერპლა ჟოზეფ კაიო, რომელზე დამყარებული იმედები ოდნავათაც არ გამართლდა. კაიომ შეუძლებელის განხორციელება მოინდომა: საფრანგეთის დაცალიერებული ხაზინის ავსება ისე, რომ ხელი არ ეხლო მსხვილი ბურჟუაზიის ჯიბისათვის. და აკი ამიტომაც ფრანკმა სულის ლაფვა დაიწყო, მისი კურსი დღით-დღე ეცემოდა.

„განახლებულ" მთავრობაში ფინანსთა მინისტრის პორტფელი პენლევემ აიღო. მოვისმინეთ მისი დეკლარაციაც. მთავრობის კრიზისის წინ და მის განმავლობაში „მემარცხენე" ბლოკი ერთგვარ „რადიკალიზმს" ამჟღავნებდა, მომავალი კაბინეტისაგან მოითხოვდა კაპიტალის დაბეგვრას. მსხვილი მრეწველების და ბანკირების აგენტის, კაიოს გადადგომაც პოლიტიკის თითქო მარცხნივ გადახრას ნიშნავდა. მაგრამ დღეს გულუბრყვილოთათვისაც ცხადი ხდება, რომ არსებითად არავითარი ცვლილება არ ხდება. პენლევე მისდევს კაიოს გატკეპნილ გზას. მის დეკლარაციაში ძალიან ბუნდოვანად იყო ნათქვამი, რომ შეძლებულმა კლასმა უნდა გაიღოს მსხვერპლი ქვეყნის ფინანსიურ კრიზისის დასაძლევადო.

მაგრამ როცა ჯერი საქმეზე მიდგა, როცა საჭირო შეიქნა ამ ბუნდოვანობის მაგიერად გარკვეული ფინანსიური კანონპროექტის შედგენა, მსხვილი კაპიტალის დაბეგვრის ლოზუნგი სადღაც გაჰქრა, შეძლებული კლასის მიერ „მსხვერპლის" გაღებაზე ლაპარაკი დავიწყებას მიეცა და ხელში შეგვრჩა ისევ ქაღალდის ფულის გამოშვება (ინფლიაცია) და მომხმარებელ მოსახლეობის, მშრომელი მასის და წვრილი ბურჟუაზიის დაბეგვრა.

„მემარცხენე ბლოკის პარლამენტალურ" წრეებში პენლევეს ასეთმა ფინანსიურმა „რეფორმამ" ერთგვარი „უკმაყოფილება" გამოიწვია. კერძოდ „სოციალისტებმა" პალატის ფინანსიურ კომისიაში გაილაშქრეს ინფლიაციისა და ჩვეულებრივი გადასახადების გადიდების წინააღმდეგ და მოითხოვეს კაპიტალის დაბეგვრა.

არავინ იფიქროს, რომ „სოციალისტების" ასეთი პოზიცია მტკიცე და ურყევი იყოს. როგორც ვიცით „სოციალისტური" პარტიის საბჭომ მეტად ორჭოფული რეზოლიუცია გამოიტანა პენლევეს კაბინეტთან დამოკიდებულების საკითხის შესახებ. ხსენებული საბჭო, ერთი მხრივ, „ნდობას ვერ გამოუცხადებს კაბინეტს", მაგრამ „ამავე დროს საპარლამენტო ფრაქციას პალატაში ენდობა გადაჭრა საკითხის—გამოუცხადოს მან უნდობლობა მთავრობას მის წინააღმდეგ ხმის მიცემით, თუ თავი შეიკავოს კენჭის ყრის დროს". ეს ორმაგი ბუხჰალტერიაა და არსებითად ნიშნავს მთავრობისათვის მხარის დაჭერას, ვინაიდან, თუ სოციალისტური ფრაქცია თავს შეიკავებს, ამით პენლევეს კანონპროექტი გავა პალატაში. როგორც ირკვევა, სოციალისტური ფრაქცია ბოლოს მაინც დასთანხმდება „დროებითი ინფლიაციაზე", სხვადასხვა სიტყვიერ დაპირებათა მიღების საფასურად, ყოველ შემთხვევაში პენლევეს წინააღმდეგ არ გაილაშქრებს.

ამგვარად, პენლევემ ვერავითარი წამალი ვერ გამონახა უიმედოდ დასნეულებულ ფრანკის განსაკურნავად, „ახალი" მთავრობის მარცხნივ გადახრა ზღაპარი აღმოჩნდა, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, კაიოს გადადგომაც მშრომელ მასსებისთვის თვალის ასახვევი ფანდი გამოდგა, რათა „მშვიდობიანად" დამთავრებულიყო მთავრობის კრიზისი.

„სოციალისტები" ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, იჩენენ სრულ უილაჯობას, ისინი ვერ ბედავენ გადაჭრილი ნაბიჯების გადადგმას მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის ტყვეობაში ფაქტიურად იმყოფება „მემარცხენე" ბლოკი.

აღსანიშნავია, რომ ნაციონალური ბლოკი თანხმობას აცხადებს მხარი დაუჭიროს პენლევეს პროექტებს, მხოლოდ პირობათ აყენებს „ნდობის აღდგენას", რის განხორციელება მისი აზრით შეუძლია მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელიც იმოქმედებს „ნაციონალი ღირსების დაცვის" მიმართულებით. თუ მემარჯვენები იწონებენ პენლევეს ფინანსიურ რეფორმას, ცხადი ხდება მისი ნამდვილი ხასიათი,—იგი მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ და თითქმის ხელუხლებლად სტოვებს მსხვილ ბურჟუაზიის მოგებას.

საგულისხმოა, რომ ნაციონალური ბლოკი ძლიერდება კაიოს გადადგომით, მისი ჯგუფი ოპოზიციაში უდგება დღევანდელ კაბინეტს. მილიერან პუანკარე ნიადაგს ამზადებენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. [illegible] შემთხვევაში [illegible] თავის საქმეს.

ყველაფერი ეს ხდება სოციალისტების გამყიდველობის და „მემარცხენე" ბლოკის უსუსურობის, მერყეობის გამო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პენლევეს მთავრობას ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია, ფინანსიური კრიზისი მას ბოლოს მოუღებს. რა პოლიტიკური კომბინაციები შეიქმნება ახლო მომავალში, ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. ერთი რამ ცხადია: მხოლოდ მსხვილი კაპიტალის საფუძვლიან დაბეგვრას და სამხედრო ხარჯების საგრძნობ შემცირებას შეუძლია დროებით მაინც და ნაწილობრივ გამოაკეთოს საფრანგეთის მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია ბურჟუაზიულ საფრანგეთის სრული გაკოტრება და მისი გადაქცევა ამერიკის საწველ ფურად, როგორც ეს მოუვიდა გერმანიას.

ისევ საბჭოთა კანონიერების შესახებ

ძველი დროის მართლმსაჯულებასთან შედარებით, თუ კი არსებობდა მაშინ რაიმე მართლმსაჯულება, საბჭოთა იუსტიციის და ადმინისტრაციის მუშაკებს, სხვათა შორის, ერთი დიდი უპირატესობა აქვთ. ესაა მასის თვითმოქმედების გაღვიძება, მშრომელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა რევოლიუციონურ კანონიერების დაცვა-გატარებაში.

საბჭოთა საზოგადოებრივობის პირობებში მუშა და გლეხი ერთგულ დარაჯათ უდგას მის მიერ შექმნილ კანონმდებლობის სიმტკიცეს და ყოველი სახის ბოროტმოქმედებას მასის მამხილებელი თვალი და ყური მუდამ თან სდევს. ამის დამამტკიცებელი მაგალითებით მდიდარია საბჭოთა მართლმსაჯულების პრაქტიკა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სასამართლოს და ადმინისტრაციის აპარატი სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს მას ეკონომიურ წინსვლელობით შექმნილი ცხოვრების ახალი პირობები და მშრომელი მასის რევოლიუციონურ კანონიერების თვითშეგნება.

საზოგადოდ, როცა რევოლიუციონურ კანონიერების გატარება-განმტკიცებაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებათაა გადაქცეული ამ კანონიერების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლულევანებათა უმრავლესობის, სამხედრო კომუნიზმის ხარჯზე მიწერა. თუ ეს დებულება მართალია რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ, მას ყველაზე ნაკლები ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის სინამდვილისათვის. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო კომუნიზმის ტრადიციებს ჩვენში ბევრად უფრო ნაკლები ნიადაგი აქვს, ვიდრე ეს არის საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა რესპუბლიკაში და პირველყოვლისა თვით რუსეთში.

ამნაირად ჩვენს პირობებში ადმინისტრაციის და იუსტიციის მუშაკთა მოღვაწეობაში არსებულ ნაკლულოვანებათა ახსნის დროს სამხედრო კომუნიზმის მავნე გავლენას ვერ მივაკუთვნებთ იმ ადგილს, როგორც ეს შეიძლებოდა გვექნა სხვა რესპუბლიკების მიმართ. ნებსით თუ უნებლიე ცოდვები, რომელიც იწვევს რევოლიუციონურ კანონიერების დამახინჯებას, უმთავრესად სხვაგან უნდა ვეძებოთ.

პირველყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საერთო ნივთიერ ხელმოკლეობას. ადმინისტრატიული და სასამართლო ორგანოების ქსელის გაძლიერებისათვის ზრუნვა, რომშიც ასეთი დიდი მოთხოვნილებაა სოფლად და ქალაქად, ეხეჩება ჩვენს საერთო უსახსრობას და აუცილებლობით გამოწვეულ ხელმომჭირნეობას. აქედან გამომდინარეობს სახალხო მოსამართლეების და გამომძიებლების საქმეებით არაჩვეულებრივი დატვირთვა, რასაც შედეგათ მოსდევს გამოძიების ან გასამართლების ზოგჯერ იმდენათ გაჭიანურება-დაგვიანება, რომ აღძრული საქმე ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ფასს.

ეს, რა თქმა უნდა, ერთი საგრძნობი ნაკლია ჩვენს სასამართლო ორგანოების მუშაობაში, რომელიც გულს უცრუებს მშრომელ მოსახლეობას საბჭოთა კანონიერებისადმი. ისიც ცხადია, რომ მძიმე მატერიალური პირობები, რომელშიაც იმყოფებიან იუსტიციის ადგილობრივი მუშაკები, ფაქტიურათ სახალხო მსაჯულთა შრომის უსასყიდლობა და სხვა თავის დაღს ასვამს სასამართლოს ორგანოების ნორმალურ მუშაობას.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მეტად ძნელია სასამართლოს საჩვენებელი სხდომების ხშირად გამართვაზე ლაპარაკი და კიდევ უფრო ძნელია ამ სხდომების სოფლიდან-სოფელში გადატანაზე ზრუნვა. ამას კი, როგორც ვიცით, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის.

გარდა ამისა საქმეებით ზედმეტად დატვირთულ სასამართლოს ორგანოების ადგილობრივ მუშაკებს ჯერ ერთი არ გააჩნიათ პროფესიონალური ლიტერატურა, და რომც იყვეს ასეთი, მათ დრო არა რჩებათ ამ ლიტერატურის თვალის სადევნებლათ.

ამნაირათ იუსტიციის ძირითადი მუშაკები ცხოვრებას უკან რჩებიან და მათ შორის [illegible] ფეხს იდგამს კანონმდებლობის აზრისა და შინაარსის უცოდინარობა.

ის, რაც ითქვა სასამართლოს ორგანოების მუშაკებზე, თითქმის სავსებით მისაღებია ჩვენი ადმინისტრაციის მუშაკთა მიმართ. ამით უნდა ავხსნათ უმთავრესად ის მავნე გადახრა, რომელსაც ჯერ კიდევ საკმაოთა აქვს ადგილი ჩვენი ადმინისტრაციის მუშაობაში.

თავის თავად ცხადია, რევოლიუციონურ კანონიერების გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერ უზრუნველყოფის კითხვას, მაგრამ არის კიდევ სხვა მიზეზებიც, რომელნიც არანაკლებ უარყოფით გავლენას ახდენენ ამ კანონიერების ცხოვრებაში უმტკივნეულად გატარებაზე. ესაა ადმინისტრაციის და სასამართლოს ორგანოების პი[illegible]ხვა. ამ მხრივ ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა გვიძევს წინ. ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი ისეთ მდგომარეობას, როცა კანონიერების დარაჯნი, თვით გამოდიან კანონიერების დამრღვევის როლში. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობთ უფლების გადაჭარბებაზე, ან ფუნქციების უბრალო არევ-დარევაზე. ამასაც, რასაკვირველია, შეაქვს თავის წვლილი რევოლიუციურ კანონიერების დეზორგანიზაციის საქმეში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აშკარა, სისხლის სამართლის ხასიათის შეუწყნარებელი ბოროტმოქმედება, რომელსაც აქა იქ სჩადიან თვით კანონიერების დაცვისათვის მოწოდებული პირები.

მართალია, ამ სენს უკანასკნელ ხანებში უფრო ნაკლებათა აქვს ადგილი, მაგრამ საჭიროა მისი ძირბუდიანათ და საბოლოოთ აღმოფხვრა. ეს კი ბევრ შემთხვევაში დამოკიდებულია ადმინისტრაციის და სასამართლოს მუშაკთა უფრო ფრთხილ და წინდახედულ შერჩევაზე.

ჩვენ ფეხი შევდგით სოციალისტურ აღმშენებლობის მშვიდობიან გზაზე. საბჭოთა ხელისუფლება დღითი დღე მტკიცდება ეკონომიურათ და პოლიტიკურათ. ამ ხელისუფლების ავტორიტეტის და გავლენის ზრდისათვის რევოლიუციურ კანონიერების ცხოვრებაში ურყევათ გატარებას ზედმიწევნით დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით რთულდება სასამართლოს და ადმინისტრაციის მუშაობა სამოქალაქო ზავის, მშვიდობიან მშენებლობის პირობებში.

ახალი მიღწევები სამეურნეო დარგში ბუნებრივათ იწვევს უფლებამოვალეობათა ნორმების ცვალებადობის და განვითარების საჭიროებას. ცხოვრება ახალსა და ახალ მოთხოვნილებებს უყენებს სასამართლოს და ადმინისტრაციის მუშაკებს.

რომ მათ პირნათლათ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა და ამით ხელი შეუწყონ რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებას, ამისათვის საჭიროა იმ მთავარ მიზეზების თავიდან აცილება, რომელიც დღესაც აფერხებს საბჭოთა კანონმდებლობის ცხოვრებაში უმტკივნეულოთ გატარებას.

ს. ზ—ლი.

სამოქალაქო ომის გამწვავება ჩინეთში

სახალხო არმიამ ომი გამოუცხადა ჩჟან-ცზო-ლინს

ჩჟან-ცზო-ლინის ჯარებში დაიწყო არეულობა

შანხაის პოლიცია თავს დაესხა პროფკავშირების შენობას

პრეზიდენტი დუან-ძი-ჩჟუი აპირებს გაქცევას

მუკდენის ჯარები უკან იხევენ

პეკინი, 10 ნოემბ. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ ცინდაოდან: „ჩჟან-ცზო-ლინის ჯარები უკან იხევენ, რადგან ხუ ჩჟოუ-ფუში გამოჩნდენ მეორე სახალხო არმიის ჯარები. უკან გამობრუნებული არმია ძარცვავს მოსახლეობას. **შანდუნის სამხედრო გუბერნატორი ჩჟან-ცზო-ლინის მომხრე ჩჟან-ჩჟუნ-ჩჟანი უნდოდათ მოეკლათ მის პირად მცველებს: გენერალი მძიმედ არის დაჭრილი.**

ჩჟან-ცზო-ლინის დივიზიის გენერალი სუნ-ჩჟან-სენი დახვრიტეს მისივე ჯარისკაცებმა.

ცინდაოში დიდი მღელვარება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩჟან-ცზო-ლინის 20,000 ჯარისკაცი უახლოვდება რკინისგზას.

ფინ-იუი-სიანმა ომი გამოუცხადა ჩჟან-ცზო-ლინს

პეკინი, 10 ნოემბერი. უკანასკნელი ცნობით ფინ-იუი-სიანმა ომი გამოუცხადა ჩჟან-ცზო-ლინს.

თავდასხმა შანხაის პროფკავშირებზე

პეკინი, 10 ნოემბერი. **8 ნოემბერს შანხაის პოლიცია თავს დაესხა შანხაის პროფკავშირთა შენობას და დააპატიმრა იქ საფეიქრო მრეწველობის მუშათა დელეგატები, რომელთაც სხდომა ჰქონდათ გამართული.**

დაპატიმრებულები გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

სამოქალაქო ომი მწვავდება

პეკინი, 10 ნოემბ. **ჩინეთში სამოქალაქო ომი მწვავდება. ჩჟან-ძო-ლინის გადასვლამ შეტევაზე დააჩქარა მისი კონფლიქტი სახალხო არმიასთან.**

ჩჟან ძო-ლინის ჯარები, ვითომდა ღამის გასათევად და შემდეგ მანდეონში ვასამგზავრებლათ, შევიდენ სანგონსიში პეკინიდან 20 მილის მანძილზე. ფინ-იში-სიანის ჯარებმა დასტოვეს ეს ქალაქი წინააღმდეგობის გაუწევლად.

ამის გამო პეკინში გაიმართა სახალხო არმიის წინამძღოლთა თათბირი; თათბირმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფინ-იუი-სიანის ჯარებს არა სურთ ბრძოლა, მაგრამ მზად არიან დაიცვან სატახტო ქალაქი და მთავრობა ჩჟან-ძო-ლინის მიმდევრების თავდასხმისაგან.

დუან-ძი-ჩჟუი გასაქცევად ემზადება

პეკინი, 10 ნოემბ. **გავრცელდა ხმები, რომ პრეზიდენტი დუან-ძი-ჩჟუის, რომელსაც არა სურს მიემხროს რომელიმე მებრძოლ მხარეს, განზრახული აქვს გადადგომა და სატახტო-ქალაქიდან გაქცევა ტიანძინში.**

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

შვეციისა და ნორვეგიის მელითონეთა დელეგაცია

სტოკჰოლმი. 10 ნოემბ. მოსკოვს გაემგზავრა შვეციისა და ნორვეგიის მელითონეთა დელეგაცია.

საბჭოთა გემი „დეკაბრისტი" იაპონიაში.

ტოკიო. 10 ნოემ. კიბეში ჩავიდა საბჭოთა გემი „დეკაბრისტი". ამის გამო იაპონიის გაზეთები იტყობინებიან, რომ პოლიციამ ეჭვი გამოსთქვა, თითქოს გემში იყოს სამხედრო მასალები და ზარბაზნები და [illegible] მგზავრების სახით წაიყვანოს იაპონიის მუშათა ბელადები, რომელთაც სურთ გამგზავრება პროფკავშირთა ყრილობაზე მოსკოვში.

„დეკაბრისტი"-ს ადმინისტრაციას განზრახული აქვს მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება იმ პირთ, რომლებმაც გაავრცელეს ასეთი ხმები.

თეთრგვარდიელთა მორიგი გამოსვლა.

ლონდონი. 10 ნოემ. ვინმე მარტინი ყოფ. ხარკოველი მასწავლებელი, რომელიც მიცემული იყო სამართალში „შეურაცხმყოფელ მოქმედებისათვის" დაჯარიმებული იქნა 5 გირვ. სტერლინგით, გარდა ამისა მას ჩამოართვეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ მან არ უნდა დაარღვიოს წესრიგი 6 თვის განმავლობაში. მარტინი უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში დადიოდა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობის წინ პლაკატით; პლაკატზე დაწერილი ტექსტი შეიცავდა მოთხოვნილებას საბჭოთა მთავრობისადმი, რათა უკანასკნელს დაეკმაყოფილებია იგი იმ შეურაცხყოფისათვის, რომელსაც ის განიცდიდა საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს.

გარდა ამისა მარტინი ხშირად ეუბნებოდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შემავალ პირებს, რომ ვოროვსკის შემდეგ ჯერი რაკოვსკიზეაო.

7 ნოემბერს მარტინი ხმამაღლა ლანძღავდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შემავალ პირებს.

[illegible] იცვლის.

ვენა, 10 ნოემ. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დუკა გამოვიდა სენატში მოხსენებით რუმინეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის და „რუმინეთის ურთიერთ დამოკიდებულებას, დუკამ განაცხადა: „**რუმინეთი ყოველ წუთში მზად არის განაახლოს დიპლომატიური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან** მხოლოდ ერთი პირობით—აღიარებული უნდა იქნეს რუმინეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობა. ბესარაბია შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ რუმინეთს.

რუმინეთი მოუთმენლად მოელის ამ თვალსაზრისის გამარჯვებას". რუმინეთის გაზეთი „ადევერული" სთვლის დუკას სიტყვას, როგორც რუმინეთის პოლიტიკის ერთგვარ შეცვლას საბჭოთა კავშირთან დაახლოვების მხრივ".

ბესარაბიელ გლეხთა „გასამართლება"

ვენა, 10 ნოემბერი. დაიწყო ბრალმდებელთა სიტყვები ბესარაბიის გლეხთა პროცესზე. მთავარმა სამხედრო პროკურორმა განაცხადა, რომ აჯანყებას ტატარბუნარის მაზრაში ჰქონდა „სპეციფიური რუსული ხასიათი" და მოითხოვა ბრალდებულთათვის უმაღლესი სასჯელი.

რუმინეთის ოპოზიციონური გაზეთები მხარს უჭერენ ამნისტიას ბრალდებულთათვის.

ბორას განცხადება

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი. შეერთებული შტატების ლიბერალურმა მოღვაწემ სენატორმა ბორამ გაგზავნა დეპეშა რემედასის ამერიკულ სექციაში, რომელშიაც ის აცხადებს, რომ მზად არის სრული დახმარება აღმოუჩინოს რაკოშის და უნგრეთის სხვა რევოლიუციონერებს, რომლებსაც სიკვდილით დასჯა მოელით.

რუმინეთის ამბები

რუმინეთის „ოხრანკის" ხრიკები

ვენა, 10 ნოემ. იმ მიზნით, რომ დაასაბუთოს ის სასტიკი ზომები, რომელიც მიღებულია გალაცში რუმინეთის მეფის მოსალოდნელ მოსვლასთან დაკავშირებით, რუმინეთის „ოხრანკა" ცდილობს მეფის წინააღმდეგ შეთქმულების შეთხზვას.

გალაცში დააპატიმრეს ჯარისკაცი, რომელმაც ვითომდა ყუმბარა ესროლა „ოხრანკის" აგენტებს. „ოხრანკა" **ცდილობს ბრალი დასდოს შეთხზულ შეთქმულებაში გალაცის მუშათა ორგანიზაციებს**, რომ ამით ჩირქი მოსცხოს გალაცის მუშებს, რომლებიც რამდენიმე კვირის წინად დააპატიმრეს არალეგალურ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის. სულ ამ საქმის გამო დაპატიმრებულია 32 კაცი.

განხეთქილება გერმანელ ნაციონალისტებს შორის

ბერლინი, 10 ნოემბ. **კვლავ ადგილი აქვს უთანხმოებას ნაციონალისტებს შორის ლოკარნოს ხელშეკრულების საკითხის შესახებ.**

ნაციონალისტების სამრეწველო ფრთა ისევ ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულების უარყოფას· ეს ფრთა იცავს იმ შეხედულებას, რომელიც თავის დროზე გამოსთქვა ლიუტერმა, რომ ნაციონალისტების პარტიამ ლოკარნოს ხელშეკრულების მიღება უნდა დაუკავშიროს იმ დაპირებების შესრულებას, რომელიც მისცეს გერმანიას ლოკარნოში. ამ საკითხის შესახებ საბოლოო აზრი უნდა გამოსთქვას ნაციონალისტების პარტიულმა ყრილობამ, რომელიც გაიხსნება 15 ნოემბერს.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

სრული არევდარევა

პარიზი, 10 ნოემბ. ფინანსიურმა **კრიზისმა იმდენათ დაჩრდილა პარიზში ყველა დანარჩენი პოლიტიკური საკითხები, რომ ამ ჟამად არ ლაპარაკობენ თვით ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცებაზე. მთელი საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას იპყრობს კამათი დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში, რომელიც ააშკარავებს სრულ არევ-დარევას პოლიტიკურ პარტიებს შორის.** მთავრობა მოითხოვს უფლება მისცეს [illegible] ქაღალდის ფულები, რათა დაფაროს მოკლე-ვადიანი ვალდებულებანი, რომელთაც ვადა გაუდის 8 დეკემბერს.

სოციალისტები ეწინააღმდეგებიან ამ ქაღალდის ფულების გამოშვებას და მოითხოვენ გადასახადის შემოღებას კაპიტალზე. ეს წინადადება უარჰყო საფინანსო კომისიამ.

ერიო, რომელსაც ეშინია არ მოხდეს გათიშვა მემარცხენე ბლოკში, შეეცადა შეერიგებია რადიკალები და სოციალისტები. ამბობენ, თითქო სოციალისტებმა აღუთქვეს მას, რომ დათანხმდებიან „დროებით ინფლიაციაზე". სოციალისტების მუქარას, პენლევეს მიმართ როგორც სჩანს, სერიოზული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან **რენოდელი, ბლიუმი და ორიოლი, სოციალისტების მემარჯვენე ლიდერები, ცხადია, არ ფიქრობენ ახლო მომავალში პენლევესათვის ძალა-უფლების ჩამორთმევაზე.**

როგორც სჩანს, პენლევეს მთავრობას დაავლიან ქაღალდის ფულების ისევ გამოშვებას, ხოლო შემდეგ კი აუცილებელი იქნება მისი გადადგომა.

პარიზის კომუნის ვეტერანის სიკვდილი

პარიზი, 10 ნოემბერი. გარდაიცვალა **ეტიენ მერეჟვილი**, რომელიც მონაწილეობას იღებდა პარიზის კომუნაში 1871 წელს.

პენლევეს საფინანსო პროექტის უარყოფა

პარიზი, 10 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ უარჰყო პენლევეს პროექტი საფრანგეთის ყველა მცხოვრებთა დაბეგვრის შესახებ ოც-ოცი ფრანკით.

კომისიამ უარჰყო აგრეთვე სოციალისტების წინადადება კაპიტალის დაბეგვრის შესახებ, რაც უნდა გატარებულიყო ყოველგვარ სახალხო სიმდიდრის დამუშავებაში სახელმწიფოს მონაწილეობის სახით.

გაზ. „უნიტა"-ს და „ავანტი"-ს დახურვა

რომი, 10 ნოემბერი. ქალაქ მილანის პოლიციის უფროსის განკარგულებით დახურეს მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიისათვის გაზეთები „ავანტი" (იტალიის სოციალისტური პარტიის ორგანო) და „უნიტა" (იტალიის კომპარტიის ორგანო).

უკანასკნელი ცნობები

ქალაქი ფრუნზე

ტაშკენტი, 11 ნოემბერი. ფრუნზეს სამშობლოში რიშპეკში შესდგა დიდი მიტინგი, რომელსაც 10.000 კაცი დაესწრო. მიტინგმა დაადგინა ქალაქ რიშპეკს დაერქვას ფრუნზეს სახელი.

ინტერნაციონალის სიმღერისთვის 4 წლის კატორღა

მინსკი, 11 ნოემბერი. გროდნოს საოლქო სასამართლოში ირჩეოდა 4 მუშის საქმე, რომელთაც ბრალს სდებდენ ინტერნაციონალის სიმღერაში. სასამართლომ თვითეულ მათგანს 4—4 წლის კატორღა მიუსაჯა.

კანტონის მთავრობის წარმომადგენელი პროტესტს აცხადებს ფრანგების მხეცურ მოქმედების წინააღმდეგ დამასკში

მოსკოვი, 11 ნოემბერი. გომინდანის და კანტონის მთავრობის წარმომადგენელმა გენერალ ხუ-ხან-მინმა შემდეგი საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს, პარლამენტის და სენატის თავმჯდომარეებს, და გაზეთ „ტანს“.

„ვიზიარებთ რა მთელი ქვეყნის აღშფოთებას საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების მხეცურ მკვლელობების გამო დამასკში, გომინდანისა და კანტონის მთავრობის სახელით მოგმართავთ თქვენ პროტესტით ასეთი გაუგონარი სიმხეცის წინააღმდეგ. საფრანგეთის გენერლების მხეცური მოქმედება სირიაში გაგრძელებაა იმისი, რაც ჩინეთში ხდება—ჩაადრჩონ სისხლში გამოფხიზლებულ აღმოსავლეთის გლეხური ქვეყნები“.

კომუნისტების გამარჯვება კოოპერაციის არჩევნებში

ბერლინი, 11 ნოემბერი. გალლე-მომხმარებელ კოოპერაციის გაერთიანებულ კავშირის რწმუნებულთა არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 2190 ხმა, სოციალ-დემოკრატების სიამ მიიღო მხოლოდ 522 ხმა. უკანასკნელ არჩევნებთან შედარებით კომუნისტებმა მიიღეს 272 ხმით მეტი, სოციალ-დემოკრატებმა კი დაკარგეს 111 ხმა.

პერსელის გამოსვლა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. პერსელი (ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს თავმჯდომარე), საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების დიდი მომხრე, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში იმყოფება, გამოვიდა მუშათა მიტინგებზე მთელ რიგ მსხვილ საწარმოო ცენტრებში, როგორიცაა კანზაო, სიტი, ხან-ლუი და ჩიკაგო. 17 ნოემბერს ის გამოვა ნიუ-იორკში.

თავის სიტყვებში პერსელი მოუწოდებს საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანებისკენ, რომელიც უნდა დაუპირდაპირდეს კაპიტალიზმის ერთიან ფრონტს. პერსელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ აუცილებელია ჩინეთის, ინდოეთის და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნების მუშათა მასების შეკავშირება იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ხაზს უსვამს იმას, რომ აუცილებელია საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან გავაერთიანოთ საბჭოთა კავშირის 6 მილიონიანი შეკავშირებული მუშა.

„მუშები უნდა მოემზადონ—განაცხადა პერსელმა—რომ საერთო ძალით წინააღვუდგეთ შემდეგ, იმპერიალისტურ ომს“.

აზერბეიჯანის მრეწველობა

მოსკოვი, 11 ნოემბერი. როგორც გამოირკვა აზერბეიჯანის წარმომადგენლის ამხ. ჯაფარიძის მოხსენებიდან საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოში, აზერბეიჯანში 1925—26 წელში იმუშავებს 48 საწარმოო დაწესებულება 5811 მუშით. პროდუქციის რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გადიდდება 73 პროც. და შეადგენს 19 მილიონ მანეთს. აზერბეიჯანის ნაწარმოების გაყიდვიდან დარჩება 20,8 მილ. მანეთი. აქედან გარეშე ბაზარზე 1,3 მილიონის საქონელი, დანარჩენი კი შინაურ ბაზარზე.

ერთის წინააღმდეგ

ანგორა, 11 ნოემბერი. ოსმალეთის პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას 159 ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 11 ნოემბ. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრების პირველი დღე დაიწყო 10 ნოემბერს.

10 [illegible] ჩემპიონმა კაპაბლანკამ და ემანუილ ლასკერმა, რომლებიც იქცევენ მთელი საზოგადოების დიდ ყურადღებას. 2 ნახ. საათის თამაშობის შემდეგ გამოცხადდა, რომ პარტია ორთავე მხარისთვის უშედეგოთ გათავდა.

იმავე დღეს საღამოზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ბოგოლიუბოვმა დაამარცხა გერმანიის გამოჩენილი მოთამაშე გრიუნფელდი.

რ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. გაფართოებული პლენუმი

ამხ. გინაევის მოხსენება

მოსკოვი, 11 ნოემბ. 9 ნოემბერს რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას გაფართოებულ პლენუმის სხდომაზე გინაევმა გააკეთა მოხსენება მუშა ახალგაზრდობის შრომის და განათლების შესახებ.

„მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით—ამბობს გინაევი—შემჩნეულია კვალიფიციურ მუშახელის დიდი ნაკლებობა. რათა დავაკმაყოფილოთ მრეწველობის მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშახელზე, საჭიროა საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის განმტკიცება“.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა კავშირმა დაიცვას მუშა ახალგაზრდობის ეკონომიური მდგომარეობა და ასწიოს ხელფასი.

ეხება რა ახალგაზრდობის უმუშევრობის საკითხს, გინაევი ამბობს, რომ ამ უმუშევრობას ხელს უწყობს, უმთავრესად, სოფლიდან ახალგაზრდობის წამოსვლა. საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა ახალგაზრდობის შორის უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭიროა, რათა სახელმწიფო ორგანოების მიერ უმუშევრობასთან გადადებულ საშუალებებიდან, განსაზღვრული თანხები გადაიდოს უმუშევარ ახალგაზრდობისათვის. საჭიროა ახალგაზრდობის ჩაბმა შინამრეწველობაში და ვაჭრობაში.

ამავე საკითხზე თანამოხსენებას აკეთებს ამხ. ტარასოვი, რომელიც ეხება საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების როლს რევოლიუციურ მუშა-ხელის მომზადების საქმეში. ეხება რა საფაბრიკო-საქარხნო შეგირდების სკოლების ხარისხს, ტარასოვი აღნიშნავს, რომ 1924—25 წ. კურსდამთავრებულთა გამოშვებას კარგი შედეგები მოჰყვა.

გაცხოველებულ კამათის შემდეგ პლენუმი ირჩევს კომისიას მუშა ახალგაზრდობის შრომის და განათლების საკითხზე რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

პოლიტიკური შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 11 ნოემბერი. „პრავდა“ ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

„მთელი ბურჟუაზიული პრესა განუწყვეტლივ ათავსებს წერილებს ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის შესახებ.

კაპიტალისტური ევროპის მესვეურებმა მშვენივრად იციან, რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია შევიდეს ერთა ლიგაში. მათ იციან, რომ ჩვენ არასოდეს არ მივანდობთ ერთა ლიგის საარბიტრაჟო სასამართლოს ჩვენი ვალების, რევოლიუციის დროს დაზარალებულ, კაპიტალისტებისათვის ზარალის ანაზღაურების და სხვა საკითხებს; იმათ იციან, რომ ჩვენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან კონფლიქტების დროს არ შეგვიძლია ვენდოთ რომელიმე ნეიტრალურ მოსამართლეს, ვინაიდან არ არსებობენ ნეიტრალური მოსამართლეები მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. ეს მშვენივრად იციან, მაგრამ კაპიტალისტური სახელმწიფოები და მათი გაზეთები თავს იკატუნებენ, როცა სწერენ, რომ მათ იმედი აქვთ ჩვენი შესვლისა ერთა ლიგაში: ისინი [illegible]

„აი შეხედეთ, ჩვენ წინადადება მივეცით ბოლშევიკებს შემოსულიყვენ კულტურულ ხალხთა საზოგადოებაში. ჩვენ გვსურდა საარბიტრაჟო სასამართლოსათვის მიგვენდო ყველა სადაო საკითხები, მაგრამ ამ თავზეხელაღებულ ხალხს არ სურს მშვიდობიანობა. მაშასადამე—დე, გაერთიანდენ ყველა ხალხები „მშვიდობიანობის ამ დამრღვეველთა წინააღმდეგ“.

ძალიან მოხერხებული გეგმაა. ინგლისის ჯარები ხვრეტენ ჩინელებს ჩინეთის ტერიტორიაზე, ინგლისი უარს ეუბნება ინდოეთს თვითგამორკვევის უფლების მინიჭებაზე, იპყრობს სუდანს და ეგვიპტეს, საფრანგეთი ერთა ლიგის მანდატის ძალით ხვრეტს დამასკის მცხოვრებლებს,—აი მათი მშვიდობიანობა. საჭიროა მხოლოდ ჩავუკვირდეთ ინგლისის მთელ მახინაციებს, რათა დავინახოთ, რომ აქ საქმე გვაქვს არა საბჭოთა კავშირის მოწვევასთან ერთა ლიგაში, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს წვრილ ბურჟუაზიის საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციასთან.

ჩვენი პასუხი ამ პროპაგანდაზე უნდა მდგომარეობდეს ერთა ლიგის მხილებაში არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ფართო მასების წინაშე. საბჭოთა კავშირი მზადაა მიიღოს მონაწილეობა ყველაფერ იმაში, რასაც შეუ- [illegible] საქმე. მაგრამ მას ერთი წუთითაც არ შეუძლია დაუმორჩილოს რუსეთის მუშათა კლასის და რუსეთის რევოლიუციის ინტერესები კაპიტალისტურ დაწესებულების გადაწყვეტილებებს“.

მუშების კულტურული განვითარებისათვის

ამხ. ზინოვიევის სიტყვა განათლების სახლის გახსნაზე

ლენინგრადი, 11 ნოემბ. 7 ნოემბერს ოქტომბრის რკინის გზის განათლების სახლის გახსნაზე (პანინის ყოფ. სახლი) სიტყვით გამოვიდა ამხ. ზინოვიევი, რომელსაც დიდი აღტაცებით შეეგებენ რკინისგზელები.

ამხ. ზინოვიევი შეჩერდა რკინისგზელთა მონაწილეობაზე რევოლიუციაში და შემდეგ სთქვა:

„მეურნეობის განვითარებასა და პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად იზრდება მუშათა და გლეხთა კულტურული განვითარებაც. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ისევე, როგორც, ვამაყობთ სახოფლო მეურნეობის აღორძინებით და სხვა მრავალით. ჩვენ უნდა ბევრი ვიმუშაოთ რომ აღმოფხვრათ ყოველგვარი ულაზათო ყოფა-ქცევა, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს თავისუფალ ქვეყანაში, ჩვენ უნდა უეჭველად გავიმარჯვოთ ცხოვრების ამ ფრონტზეც.

აღმოსავლეთი

ბრძოლა არაბეთის სახელმწიფოს შექმნისათვის

1924 წ. სექტემბერში პირველად გამოქვეყნდა ცნობები გეჯასსა და ნეჯდის სამეფოს შორის დაწყებულ ომის შესახებ.

არაბეთის ამ ორი მნიშვნელოვანი სახელმწიფოს შეტაკებას როდი ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი, არამედ წარმოადგენდა დასაწყისს ბრძოლისას არაბეთის ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად, რაც ნეჯდის მმართველმა იბნ-საუდმა დაიწყო ძალა-უფლების ხელში ჩაგდების პირველ დღიდან.

ნეჯდის სამეფო მდებარეობს არაბეთის ნახევარ კუნძულის ცენტრში.

1902 წ. იბნ-საუდმა 25 მეომარით დაიპყრო რიადა, ნეჯდის ძველი სატახტო ქალაქი, მოსპო შინაური ბრძოლა, განამტკიცა ქვეყნის შიგნით თავისი მდგომარეობა და შეუდგა ბრძოლას თავისი მცირე ტერიტორიის გასაფართოებლად.

1917 წ. მან დაიკავა ქალაქები ტარაბე და ხურმა, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები მექიდან აღმოსავლეთით და მიუახლოვდა გეჯასის სამეფოს, რომელიც წარმოიშვა 1915 წ. ოსმალების წინააღმდეგ მეფე გუსეინის აჯანყების შემდეგ.

1918 წ. იბნ-საუდმა დაიკავა ხეიძარის წალკოტი (ქ. მედინიდან ჩრდილოეთით) და ფაქტიურად ალყა შემოარტყა გეჯასის სამეფოს. ამავე დროს ის განაგრძობდა წინსვლას ჩრდილოეთით და მიუახლოვდა სირიის საზღვრებს.

1921 წ. იბნ-საუდმა დაიპყრო ემირატი ასსირ, რომელიც გეჯასიდან სამხრეთით მდებარეობს.

ამ რიგად თანამედროვე ნეჯდს უჭირავს მთელი შუა არაბეთი და ისაზღვრება ჩრდილოეთით სირიით, დასავლეთით—გეჯასით, სამხრეთით ხადრამაუტით, აღმოსავლეთით კი ელ-ახსის დაკავების შემდეგ—აღწევს სპარსეთის ყურემდე.

იბნ-საუდი უკანასკნელ წლების განმავლობაში ცდილობს ტერიტორიის გაფართოებას დასავლეთით გეჯასის ხარჯზე, მაგრამ აქ ხვდება წინააღმდეგობას ინგლისის მხრივ, რომელიც სრულიად არ არის დაინტერესებული იბნ-საუდის ასე გაძლიერებაში. ინგლისელების ზეგავლენით იბნ-საუდი დროებით აჩერებს თავის შეტევას გეჯასის წინააღმდეგ. მაგრამ ჩქარა, როცა ირკვევა, რომ გეჯასის მეფე გუსეინმა უარი სთქვა ინგლისთან ხელშეკრულების განახლებაზე, ის სარგებლობს ამ შემთხვევით და ანახლებს იერიშებს.

მისი ხელმძღვანელობით ნეჯდის ბედუინებმა (ბედუინები სარწმუნოებით არიან ვახაბიტები—მუსლიმან-სექტანტები, გეჯასელები კი მართლმორწმუნე მუსლიმანებია) 1924 წ. დაიკავეს გეჯასის ქ. ტაიფა. იმავე წლის ოქტომბერში ვახაბიტებმა დაიკავეს მექქა, მუსლიმანთა წმინდა ქალაქი.

ამ ჟამად უკვე გეჯასის თითქმის მთელი ტერიტორია იბნ-საუდის ხელშია. მხოლოდ ერთი ჯედდა, გეჯასის ახლანდელი სატახტო ქალაქი, დარჩა დაუკავებელი. მრავალი თვეების განმავლობაში ჯედდას ალყა ჰქონდა შემორტყმული ვახაბიტების მიერ. იერიშები ჯედდას ასაღებათ ახლაც გრძელდება. ამავე დროს ალყაშემორტყმულია გეჯასის მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი მედინა.

ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას რომ გეჯას-ნეჯდის ომი არ წარმოადგენს შემთხვევითი ხასიათის შეტაკებას, არც სარწმუნოებრივ ნიადაგზეა წარმოშობილი იგი. ამ შეტაკების მიზეზები უფრო ღრმათ უნდა ვეძიოთ ეს შეტაკება არის არაბეთის მთლიანი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელათ ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი. მაგრამ ადგილობრივ პირობების (სარწმუნოებრივი, ეკონომიური და სხვა) მიხედვით ის თავისებურ ხასიათს ატარებს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ტრაქტორის სპეციალისტების მომზადება

მოსკოვი, 11 ნოემბერი. განათლების სახ. კომისარიატის მიერ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, სახ. საგეგმო კომისიის და უმაღ. სამეურ. საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავებულია ტრაქტორების სპეციალისტების მომზადების გეგმა სოფლებისათვის და წარდგენილია დასამტკიცებლად სახ. კომისართა საბჭოში. 1926 წელში ტრაქტორების მუშაობისათვის საჭირო იქნება:—90 ინჟენერ აგრონომი, 90—მათი თანაშემწე, 900—ტეხნიკოს-ინსტრუქტორი, 1.850 ტრაქტორზე მომუშავე მექანიკოსი და 13.500—ტრაქტორის მეხამე.

განათლების სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს, ამ მოკლე დროში შეუდგეს სპეციალისტების აუცილებელ კადრის შემზადებას.

სახ. კომისართა მცირე საბჭომ დაამტკიცა ტრაქტორის სპეციალისტების მომზადების საერთო გეგმა 1925—26 წლისთვის და შუამდგომლობა აღძრა შრომისა და თავდაცვის საბჭოში, რომ გაღებულ იქნეს საჭირო თანხა ამ გეგმის განსახორციელებლად.

რადიო-სადგური მბეჭდავი აპარატებით

ლენინგრადი, 11 ნოემბ. სუსტ ელექტრო-დენის ქარხნების ტრესტი შეუდგა რადიო-სადგურის აგებას—მბეჭდავი აპარატებით. ეს სადგური კიდეც მიიღებს, კიდეც დასწერს და კიდეც დაბეჭდავს რადიო-დეპეშებს.

კვალიფიციურ-მუშახელის მომზადება

მოსკოვი, 11 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატთან შემდგარმა საუწყებათაშორისო კომისიამ, რომელიც იხილავდა კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხს, გამოარკვია, რომ პროფგანათლების მთავარ სამმართველოს 10.000 კაცის ნაცვლად, შეუძლია მოამზადოს არა უმეტეს 3.000 კაცისა. ამიტომ მოსალოდნელია გეგმის შეცვლა იმ მხრივ, რომ ზედმეტად დაიტვირთონ შრომის ცენტრალურ ინსტიტუტის კურსები. კომისიამ საჭიროდ სცნო საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატთან დაარსდეს მუდმივი კომისია კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლად.

საგლეხო სესხზე ხელისმოწერის შეწყვეტა პროვინციაში

მოსკოვი, 11 ნოემბ. ვინაიდან მეორე საგლეხო სესხზე ხელისმოწერა განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა და მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში გაიყიდა პირველ ორი სერიის ორჯერ მეტი ობლიგაციები, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა შესწყვიტოს ხელისმოწერა პროვინციაში გამოცხადებულ ვადამდე 8 დღით ადრე ადგილებს მიეცათ განკარგულება შესწყვიტონ ხელისმოწერა 12 ნოემბერს.

ამიერ-კავკასიის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები

ბაქო, 10 ნოემბერი. ბაქოში ამჟამად მყოფ გარეშე ვაჭრობის სახ. კომისრის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ივანიანმა ზაკტაგის კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა: „ამიერ-კავკასიის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები 1924—25 წელში ორჯერ გაიზარდა წინა წელთან შედარებით. საერთო ბრუნვა დასავლეთთან ვაჭრობაში ავიდა 79 მილიონამდი, გასულ 1923—24 საოპერაციო წელში კი ეს ბრუნვა უდრიდა 42 მილიონ მან.

მთელი ექსპორტი დასავლეთთან ვაჭრობაში შეადგენს 53.500.000 მანეთს; აქედან ნავთის ნაწარმოებზე მოდის 34 მილ. მანეთი, მარგანეცზე—9 მილიონი მან. და სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე—9.800.000 მან. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის მეურნეობისთვის, რადგან ის ეხება ამიერ-კავკასიის მრავალრიცხოვან გლეხობას.

მთელი იმპორტი 1924—25 წელში გამოიხატა 6,605,000 მანეთში წინააღმდეგ 1923—24 საოპერაციო წლის 4 მილიონი მანეთისა.

საიმპორტო გეგმის შესრულების დროს უმთავრესი ყურადღება ექცეოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებებს, რომელთა წილი შეადგენს მთელი შემოტანილი საქონლის 75 პროც. იმპორტის დანარჩენი ნაწილი ხმარდებოდა განათლების, ჯანმრთელობის და სხვ. მოთხოვნილებებს.

გაიზარდა აგრეთვე აზნავთის მიერ საქონლის შემოტანა 75 მილიონ მანეთამდი, წინააღმდეგ 1923—24 წლის 2.900.000 მანეთისა.

1925—26 წლის ექსპორტის [illegible] სამჯერ უფრო დიდი [illegible] ვიდრე გასული წლის. ამაში პირველი ადგილი უკავია მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის საჭიროებებს.

აზერბეიჯანის ნაწილი სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტში შეადგენს 38,4 პროც. მთელი სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტისას. აზერბეიჯანიდან გაჰქონდათ ნოხები, აბრეშუმი და სხვა. აზერბეიჯანის ნაწილი ექსპორტში კიდევ უფრო გაიზრდება ნოხების ექსპორტის გაძლიერებით, რომელიც 1924—25 წელში გატანილ იქნა 850.000 მანეთის გეგმით გათვალისწინებულია აზერბეიჯანიდან 2 მილიონი მანეთის ნოხის გატანა. პერსპექტიული გეგმით 1926—27 წელში ნოხების ექსპორტი უნდა ავიდეს 4 მილიონ მანეთამდი.

აზერბეიჯანის მონაწილეობა იმპორტის გეგმით საქონლის მიღებაში 40 პროც. მიაღწია.

მიმდინარე საოპერაციო წელი ძლიერ ხელსაყრელ პირობებს იძლევა ამიერ კავკასიის გარეშე ვაჭრობისათვის.

წერილები უცხოეთიდან

საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოება პრაღაში

წერილი ჩეხო-სლოვაკიიდან

ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია სასოწარკვეთილებაშია. „ბოროტი სული“ მას მოსვენებას არ აძლევს: იჩენს თუ არა ევროპას რომელიმე კუთხეში თავს ემიგრანტული ორგანიზაცია, მის გვერდით დაუყოვნებლივ აღმოცენდება საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მოქალაქეთა კოლონია. ჩვეულებრივად საბჭოთა ორგანიზაცია დასაწყისში მცირერიცხოვანია,—ის უმცირესობას შეადგენს. მას წყევლა, გინება და მუქარა ატყდება თავზე, პარიზიდან მათ შესახებ ბრძანებები. იწერება და ეკლესიაშიც კი მათ ანათემით იხსენიებენ. მაგრამ გავა ორიოდე თვე, ემიგრანტულ ორგანიზაციებში სიჩუმე იმატებს, სამარი ტონი კლებულობს, მოხსენებები და საერთო კრებები იშვიათდება (ემიგრანტებს საერთო კრების ცეცხლივით ეშინიათ: რაღაც „ჭინკა“ სხვაგვარად ალაპარაკებს ასეთ კრებაზე—წარმოიდგინეთ თქვენ—მორჩილ წევრებსაც), მეორე მხრით კი რა ხდება? თურმე საბჭოთა კოლონიას უტრაბახოდ და უდავიდარაბოდ უმრავლესობა შემოუკრებია, გაზეთების და ლიტერატურის მიდების საქმე მოუგვარებიათ, მათ ბინაზე ხშირი კრებები და მოხსენებები იმართება.

ყველა მაგალითები ადასტურებენ ერთ ფაქტს: დღე საბჭოთა ორგანიზაციის ჩასახვისა არის მეზობლად არსებულ ემიგრანტულ ორგანიზაციის სიკვდილის დასაწყისი.

ასე მოხდა ბერლინში 1923 წ. როდესაც მეტად მცირე რიცხოვანი საბჭოთა კოლონია დაარსდა. დღეს კი გერმანიაში ემიგრანტულ ორგანიზაციას შეუძლია დაითვალოს 15 წევრამდი თავის რიგებში, დანარჩენი მათ ჩამოშორდა. ასე მოხდა სტუდენტთა კავშირში. დღეს ა | კ. საბჭოთა სტ. კავშირს ჰყავს გერმანიაში 170 წევრამდე (ევროპაში კი 200 მეტი); ძველ სტუდენტთა კავშირს კი, რომელიც მხოლოდ სახელით არსებობს გერმანიაში, 7 კაციღა გააჩნია.

ასევე ხდება პარიზშიაც, სადაც საბჭოთა ორგანიზაცია დღითი-დღე ძლიერდება და ემიგრანტული ორგანიზაციები (ჟორდანია-კედიას შეიარაღებული ხულიგნების დახმარებითაც კი) დღითი-დღე იშლებიან.

ჩეხო-სლოვეთში კი ამდენ ხანს საბჭოთა ორგანიზაცია არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე რამდენიმე თვეა არსებობს ჯგუფი, რომელმაც უარჰყო ემიგრაციის უკუღმართი პოლიტიკა და საბჭოთა პლატფორმა მიიღო.

საერთოდ პრაღაში ქართველ ემიგრანტთა რიცხვი 40 უდრიდა. მათ შორის მრავალ ჩხუბს და დავიდარაბას ჰქონდა ადგილი. სამჯერ გაიყვენ, მრავალჯერ გადაჯგუფდნენ და ბოლოს ორი კავშირი დაარსდა: ერთი მართლმორწმუნე მონა მორჩილთა, პარიზის შტაბის დირექტივებით და მეორე—ასე ვსთქვათ—ოპოზიციაში მდგომთა. პირველს ჰყავს 15, მეორეს—12 წევრამდე. არის აგრეთვე პატარა ჯგუფი ფაშისტური ორიენტაციის და პატარა ჯგუფი კიდევ ფედერალისტების. ყველას ერთმანეთი თვალის დასანახავათ ეჯავრება. უნდობლობა და იჭვიანობაა ურთიერთ შორის—საოცარ საქმეა, რომ ვინმე თქვენთან დალაპარაკებული დაინახონ, და მის წინააღმდეგ ასისინდებიან, ემიგრანტს საერთო სიამოვნებით უნდა თქვენთან ლაპარაკი, მაგრამ იმ პირობით თუ კი ამას არავინ გაიგებს. ემიგრანტი სიამოვნებით ოცნებობს ყოველივე პოლიტიკურ მუშაობაზე ხელის აღებასა და შინ დაბრუნებაზე, მაგრამ ისევ იმ პირობით, თუ ამას არავინ გაიგებს; ის მხოლოდ მორცხვობს, მას ეშინია. პრაღაში ემიგრანტები „სწავლობენ“ ეს ნიშნავს: ჩეხურ უნივერსიტეტში 50 წლის მოხუცნი იურიდიულ დარგზე ცოდვილობენ;—რა გაეწყობა ისინი ჩეხო-სლოვეთის მთავრობისაგან „აკადემიურ სტიპენდიას“ იღებენ. ამ „სწავლას“ პრაღაში „სამსახურს“ უწოდებენ. ჯამაგირი აქვთ თვიურად 500 კრონა (30 მან.) როდესაც საიდანმე ერთდროული დახმარება მოუვათ და საქმე განაწილებაზე მიდგება, მაშინ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრანტულ ორგანიზაციაში იწყება სხვადასხვა სახის „რევოლიუციები“. გამგეობის გადაგდება, ახალი ჯგუფები და სხ.

რამოდენიმე თვეა მას შემდეგ რაც ასეთ დახავსებულ ატმოსფეროში ერთი პატიოსანი ჯგუფი გონიერად ალაპარაკდა. მან დაჰგმო ემიგრანტების გზა-კვალ აბნეული პრინციპები და ისურვა საბჭოთა ხელის, უფლებასთან თანამშრომლობა. ეს იყო საინიციატივო ჯგუფი პრაღაში, რომლის მუშაობის შედეგად 21 ოქტომბერს 1925 წ. მოწვეულ იქნა პირველი კრება საბჭოთა საზოგადოების დასაარსებლად პრაღაში. ემიგრანტულ ჯგუფების განსაცვიფრებლად ახლად დაარსებულ საზოგადოებამ მიიღო 12 ხმა.

კრების თავმჯდომარე ილურიძემ თავის სიტყვაში დაასაბუთა საჭიროება საბჭოთა ორგანიზაციის დაარსებისა პრაღაში და დაახასიათა მათი მომავალი მუშაობის გზა. საზოგადოების პოზიციის პრინციპიალურ საკითხების შესახებ ილაპარაკა ალ. ხაბურზანიამ, ე. გვილავამ და ი. გაბუნიამ.

მოგვყავს ადგილები წარმოთქმულ სიტყვებიდან: „ჩვენი პოლიტიკური პლატფორმა მარტივია იგი სავსებით ამოიწურება შემდეგი ორი დებულებით, რაშიდაც ჩვენ ყველანი მტკიცეთ შეთანხმებულნი ვართ. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვსცილდებით ემიგრაციის პოლიტიკას, რომლის უნებლიე მონაწილენი დღემდე ჩვენ ვიყავით. ჩვენ ვგმობთ ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელიც ყალბი იმედებით ჰკვებავს საქართველოს მშრომელთ და ამხედრებს მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ვსცნობთ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ მათი მუშაობა მიმართულია საქ. საბჭოთა რესპუბლიკის აყვავებისაკენ. ბრძოლა საბჭოთა უფლების წინააღმდეგ არის, ჩვენი აზრით, ბრძოლა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მის კულტურულ და ეკონომიურ გაძლიერების წინააღმდეგ. ეხლა ჩვენ განკარგულებაშია ოთხი წლის გამოცდილება, როგორც ემიგრაციის პოლიტიკისა ისე საბჭოთა ხელისუფლების მუშაობისა საქართველოში და ამ გამოცდილებამ ჩვენ ნათლად დაგვანახა თუ ვის აქვს უკეთ გათვალისწინებული საქართველოს მომავალი და ვინ რა გააკეთა მისთვის. ჩვენ ეხლა ვიცით, როგორი ენერგიული მუშაობა არის დაწყებული საქართველოში. მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში სამწუხაროდ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ემიგრაციის უპასუხისმგებლო პოლიტიკის ობიექტს წარმოადგენენ. ჩვენ არ დავივიწყებთ იმასაც, თუ რა მძიმე ტკივილები მიაყენა საქართველოს ემიგრაციის ავანტიურამ. წარსულის გაკვეთილები და საქართველოს მომავალი კეთილდღეობა გვავალებს ჩვენ ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ სამუდამოდ შეუძლებელ ვყოთ ასეთი ბოროტი ავანტიურების განმეორება მომავალში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ბრძოლამ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მკაცრი ფორმებიც რომ მიიღოს. ამან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს; პირიქით, მან უნდა გაამაგროს ჩვენი რწმენა, განამტკიცოს ჩვენი ნებისყოფა საბჭოთა უფლების მონაპოვართა დასაცავად და თუ ჩვენ შორის არიან ისეთები, რომლებსაც არა აქვთ ყოველივე ეს გათვალისწინებული, უკეთესია მათ ეხლავე გამოარკვიონ თავისი მდგომარეობა. ჩვენ იმდენად არ ვსჭირდებით სამშობლოს. უჩვენოთ დაწყებული საქმე, უჩვენოთაც კარგად წავა,—მაგრამ თუ დავეხმარებით—ეს ხომ უკეთესია“...

სიტყვების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია;

„წარსულის გაკვეთილებმა, დაწყებული დღიდან საქართველოს დატოვებისა, და დღევანდელ მდგომარეობამ, აშკარად ჰყო ჩვენთვის საქართველოს ყოფილ მთავრობის მიუტევებელი შეცდომები და დაგვარწმუნა იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში სულ სხვა გზას დაადგა ვიდრე ჩვენ გვეგონა.

საქართველოს პროგრესიული ნაბიჯები საბჭოთა მთავრობის ენერგიული ხელმძღვანელობით და მრავალი მაგალითები მისი მიღწევებისა და მისი დღევანდელი მდგომარეობა უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ დღევანდელი საქართველოს გზა—არის ერთად ერთი გზა, რომელიც ქართველ ხალხს მისცემს საშუალებას გაშალოს და განავითაროს თავისი კულტურული და ეკონომიური ძალები.

საქართველოს ყოფილი მთავრობის და ემიგრაციის შტაბის უკუღმართი პოლიტიკური ხაზი, აჯანყების ავანტიურა და ინტერვენციის სიზმრები უქადის საქართველოს სრულ განადგურებას.

ასეთი მდგომარეობა ავალებს ყოველ ქართველს განსაკუთრებით კი იმათ, ვინც დღეს ემიგრაციაში იმყოფება, ჩამოშორდეს ემიგრაციის უპასუხისმგებლო პოლიტიკას და დადგეს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზაზე.

კრება აშკარად აცხადებს, რომ ქართველ ემიგრაციაში დიდი ბრძოლა და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ მტკივნეულ საკითხების გარშემო. კრება აგრეთვე ანგარიშს უწევს იმ გარემოებას რომ პარიზის შტაბი ჟორდანია-რამიშვილის მეთაურობით და მათი ამყოლნი, სხვა ემიგრანტულ ცენტრებში მუქარითა და დაბეზღებით სცდილობენ გააჩუმონ ისინი, ვინც მათ უკუღმართ მოქმედებას არ იზიარებენ. მიუხედავად ამისა კრება სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს ემიგრაციის ის ნაწილი, რომელსაც შერჩენია სურვილი და უნარი მუშაობისა ქართველ მშრომელთა სასარგებლოთ, იმდენ მოქალაქეობრივ გამბედაობას გამოიჩენს, რომ ბოლოს მაინც დაადგება იმ გზას, რომელსაც უკარნახებს მას მისი რწმენა და პოლიტიკური სინიდისი.

ამიტომ კრება ადგენს დაარსდეს ქ. პრაღაში საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოება, რომელიც იქნება დამცველი თავისი წევრების ყოველგვარი ინტერესებისა, დაიკავებს მჭიდრო კავშირს საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებასთან და ამავე დროს უცხოეთის ყველა საბჭოთა ორგანიზაციებთან, რომ ამ მთლიანობით უფრო ნაყოფიერი იყოს მისი მიმდინარე საქმიანობა“.

შემდეგ ამისა განხილულ და მიღებულ იქნა წესდება, არჩეულ იქნა გამგეობა (ილურიძე, ხაბურზანია და გაბუნიას შემადგენლობით) და სარევიზიო კომისია.

კრების დახურვის წინ, სხვათა შორის, აღნიშნულ იქნა, რომ ევროპაში ყოფნის განმავლობაში ასეთი მშვიდი და ერთსულოვანი კრება არც ერთ ჩვენგანს არ ახსოვს.

ემიგრანტულ კრებათა ლანძღვის სიტყვების და ჭუჭყიან საქციელთა ატმოსფერის შემდეგ, ეს მშვიდი და ერთსულოვანი კრება მოწმობს ახალი ხანის დაწყებას პრაღაში მყოფ ქართველთა ცხოვრებაშიო. .

მე სრულიად დარწმუნებული ვარ რომ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას პრაღაში იგივე ბედი მოელის, რომელიც მან გერმანიაში განიცადა; და ახალი პრაღის კოლონია რამოდენიმე თვის მუშაობის შემდეგ ჩააჩუმებს პრაღის ემიგრაციის ყველა ბრიყვებს.

პრაღის შემთხვევითი სტუმარი.

სტაბილიზაცია

(წერილი საფრანგეთიდან)

ოთხი წელიწადია, რაც ევროპაში კონფერენცია კონფერენციას მისდევს. ერთი ასეთი კონფერენცია თვით განკერძოებულმა ამერიკამაც კი მოაწყო ვაშინგტონში. ყველგან იკრიბებიან სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენლები. აქ ჩვენ ვხედავთ მონარქისტებს, რესპუბლიკანელებს „სოციალისტებს“; არ სჩანან მხოლოდ ხალხის წარმომადგენლები.

ბურჟუაზია იკრიბება, კავშირდება; ის მსჯელობს, დავობს და დაეძებს გამოუსვლელ მდგომარეობიდან გამოსავალს. მას ზავი უნდა, მშვიდობიანობა „სწყურია“ და ვერც ერთი, და ვერც მეორე ვერ მოუნახავს. მშვიდობიანობა უნდათ და საომრად ემზადებიან. განიარაღებაზე ლაყბობენ და ახალ-ახალ იარაღებს კი იძენენ.

ყველა მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს, ერთი მეორეს მეგობრობას ეფიცებიან და ცხადად და ჩუმათ ყოველ შემთხვევისთვის საომარი ჯოხი მომარაგებული აქვთ. ევროპამ დიდი ზეიმით დაამთავრა ლოკარნოს კონფერენცია. ყველანი ერთი მეორეს მშვიდობიანობის სტაბილიზაციას ულოცავდენ, ხოლო ამ დროს მაროკოში და სირიაში ნამდვილი ომია გაჩაღებული და იღვრის ხალხის სისხლი.

მთავრობები ერთი მეორეს კოცნიან—ბრიანმა ლოკარნოში ჩემბერლენს ეკოცა—ხალხი კი ერთი მეორეს ელეტს მთავრობების ბრძანებით.

ჯერ კიდევ ლოკარნოში დადებული ხელშეკრულებების ოქმები არ იყო რიგიანად გამშრალი, და ბულგარეთ-საბერძნეთი ერთი-მეორეს დაეტაკა. იქაც დაიწყო ნამდვილი ომი სისხლის ღვრით და სხვისი მიწა-წყლის დაკავებით; და ამგვარათ ცხოვრებამ სასაცილოდ აიგდო თვალთმაქცი პოლიტიკური მოარშიყენი. ამ „ინციდენტის“ შესახებ ერთა ლიგის საბჭო სასწრაფოდ შეიკრიბა. ალბად, ბულგარეთ-საბერძნეთი მორიგდებიან, მაგრამ ვერავინ დასდებს წინდს, რომ ხვალ-ზეგ რომელიმე სხვა სახელმწიფოთა შორის ასეთი „ინციდენტი“ არ იჩენს თავს.

ბურჟუაზია თვით თავის არსებაში ატარებს შუღლის და უთანხმოების ბაცილებს. მას ექიმობა ვერ უშველის. ვერ უშველის ვერც საერთაშორისო დამოკიდებულებაში და ვერც შინაურ ცხოვრებაში. ვერავითარი ლოკარნო სტაბილიზაციას ვერ შექმნის. შესაძლებელია მხოლოდ დროებითი ზავი, დროებითი მორიგება.

ჯერ ჩვენ ისეც არ ვიცით, განხორციელდება თუ არა ლოკარნოს „მშვიდობიანობა“, ვინაიდან იქ დადებული ხელშეკრულებანი პარლამენტებმა უნდა დაამტკიცონ. გერმანიაში, მაგალითად, ლოკარნომ გამოიწვია მთავრობის ნაწილობრივი კრიზისი. გერმანიის რეიხსტაგმა კიდეც რომ დაამტკიცოს ხელშეკრულება, თვით გერმანიას ის კარგ ბედს არ უქადის: ვინც ორ სკამზე ზის, ის არც ერთზე არ არის გამაგრებული.

ყოველ შემთხვევაში, ერთი უნდა ითქვას: შესაძლებელია, ბურჟუაზია კმაყოფილი იყვეს ამ მოჩვენებითი სტაბილიზაციით, მხოლოდ ევროპის პროლეტარიატს ასეთ კმაყოფილებას ვერ ვამჩნევთ. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ინგლისის მუშათა კლასი ძლიერ უკმაყოფილოა და ამ კლასის ნამდვილი გამომხატველი, ტრედიუნიონი, მუშათა კლასის ინტერესების დაცვის მეთოდებს იცვლის. ის უკვე პოლიტიკურ ბრძოლაში ებმება და საერთოდ მარცხნივ იხრება. ამ ფაქტის აღნიშვნა და დადასტურება არ უნდათ არც ქართველ მენშევიკებს და არც საერთოდ ევროპის მენშევიკებს. ამ ფაქტს მხოლოდ კარგათ ამჩნევს ინგლისის ბურჟუაზია და სთხოვს მთავრობას სათანადო ზომების მიღებას. ამ შემთხვევაში, და ყველა შემთხვევაშიაც, ბურჟუაზია უფრო ჭკვიანი და შორსმჭვრეტელია, ვიდრე ყველა ჯურის მენშევიკები.

პროლეტარიატის უკმაყოფილებას პარიზშიაც ვხედავთ.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ ორი კვირის წინად პარიზის ყველა ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონისტები უცბად ერთი დღით გაიფიცენ! ბურჟუაზია მეტად შეშფოთდა: როგორ თუ მაგ თავხედებმა მთელი დღის განმავლობაში ტელეფონით ლაპარაკი მოგვისპეს, ამით ჩვენი საქმეების მსვლელობა შეაფერხესო და დაიწყეს რეპრესიებზე ლაპარაკი.

ამის შემდეგ კომუნისტებმა მოაწყვეს ერთი დღით გაფიცვა მაროკოს ომის საპროტესტოთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ „სოციალისტებმა“ მხარი არ დაუჭირეს გაფიცვა მაინც კარგათ ჩატარდა.

ბურჟუაზიის გაზეთები სწერდენ, რომ გაფიცვამ დაამარცხა კომუნისტებიო, მაგრამ იქვე, იმავე გაზეთებში ათავსებდენ ცნობას, მაგალითად, ერთი უბნის შესახებ, რომ იქ გაფიცულებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან და შეტაკების დროს მომკვდარა რამოდენიმე კაცი, დაჭრილა 50 და დაუჭერიათ 300. ამას ჰქვიან თურმე მშვიდობიანობის არ დარღვევა ქალაქში.

ამას ჰქვია თურმე სტაბილიზაცია შინაური!

ასეთი საერთაშორისო და შინაური სტაბილიზაციის იმედი აქვთ პარიზელ ქართველ მენშევიკებს.

ამათ რომ ჰკითხოთ, ევროპაში ხდება სრული სტაბილიზაცია, საბჭოთა რუსეთში კი არევ-დარევაო. სტაბილიზაცია ევროპას ამაგრებს, რუსეთს ანგრევსო.

ჩვენ კი ევროპაში სულ სხვას ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო მოწადინებულია რუსეთთან კავშირი დაიკავოს, ვინაიდან ურუსეთოდ ევროპას სიცოცხლე არ ძალუძს. დამახასიათებელია, რომ ჩიჩერინის ევროპაში გამომგზავრებამ აქ ყველა ფეხზე დააყენა.

რა სთქვა ჩიჩერინმა? რას ამბობს ჩიჩერინი? რას იტყვის ჩიჩერინი?

ამას წაიკითხავდით აქ ყველა გაზეთებში და გაიგონებდით ყველასაგან.

ლოკარნოში ჩიჩერინს ელოდენ და ამის შესახებ გაზეთებში ათავსებდენ წერილებს ასეთი სათაურით: „მოდის თუ არ მოდის“.

ასეთია ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.

პარიზელ ქართველ მენშევიკებს კი რუსეთის იზოლიაციის იმედი აქვთ. ისინი ფიქრობენ, რომ ეს იმედი მათ გაუმართლდებათ და კიდევ ბატონ-პატრონად მოევლინებიან მათ მიერ განაწამებ საქართველოს.

მაგრამ არა, აღარ ფიქრობენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკებს აღარაფრის იმედი აღარ აქვთ. თავიანთ წრეში ამას ისინი ფურჩულით აღიარებენ და თავჩაქინდრულნი დაიარებიან.

წარმოიდგინეთ, თვით ნ. რამიშვილი ვეღარ უტიფრობს და ყურებ ჩამოყრილი დადის.

ისე, საგარეოთ, კი იხტიბარს არ იტეხენ და მამლაყინწაობენ.

ეს აქ უკვე ყველამ ვიცით. საჭიროა, მანდაც ყველამ გაიგოს ამათი უძლურება და უიმედობა.

იგ. კაჩუხაშვილი.

პარიზი, 30 ოქტ.

პარტიული ცხოვრება

პროფკავშირების ამოცანების შესახებ

(თეზისების პროექტი ამხ. ყურულიშვილის მოხსენებისა საქართველოს კომპარტიის მე-IV-ე ყრილობაზე და თბილისის სამაზრო-საქალაქო მე-VI-ე პარტკონფერენციაზე)

1. პროფკავშირთა ამოცანები და მათი როლი პროლეტარიატის დიქტატურის დროს გარკვევით იყო ჩამოყალიბებული პარტიის წინანდელ დადგენილებებში, რომლებიც დღემდეც სწორი რჩებიან: „პარტია, ასე ვსთქვათ, შეიცავს პროლეტარიატის ავანგარდს და პროლეტარიატის ეს ავანგარდი ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. ისეთი საძირკვლის გარეშე, როგორიც არის პროფკავშირები, შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება, შეუძლებელია სახელმწიფო ფუნქციების შესრულება. მათი განხორციელება კი აუცილებელი ხდება მთელ რიგ სხვა რაღაცა ახალი ტიპის განსაკუთრებულ დაწესებულებების შემწეობით, სახელდობრ, საბჭოთა აპარატის შემწეობით. როგორია ასეთი მდგომარეობის თავისებურობა პრაქტიკულ დასკვნების მხრივ?

ეს თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ პროფკავშირები ქმნიან ავანგარდის კავშირს მასებთან, პროფკავშირები ყოველდღიურ მუშაობაში რაზმავენ იმ კლასის მასებს, რომელსაც ერთად-ერთს შეუძლია გადაგვიყვანოს ჩვენ კაპიტალიზმიდან კომუნიზმში. მეორე მხრით პროფკავშირები წარმოადგენენ სახელმწიფო ძალა-უფლების აუზს. აი რას წარმოადგენენ პროფკავშირები კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში. ვღებულობთ საერთოდ ფორმალურად არა კომუნისტურ, მოქნილ და შედარებით ფართო, უაღრესად ძლიერ პროლეტარულ აპარატს, რომლის შემწეობით პარტია მჭიდროთაა დაკავშირებული კლასთან და მასასთან და რომლის შემწეობითაც პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება კლასის დიქტატურა (ლენინი—„პროფკავშირების შესახებ“, „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი“).

2. რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობამ ამ ნაირად დასახა პროფკავშირების ამოცანები სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს პროლეტარულ სახელმწიფოში: „პროლეტარულ სახელმწიფოს თავისი ბუნების შეუცვლელად შეუძლია დაუშვას ვაჭრობის და კაპიტალიზმის განვითარების თავისუფლება მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში და მხოლოდ იმ პირობით, თუ კერძო ვაჭრობის და კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმის მოწესრიგება (ზედამხედველობა, კონტროლი, ფორმების, წესრიგის და სხ. განსაზღვრა) იქნება სახელმწიფოს ხელში. ასეთი მოწესრიგების წარმატება დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლებაზე, არამედ კიდევ უფრო პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელ მასების სიმწიფის დონეზე, კულტურის დონეზე და სხ. მაგრამ ასეთი მოწესრიგების სრული წარმატებით ჩატარების დროსაც კლასობრივ ინტერესების, შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა უსათუოდ დარჩება. ამიტომ, პროფკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა დაიცვას ყოველმხრივ და ყოველივე საშუალებით პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ, და შემდეგ: „პროლეტარიატი წარმოადგენს კლასიურ საფუძველს სახელმწიფოსი, რომელიც ახდენს გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში იმ ქვეყანაში, სადაც დიდ უმრავლესობას შეადგენს წვრილი გლეხობა, პროლეტარიატს შეუძლია წარმატებით შეასრულოს ეს ამოცანა იმ პირობით თუ მეტად ფრთხილად, სადად და თანდათანობით განახორციელებს კავშირს გლეხობის დიდ უმრავლესობასთან. პროფკავშირები უნდა წარმოადგენდენ უახლოეს და აუცილებელ თანამშრომელს სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც მთელის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში ხელმძღვანელობს მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი—კომპარტია. როგორც სკოლა კომუნიზმისა, საზოგადოთ, პროფკავშირები უნდა წარმოადგენდენ კერძოთ სოციალისტური მრეწველობის (ხოლო შემდეგ თანდათანობით მიწათმოქმედების) მართვა-გამგეობის სკოლას მთელი მუშათა მასებისათვის და შემდეგ ყველა მშრომელებისათვისაც“.

3. პროფკავშირების სამი წლის მუშაობამ თავისი მიღწევებით გამართლეს ის გზა, რომელიც მისცა პარტიის მე-3-ე ყრილობამ პროფმოძრაობას.

პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ სახალხო მეურნეობის აღდგენაში, ამტკიცებდენ რა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას.

4. ქვეყნის სამეურნეო ზრდის განმტკიცების, მრეწველობის აღორძინების საფუძველზე, ამავე დროს რიცხვობრივად და თვისობრივად იზრდებიან მუშათა კლასის რიგები—ძლიერდება და მტკიცდება მისი მასიური ორგანოების—პროფკავშირების მუშაობა (წევრთა რაოდენობის გაძლიერება, საფაბრიკო საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების, ურთიერთ დახმარების კასების, კლუბების და სხვ. მუშაობის გაუმჯობესება და საგრძნობლად გამოცოცხლება).

5. მაგრამ მიუხედავად პროფკავშირების მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესებისა, მათ ჯერ კიდევ სავსებით ვერ აღმოფხვრეს სამხედრო კომუნიზმის პერიოდის მუშაობის მეთოდები, რაც გამოიხატება ზოგჯერ სამეურნეო ორგანოს კავშირით შეცვლის ტენდენციაში, სამეურნეო ფუნქციების მითვისების ცდაში, ბრძანებლობისა და ბიუროკრატიზმის განვითარების შემთხვევებში.

6. სახალხო მეურნეობის გაძლიერება, მრეწველობის შეუჩერებელი აღორძინება, რასაც თან ახლავს შრომის ნაყოფიერების ზრდა—პროლეტარიატის რიგების გაფართოებასთან ერთად იწვევს მუშათა კლასის მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ იზრდება სამუშაო ხელფასი, უმჯობესდება სოციალური დაზღვევა და საექიმო დახმარება, ფართოვდება დასასვენებელ სახლების და სანატორიუმების ქსელი და უფრო ფართოდ ხდება მუშათა მასების კულტურულ-განმანათლებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

7. მრეწველობის ზრდის და პროლეტარიატის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიხედვით, იზრდება და ვითარდება მისი აქტივობა, რომელიც პარტიამ უნდა გამოიყენოს პირველყოვლისა პროფკავშირების საშუალებით, რომლებიც აერთიანებენ მშრომელთა ფართო მასებს, და მისცეს ამ აქტივობას მაქსიმალური გასაქანი, რისთვისაც სავსებით უნდა იქნეს გატარებული პროფკავშირთა მუშაობაში ფართო მუშათა დემოკრატიის პრინციპები.

8. ხაზი, რომელიც დასახა ამ მიმართულებით მე-14-ე პარტკონფერენციამ, სავსებით გამართლებულია. პროფკავშირების მუშაობაში ფართო დემოკრატიის გატარების პირველმა შედეგებმა გამოიწვიეს პროფმუშაობის საგრძნობლად გამოცოცხლება და საკავშირო ორგანოების ავტორიტეტის ამაღლება ფართო მასების თვალში. საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების გადარჩევის უკანასკნელ კამპანიას მოჰყვა შედეგად საერთო კრებებზე დამსწრეთა რაოდენობის ძალიან გადიდება, უფრო მეტი აქტივობა დღის წესრიგში არსებულ საკითხების განხილვის დროს, უფრო მეტი საქმიანი კრიტიკა საკავშირო და სამეურნეო ორგანოების დეფექტებისა და გაცხოველებული ინტერესები საკავშირო ორგანოების არჩევნებისადმი.

9. რომ საბოლოოდ განმტკიცებული იქნეს ფართო დემოკრატიის მეთოდი პროფკავშირთა მუშაობაში, აუცილებელია უკანასკნელმა საბოლოოდ თავი დააღწიოს გადახრას სამეურნეო ფუნქციების მითვისებისაკენ, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მუშათა მასებისაგან მოწყვეტა და სახელის გატეხა კავშირისათვის, როგორც მშრომელთა ინტერესების დამცველ ორგანოსათვის. კავშირებმა, რომლებიც რჩებიან უმთავრესად პროლეტარიატის ინტერესების დამცველ ორგანოებად, ამ მიმართულებით თავიდან უნდა აიცილონ ჯგუფური, ცეხური ინტერესებით გატაცების საფრთხე, რათა საერთოდ კლასის ინტერესები არ ანაცვლონ ჯგუფურ ინტერესებს არამედ შეუთანხმონ ცალკე კავშირის ინტერესები მთელი მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს.

10. მუშათა დემოკრატიის გატარება ნიშნავს არა მარტო დემოკრატიულ, პერსონალურ არჩევნების ჩატარებას საკავშირო ორგანოებში. ის ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ არჩევნების შემდეგ მთელი საკავშირო მუშაობა დაყენებული იქნეს ისეთ საფუძველზე, რომ ყველა აქტიური ელემენტები ჩაბმული იქნენ კავშირების აქტიურ მუშაობაში, კიდევ უფრო განვითარებული იქნეს საკავშირო ორგანოების არჩევნები დემოკრატიული წესით, შეიქმნეს ახალი პროფაქტივი და წამოყენებული იქნენ მუშების ახალი კადრები პროფესიონალურ სამუშაოზე, რაც არა მარტო უზრუნველყოფს პროფკავშირების კავშირს მასებთან, არამედ აგრეთვე შეუძლებელს ხდის პროფკავშირთა ბიუროკრატიის წარმოშობას.

11. რადგან ერთ-ერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს საკავშირო მუშაობაში უპარტიო მუშათა აქტიურ წრეების ჩაბმა, პარტიამ, რომ შეინარჩუნოს თავის ხელში პროფესიონალური მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ფრაქციების მუშაობას პროფკავშირებში და მათ მიმართ პარტიული ორგანოების სწორი ხელმძღვანელობის გატარებას. პარტიამ, რომელიც არ ერევა პროფკავშირების წვრილმან, ყოველდღიურ მუშაობაში, ფრაქციების საშუალებით უნდა შეამოწმოს და გამოასწოროს კომუნისტების მუშაობის ხაზი პროფმოძრაობაში.

12. პარტიამ უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე ოდესმე, უნდა მიაქციოს პროფმუშაკების შერჩევას. კავშირების ხელმძღვანელები უნდა სარგებლობდენ გავლენით მუშათა ფართო მასებში. ამიტომ ყოველგვარი შეცვლა დაკავშირებული უნდა იქნეს ყრილობასთან, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს ფრაქციების საშუალებით და მათთან შეთანხმებით.

13. დიდი მნიშვნელობა ეხლანდელ პირობებში ეძლევა პროფკავშირების მუშაობას სოფლად. კავშირებს, რომლებიც აერთიანებენ თავის გარშემო სოფლის ინტელიგენციას და ღარიბ ელემენტებს, შეუძლიათ და უნდა გახდენ პარტიის დასაყრდენი ბრძოლაში კულაკების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ წამოყონ თავი.

14. რამდენადაც შესაძლებელია, რომ კავშირები გადაიქცენ სოფლად პარტიის გარშემო ღატაკთა და კულტურულ ძალთა შემომკრებ ორგანოებად, იმდენად აუცილებლად საჭიროა აღნიშნული მიმართულებით კავშირების მუშაობის მაქსიმალური გაძლიერება და გაფართოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახმარება, როგორც კარგი მუშაკების შერჩევით, ისე მატერიალური დახმარება მიწა-ტყის კავშირის მიერ, რომელმაც მჭიდროდ უნდა შეაკავშიროს თავის რიგებში სოფლის ღატაკებისა და მოჯამაგირეთა უმეტესი ნაწილი. განათლების მუშაკნი, სააღმშენებლო მედსანშრომის და საბჭოთა მოსამსახურენი აერთიანებენ საქართველოს სოფლებში 30.000 წევრს, გარდა 14.000 მოჯამაგირისა, რომლებიც მიწა-ტყის კავშირის გარშემო არიან დარაზმულნი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ კავშირებს უმთავრესად მუშაობა უხდებათ სოფლად, მათი ყოვლმხრივი განმტკიცების ამოცანა ხდება უდიდ საკითხად. პროფკავშირთა წევრების ასეთი დარაზმული ლაშქარი, თუ მუშაობა წესიერად იქნა დაყენებული, პარტიის მიერ დახმარების გაწევისა და კარგი ხელმძღვანელობის პირობებში, გადაიქცევა სოფლად პარტიის პოლიტიკის გატარებისა და პროლეტარიატისა და გლეხობის შუა კავშირის განმტკიცების დასაყრდენ ძალად, პირველ რიგში კი კულტურულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის იარაღად, საბჭოთა ძალა-უფლების აქტიურ თანაშემწედ, ყოველგვარ ბოროტმოქმედებათა აღკვეთაში და სოფლად რევოლიუციონური კანონიერების გატარებისათვის ბრძოლაში.

15. კავშირებმა ყოველ მხრივ უნდა დაიცვან სოფლის ღატაკთა ინტერესები, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში მექანიკურად არ უნდა გაავრცელონ გლეხობაზე ყველა ის ნორმები და შრომის პირობები, რომლებითაც ქალაქის მუშები სარგებლობენ. კავშირების მუშაობა სოფლად უნდა იყოს მეტად მოქნილი და სოფლურ პირობებთან შეფარდებული. კავშირები უნდა არჩევდენ „კულაკს“ საშუალო შეძლების გლეხისაგან და ამგვარად უნდა ატარებდენ თავის ეკონომიურ მუშაობას სოფლად.

პროფკავშირების საორგანიზაციო მუშაობა

16. პროფკავშირების მუშაობის მთელი მეთოდი მოღვაწეობის ყველა დარგებში უნდა შენდებოდეს მასიური მუშაობის გაძლიერებასა და განმტკიცებაზე. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მაქსიმალური ყურადღების მიქცევა კავშირების მხრით იმ საკავშირო უჯრედების განმტკიცებაზე, რომლებიც აწარმოებენ უშუალო მასიურ მუშაობას კავშირების წევრებს შორის; ასეთები არიან: ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები და სხვადასხვა კომისიები, საწარმოო თათბირები, კლუბები და სხ. არჩევნების დროს გატარებული უნდა იქნეს ფართო დემოკრატიზმი და კრიტიკის თავისუფლება კავშირების ორგანოთა მოღვაწეობის განხილვის დროს და თანაც მიზნად უნდა იყოს დასახული, რომ ყველა აქტიური ელემენტები, როგორც პარტიული ისე უპარტიო, ჩაებას ქვედა საფეხურის საკავშირო მუშაობაში.

17. კავშირების ყველა ორგანოები პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდენ თავიანთი მუშაობის გამო კავშირების წევრთა წინაშე. თავის დროზე ანგარიშების წარდგენამ საკავშირო მოღვაწეობის ყოველ დარგში, წინასწარმა მსჯელობამ კავშირების მიერ გათვალისწინებულ ზომების შესახებ უნდა გააძლიეროს პროფკავშირის მასის აქტივობა.

კავშირებმა არასოდეს არ უნდა მიიღონ რეპრესიული ზომები იმათ მიმართ, რომლებიც ამხელენ პროფესიონალურ მუშაობის ნაკლულოვანებებს. მათ ანგარიში უნდა გაუწიონ საკავშირო მასის მოთხოვნილებებს და სულიერ განწყობილებას.

18. საერთო ყრილობებისა და კონფერენციების მოწვევის ტეხნიკას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან მათი წარმატებითი მუშაობა ხშირად დამოკიდებულია კრებების მოწვევის საქმიანობაზე. ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ხელსაყრელი პირობების შექმნას საერთო კრებების და კონფერენციების მოწვევისა და მუშაობისათვის—ზედმიწევნით შემზადებული უნდა იქნეს დღის წესრიგი და წინასწარვე უნდა ეუწყოს საკავშირო მასებს გასარჩევი საკითხების შინაარსი. დღის წესრიგი უნდა შეიცავდეს ისეთ კითხვებს, რომლებიც უშუალოდ აინტერესებენ კრებაზე მოწვეულ კავშირთა წევრებს.

19. სადი, საქმიანი კრიტიკა კავშირების წევრების მხრით და ალღოიანი მიდგომა მათდამი არჩეულ ორგანოების მიერ საფუძვლად უნდა დაედოს კავშირების მუშაობის წარმატებას.

20. საკავშირო ორგანოების დატვირთვა მათთვის უჩვეულო ფუნქციებით (დაუსრულებელი მოწმობებისა და ცნობების გაცემა, კრედიტების გაცემის მოწესრიგება, სხვადასხვა ორგანიზაციებში წარმომადგენლობა და სხ.) საგრძნობლად უკარგავს მათ საშუალებას გაუწიონ სამსახური საკავშირო მასების უშუალო საჭიროებებს.

კავშირები, განსაკუთრებით კი მათი დაბალი საფეხურის უჯრედები, განთავისუფლებულნი უნდა იქნენ მათთვის უჩვეულო ფუნქციებისაგან, რომლებიც სათანადო სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების ადმინისტრაციას უნდა დაეკისროს.

21. პროფესიონალურ კავშირთა მუშაობის დღევანდელ პერიოდში, როდესაც ამ კავშირებში თავს იყრიან მუშა-მოსამსახურეთა ახალ-ახალი ჯგუფები და ფართო მუშათა დემოკრატია ეთვისება ყველა საკავშირო ორგანოებს უმაღლესიდან უმდაბლესამდე, ხელმძღვანელობის საკითხს ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამიტომ ხელმძღვანელმა პროფორგანოებმა (საქ. პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, ცენტრალურმა გამგეობამ და სხვ.) უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება თავიანთ დაბალი საფეხურის, განსაკუთრებით სამაზრო, უჯრედებს და გაატარონ გეგმა-შეწონილი ხელმძღვანელობა და დაიჭირონ მათთან მტკიცე კავშირი.

22. ხელფასის ზრდამ და თვითეულ კავშირში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობამ, საწევრო გადასახადების შეტანის გაუმჯობესებამ, განამტკიცეს კავშირთა ფინანსიური ძლიერება. საჭიროა მომავალში საშემოსავლო ნაწილი შეუთანხმდეს სახარჯო ნაწილს მაგრამ იმ ვარაუდით, რათა გასავლის დიდი ნაწილი ხმარდებოდეს უშუალო პროფმუშაობას და ამავე დროს მცირდებოდეს მინიმუმამდე აპარატის შესანახი, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სხვ. ხარჯები.

23. საკავშირო საშუალებათა გაფლანგვის ეპიდემია გამოწვეულია უმთავრესად სწორი ფინანსიურ ანგარიშების უქონლობით, სარევიზიო კომისიების და მაღლა მდგომ პროფორგანოების მხრივ სათანადო კონტროლის შესუსტებით სათანადო საგიტაციო მუშაობის და ბოლოს იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოების მუშაობის სისუსტით. საკავშირო საშუალებათა გაფლანგვის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მიექცეს პროფკავშირების მთელი ყურადღება, რისთვისაც საჭიროა შემოღებული იქნეს ანგარიშების შედგენის ერთგვარი გამარტივებული ფორმა დაბალ საფეხურის საკავშირო ორგანოებისათვის, გაცხოველდეს და გაძლიერდეს ადგილობრივ სარევიზიო კომისიების მუშაობა, საჭიროა მაღლა მდგომმა პროფორგანოებმა გააძლიერონ დაბალი საფეხურის საკავშირო უჯრედების დათვალიერება, გაატარონ ბრძოლის საგიტაციო მეთოდები და სხვ.

ამავე დროს იუსტიციის სახ. კომისარიატმა უნდა გააძლიეროს გამფლანგველთა დასჯა, გამართოს მთელი რიგი სანიმუშო პროცესები და დააჩქაროს სამოსამართლო ინსტანციების მიერ გამფლანგველთა საქმეების გარჩევა.

სატარიფო-ეკონომიური დარგი

24. მრეწველობის, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად უკანასკნელ წლის განმავლობაში, ჩვენ გვაქვს რეალური ხელფასის მომატება მრეწველობის, ტრანსპორტის, სახელმწიფო და სავაჭრო წარმოებებსა და დაწესებულებებში როგორც მუშებისათვის, ისე მოსამსახურეებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ხელფასი უკვე აცილდა ომის წინადროის დონემდე, ხოლო სხვა შემთხვევებში—უახლოვდება მას. მაგრამ მუშათა კლასის მოთხოვნილებათა სწრაფი ზრდის, მისი კულტურულად ზრდის დროს—ომის წინა დროის ხელფასის დონეს მიღწევა არ არის დამაკმაყოფილებელი და მშრომელთა ეკონომიურ მდგომარეობის შემდეგი გაუმჯობესება წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების და პროფკავშირების მნიშვნელოვან ამოცანას. მაგრამ ხელფასის მომატება ყოველ ცალკე შემთხვევაში, მჭიდროთ უნდა იქნას დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ამა თუ იმ მეურნეობის ფინანსიურ შესაძლებლობასთან. საკავშირო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ხელფასის მოწესრიგება შრომის სხვა და სხვა დარგში, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ისე, რომ ერთმა ჯგუფმა ძალიან არ გაუსწროს მეორეს მაშინ, როდესაც შეუძლებელია დანარჩენი ჯგუფების გათანასწორება, ამიტომ სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნილებანი უნდა შეუთანხმდეს მთელ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას მთლიანად. პირველ ყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს მუშების ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდებას.

25. პროფკავშირთა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს აქტიური მუშაობა შრომის ნაყოფიერების აწევის დარგში. მათ მიზანს უნდა შეადგენდეს წარმოების გაჯანსაღება, და მონაწილეობის მიღება სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო და საგეგმო მუშაობაში. კავშირებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან მუშაობის ძველი მეთოდები—სამეურნეო ორგანოების ყოველდღიურ მუშაობაში ჩარევა და კატეგორიულად უარყონ სამეურნეო ორგანოების მოვალეობის თავის თავზე აღება მუშების წინაშე. პროფკავშირების ეკონომიურ მუშაობის სიმძიმის ცენტრი საჭიროა გადატანილ იქნას საწარმოო თათბირების და ეკონომკომისიების მუშაობის გაძლიერებასა და გაჯანსაღებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ თათბირების და ეკონომკომისიების მუშაობაში შემჩნეულია მთელი რიგი ნაკლულოვანებათა, მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მრეწველობის და ვაჭრობის გაჯანსაღების საქმეში მათ თავიდან აიცილეს მთელი რიგი პატარ-პატარა ნაკლულოვანებათა, რაც ხელს უშლიდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, შრომის დისციპლინის დამყარებას, სამუშაო დღის ნაყოფიერებას და მუშების ყურადღების და ინტერესის გაძლიერებას წარმოების მიმართ.

26. საწარმოო თათბირების და ეკონომკომისიების მუშაობის შემდეგი გაძლიერება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ თავიდან აცილებული იქნება ის ნაკლულევანებანი, რომელიც შემჩნეულია მათ მოქმედებაში, პირველ ყოვლისა საჭიროა მათ მიმართ საერთო ხელმძღვანელობის გაუმჯობესება უმაღლეს პროფორგანოების მხრივ, ფხიზელი ყურადღება სამეურნეო მუშაკების მიერ საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებებისადმი. საჭიროა განემარტოს მუშებს, თუ რატომ არ შესრულებულა თათბირის ესა თუ ის ღონისძიება და პასუხის გაუცემლად არ იქნას დატოვებული თათბირის, არც ერთი გადაწყვეტილება.

ამავე დროს ძალაში რჩება ძველი დადგენილება პროფკავშირების მიერ სამეურნეო სამუშაოზე კანდიდატების წამოყენების შესახებ.

27. ნაჭრობით მუშაობის სისტემის განუსაზღვრელად და პირდაპირ გატარებას მოჰყვა შრომის ნაყოფიერების და ფაქტიური ხელფასის მნიშვნელოვანი გადიდება. მომავალში იმავე მიზნით საჭიროა, იქ, სადაც ასეთი სისტემა ჯერ კიდევ გატარებული არ არის და სადაც ტეხნიკური პირობების გამო გატარება შეუძლებელია, გაგრძელებული იქნას პირდაპირ განუსაზღვრელ ნაჭრობითი მუშაობის ხაზი. ამასთან ერთად საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიექცეს წარმოებათა ტეხნიკურ გადახალისებას, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას და გაიაფებას, ნედლი მასალის თავის დროზე მოწოდებას, წარმოების სრულ დატვირთვას; ამავე დროს გაძლიერებული უნდა იქნას ბრძოლა გახშირებულ უბედურ შემთხვევებთან, რაც აიხსნება წარმოების ტეხნიკურ მოუწყობლობით, სახელმწიფო ორგანოების მხრივ შრომის სუსტი ზედამხედველობით, წარმოების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობით, და შრომის დამცველ კომისიის მიერ თავის ვალდებულებებისადმი უყურადღებობით.

სოციალური დაზღვევა

28. უკანასკნელ წლებში სოციალურ დაზღვევის დარგში, რაც უმთავრეს როლს თამაშობდა მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებაში,—მიღწეულია დიდი წარმატებანი. გადიდებულია დასაზღვევ გადასახადების შეტანა, ავადმყოფების, შრომის ინვალიდების, უმუშევრების და სხვ. დახმარების ნორმები, გადიდებული და გაუმჯობესებულია წინასწარ გამაფრთხილებელი ღონისძიებანი: დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და სხვ. და აგრეთვე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების საქმე. აღნიშნულ მიღწევების დროს საჭიროა გაგრძელებული იქნას მუშაობა დახმარების გადიდების მიმართულებით და აყვანილი იქნას ეს დახმარება ნორმალურ დონემდე, გაძლიერებული და გაუმჯობესებული იქნას პროფილაქტიური ღონისძიებანი,—განსაკუთრებით დაზღვეულთა მკურნალობის და წამლებით დახმარების დარგში ყველა ღონისძიებათა გატარება სოციალურ დაზღვევის გაუმჯობესების დარგში შესაძლებელია მხოლოდ პარტიის აქტიური დახმარებით, ხოლო პირველ რიგში ეს დახმარება საჭიროა დასაზღვევ ორგანოებისადმი დავალიანების წინააღმდეგ ბრძოლაში იმ დროს, როდესაც დასაზღვევი გადასახადები იკრიბება უკვე დაკლებული ტარიფის მიხედვით.

საბინაო საქმე

29. სახელმწიფოებრივ ხელისუფლების და პროფკავშირების მორიგ ამოცანას შეადგენს ბრძოლა მუშების მწვავე საბინაო კრიზისთან. რესპუბლიკის ყველა დიდ ცენტრებში: თბილისში, ბათომში, ქუთაისში, ტყიბულში, ბორჯომში,—მუშა-მოსამსახურეები იმყოფებიან მძიმე საბინაო პირობებში, ხოლო მახლობელ დროში წარმოების გაფართოების შემდეგ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება. საბინაო კრიზისის შესამსუბუქებლად დღემდის ძალიან ცოტაა გაკეთებული. ამიტომ კავშირებმა, სახელმწიფო, სამეურნეო და კომუნალურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები ამ მიმართულებით. პროფკავშირებმა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ თავიანთი მუშაობა კოოპერატიულ საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობათა მოსაწყობად.

უმუშევრობა და მუშა ძალების მომზადება

30. მიუხედავად დიდი უმუშევრობისა ქალაქ ადგილებში მაინც აშკარათ ემჩნევა ნაკლულევანება კვალიფიციურ მუშა-ძალებს. ახლო მომავალში კი, წარმოების უფრო მეტ განვითარებასთან ერთად შრომის ბაზარზე მოსალოდნელია კვალიფიციურ მუშა-ძალების სრული გაქრობა. ამიტომ კავშირები და განსაკუთრებით სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან გამოიანგარიშონ თავიანთთვის საჭირო მუშა-ძალების რაოდენობა და შეუდგენ მათ შემზადებას, როგორც ორგანიზაციისა, საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებისა, საამქრო და კერძო შეგირდობის საშუალებით, ისე საღამოს სკოლებში მოზრდილთა კვალიფიციურათ დახელოვნების მეოხებით.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

31. მშრომელთა მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება მასსების კულტურული მოთხოვნილებაც. ამის გამო კავშირების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობაც ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. საკავშირო კულტ-მუშაობა მიმართული უნდა იყვეს მშრომელთა კლასიურ შეგნების ამაღლებისაკენ, უნდა უპასუხებდეს მათ სულიერ მოთხოვნილებებს, უნდა ატარებდეს მასსიურ ხასიათს და გაურბოდეს როგორც ვიწრო კარჩაკეტილობას ის მხატვრულ ხალტურისაკენ გადახრასაც. კავშირების კულტურული საქმიანობა უნდა ეწყობოდეს ფართო მასსების მშობლიურ ენაზე მუშაობასთან დაახლოებისაკენ.

კულტმუშაობის უმთავრეს ფუძეთ მიჩნეულ უნდა იყოს მუშათა კლუბი, რომლის გარშემოც უნდა იყვეს შემოკრებილი პროფკავშირების მთელი მასსიური კულტურულ განმანათლებელი მუშაობა. კლუბების მუშაობა უფრო უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს კლუბები ზედმეტად არ უნდა გაერთონ კარჩაკეტილ წრეებში მუშაობით, რომლის გარშემოც იკრიბებიან უმთავრესად, ახალგაზრდა მუშები., არამედ საქმე ისე უნდა დააყენონ, რომ ხანში შესული მუშებიც თავიანთი ოჯახობით უნდა იწეოდენ კლუბისაკენ და ჰპოვებდენ იქ თავიანთ კულტურულ-მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

32. როგორც ძალებისა და საშუალებათა ეკონომიისათვის, ისე კლუბის მასების მოთხოვნილებათა საუკეთესოდ დაკმაყოფილებისთვის—კლუბების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება წარმოადგენს დღევანდელი დღის მორიგ საკითხს. განსაკუთრებით აუცილებელია, კლუბების მუშაობა გაერთიანდეს მაზრებში, რაც უეჭველად გავლენას იქონიებს კლუბის მასების მოთხოვნილებათა საუკეთესოდ დაკმაყოფილებაზე. ყრილობას მიზანშეწონილად მიაჩნია მაზრებში პარტიულ და კომკავშირულ კლუბების დამოუკიდებლად არსებობა იმ დროს, როცა იქ არსებობენ მუშათა საერთო კლუბებიც. სოფლად კავშირის ორგანიზაციები უნდა სცდილობდენ გააერთიანონ კულტმუშაობა გლეხებისათვის არსებულ კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების გარშემო. გლეხთა კლუბები, ბიბლიოთეკები, ქოხ სამკითხველოები და სხვა, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ საერთო მუშაობაში.

33. წერა-კითხვის უცოდინარობის ან მცირე ცოდნის ლიკვიდაცია პროფკავშირების წევრებ შორის დიდი წარმატებით მიმდინარეობს. კავშირებმა ამ მხრივ არ უნდა შეაჩერონ თავიანთი მუშაობა, სანამ სრულიად არ მოახდენენ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის სრულ ლიკვიდაციას.

34. კავშირების კულტმუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიზკულტურას. ამ მხრივ აუცილებელია მუშაობის გაფართოება, რომლის დროსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მსროლელთა წრეებს.

თბილისის ორგანიზაციის მორიგი ამოცანები სოფლად მუშაობაში*)

(თეზისების პროექტი თბილისის საქალაქო-სამაზრო კონფერენციისათვის)

1. პარტიის ამოცანები სოფლად მუშაობაში, რომლებიც დასახეს მე-14 პარტკონფერენციამ და რ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმმა, უმთავრესად მდგომარეობენ შემდეგში:

ა) გაძლიერებული იქნეს ღონისძიებები სასოფლო მეურნეობის და შინამრეწველობის განსავითარებლად;

ბ) გაძლიერებული იქნეს ეკონომიური დახმარება და მიმართული იქნეს ის გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმისაკენ და კოლექტიურ ფორმების განვითარებისაკენ სასოფლო მეურნეობაში;

გ) გაეწიოს ეკონომიური დახმარება სოფლის ღარიბ ფენებს განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში;

დ) განვითარებული და გაძლიერებული იქნეს გლეხური საზოგადოებრიობა საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ნიადაგზე (საბჭოების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამოცოცხლება სოფლად);

ე) შემოკრებილ იქნენ პარტიის გარშემო გლეხობის ღარიბი და საშუალო შეძლების მქონე ჯგუფები;

ვ) განმტკიცებული და გამოცოცხლებული იქნენ პარტორგანიზაციები სოფლად.

2. პარტიის დირექტივების პრაქტიკულად განხორციელება საბჭოთა პარტიულ ორგანიზაციების მიერ. თბილისის მაზრის კონკრეტიულ პირობებთან და საშუალებებთან შეფარდებით, იყო და უნდა შეადგენდეს უმთავრეს ამოცანას სოფლად ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მუშაობის დარგში.

3. ჩვენი კონკრეტიული ღონისძიებები დირექტივების განსახორციელებლად მუშაობის მთავარ დარგებში უნდა გამოიხატოს შემდეგში:

1. ეკონომიურ ღონისძიებათა დარგში

1) თბილისის მაზრის უპირატესობა საქართველოს დანარჩენ მაზრებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ თბილისის მაზრას, რომელშიაც შედის ქალ. თბილისი, საშუალება აქვს მიიღოს უფრო მეტი დამატებითი მატერიალური საშუალებები, ვიდრე საქართველოს დანარჩენ მაზრებს.

2) თბილისის აღმასკომის ბიუჯეტი მახლობელ პერიოდისათვის შედგენილი უნდა იქნეს ისე, რომ დოტაცია მაზრისათვის (სასოფლო მეურნეობისათვის, საგზაო აღმშენებლობისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის და სხვ.) შეადგენდეს თბილისის აღმასკომის წმინდა ფინანსიური შემოსავლის 10-დან 15 პროცენტამდე.

ეს ზომა განსაკუთრებით აუცილებელია თბილისის მაზრისათვის, რომელიც წარმოადგენს კულტურულად ერთ-ერთ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მაზრას საქართველოში.

3) გაძლიერებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობა იმ მხრივ, რომ ისინი გლეხობის ღარიბ და საშუალო შეძლების მქონე ჯგუფებს აძლევდენ კრედიტებს და აწვდიდენ სოფელს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თბილისის მაზრისათვის, სადაც მეურნეობათა 41,85 პრ. არ ჰყავს მუშა საქონელი, ხოლო მეურნეობათა 61,95 პროცენტში არის მხოლოდ თითო მუშაკი.

4) ღარიბ მეურნეობათათვის, სასოფლო-სამეურნეო და სარძევე ამხანაგობათათვის და კოლექტივებისათვის დახმარების გასაწევად საჭიროა გამოყოფილ იქნეს სპეციალური საკრედიტო ფონდი განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში.

5) სოფლად საადგილ-მამულო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად დამთავრებულ იქნეს მიწათმოწყობა მახლობელ ოთხი წლის განმავლობაში.

6) სერიოზული ყურადღება მიექცეს თბილისის მაზრის გვალვიან რაიონების მორწყვას, გამოძებნილი იქნეს სათანადო საშუალებები მოსარწყავად (სამგორის მიდამოები).

7) გაღებულ იქნეს კრედიტის სახით განსაზღვრული თანხა წყალსადენების მოსაწყობად ისეთ სოფლებში, სადაც საგრძნობია სასმელი წყალის დიდი ნაკლებობა, აგრეთვე გაღებული იქნეს თანხა სხვა კომუნალურ სამუშაოების მოსაწყობად.

8) გაძლიერებული იქნეს მუშაობა გლეხობის კოოპერაციაში ჩასაბმელად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მოწყობას.

9) საჭიროა გაფართოებული იქნეს მუშაობა თბილისის მაზრის ნიადაგის შესასწავლად, რითა გამორკვეულ იქნეს სასოფლო მეურნეობის რაციონალიზაციის და სპეციალურ კულტურების გაშენების საშუალებანი.

10) სასოფლო მეურნეობის აღდგენის სამუშაოს გეგმიან საფუძველზე დასაყენებლად, საჭიროა საპერსპექტივო გეგმა მახლობელ ხუთი წლისათვის, რომლის დასამუშავებლად მოწვეული უნდა იქნენ საუკეთესო სპეცები.

2. საბჭოების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლება სოფლად

საბჭოთა დემოკრატიის და გლეხობის საზოგადოებრიობის ცენტრად უნდა გახდენ საბჭოები. ამიტომ სოფლად ჩვენი მუშაობის მთავარ მომენტს წარმოადგენდა და წარმოადგენს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების და გაძლიერების ამოცანა.

ამისათვის აუცილებელია:

1) ჩატარებული იქნეს ფართო კამპანია საბჭოების გადარჩევის გარშემო, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნეს მთელი გლეხობის მასის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, (უწყებების სისტემა, პარტ-ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესება და სხვ.)

2) კამპანიის პროცესში დაწყებულ იქნეს პრაქტიკულად ღარიბ გლეხობის შემოკრება პარტიის გარშემო. ამ მიზნით ცალ-ცალკე რაიონებში უნდა იმართებოდეს ღარიბ გლეხების კრებები, რომლებსაც უნდა ესწრებოდენ საშუალო გლეხობის საუკეთესო ელემენტები კანდიდატურების განსახილველად.

3) უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ მუშაკებისაგან აქტივის შექმნას და წამოაყენებას საბჭოების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების შემწეობით, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის გატარება.

4) განმტკიცებული და გაძლიერებული იქნეს სათემო ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას საბჭოების პრაქტიკული მუშაობის განვითარებისათვის სოფლის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

5) აუცილებლად იქნეს ცნობილი საბჭოების ღია სხდომების მოწყობა საერთო-პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების განსახილველად, რათა საბჭოები დაახლოვებით გაეც

---

*) დასასრული

ᲔᲠᲘᲕᲐᲜᲡ

ო, ერივანი! ო, ერი, ვანის
ერი განთქმული ძველი „ნაირის“,
ბევრი დიადის მომსწრეა ხანის,
თან ტანჯვა-სევდის, ათასნაირის...
მაგრამ დღეს ძველ წყლულთ აღარ იგონებს,
რა ახალი გზით მიჰმართა გეზი,
დღეიდან აქ ვერ იხილავს მონებს
ვერც „ურართუ“ *) და ვერც ალაგეზი
ლოყებ-დამსკდარს, ვით მწიფე ალუჩას,
თან აზიური სევდის მჩინარეს,
აბოვიანის გავყურებ ქუჩას,
სულ მოძრავს, როგორც ზანგუ-მდინარეს...
ზანგუ, რომელიც დღეს იკრებს ძალებს,
რომ მოევლინოს ქალაქს, ვით ელვა,
ცისკრის სხივთ ჰმოსს მილიონ თვალებს
ეს რწმენით სავსე უსაზღვრო ღელვა...
დადის აქ ყველგან სევდა, უბირი,
თან სიამაყეც, მამათმთავრული,
შორი სოფლით, რომ ვირს მოსდევს ვირი,
შრომის ზვირთების მზით დასტავრული.
ქარიც მძლეთ რომ ჰშლის შრომის აკორდებს,
გშვენის ეს, ვით ქალს სოფლური კაბა,
როს გულჩათხრობილ უენო კორდებს,
შენში „სიცილით“ მკერდს უმკობს ბამბა...
ირგვლივ ხრიოკი უდაბნო ველი,
როგორც საისლე სჩანს დანარუჯი,
თან სინოყივრეც გაქვს საკვირველი
და მაღლით კი ცა თეფშივით ლურჯი!..
და ამ ცის ლურჯ თალს, ვით წყვილი კბილი,
შენი ორკაპი აპობს „მასისი“, **)
მწარ მოგონება მისით გაქვს ტკბილი
და სიამაყეც შენშია მისი!..
ო, არარატ!.. ეს არარათი
მთა [illegible] სოფლიოში სახელგანთქმული,
მხიბლავს ცოცხალი მისი სურათი:
ლურჯ ძარღვით, ბროლის ხალათ ჩაცმული...
ცის კამარა რომ გაუხევია
და აზ დუღა ზე მიწის ძლევად,
თუ თავს ღრუბელი არ ახვევია
ახ, ლამაზია გადასარევათ.
ო, ერივანო! ო, ერო, ვანის!
ერო განთქმულო დიდი „ნაირის“,
ხარ მომსწრე ბევრი დიადი ხანის,
თან ტანჯვა-სევდის, ათასნაირის!..
დღეს კი გზა შენს წინ, ცეცხლით ნაფერი,
სჩანს საიმედო და გარკვეული,
და შრომის ძაფით უხვად ნაკერი
რწმენით სავსეა ყოფნის რვეული!..

ნ. ზომლეთელი.

ქ. ერივანი, 1924 წ. 4 ნოემბერი.

---

*) ურართუ—ძველად არარატის მხარე, დღევანდელი აღმოსავლეთი ნაწილი სომხეთისა, ალაგეზი ნახმარია, როგორც ამავე ქვეყნის დასავლეთი ნაწილი.

**) მასისი—არარატის მთა.

ნობ[illegible] ღონისძიებებს, რომელთაც ატარებენ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

6) საბჭოებთან ერთად პირველხარისხოვანი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი გლეხური საზოგადოებრივობის განვითარების საქმეში უნდა ითამაშონ კოოპერაციამ და გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებმა.

3. ᲞᲐᲠᲢᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ა. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

სოფლის ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად თბილისის კომიტეტის მხრივ აუცილებელია:

1. გამოჰყოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის ერთი მოადგილე და ორი ინსტრუქტორი მაზრებში სამუშაოდ.

2. გახშირდეს თემკომების უჯრედთა თათბირები, მაგალითად, ისინი მოწვეულ უნდა იქნენ ყოველი სამი თვის განმავლობაში.

3. გადასინჯულ იქნეს თემკომების უჯრედთა შემადგენლობა.

4. ჩატარებულ იქნეს პირველი საფეხურის პარტიულ-საბჭოთა აპარატის გამოკვლევა თემებში, რის თვისაც გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური კომისია.

5. გაძლიერებული იქნეს ინსტრუქციების მიწოდება ადგილებისათვის, რისთვისაც გახშირებული უნდა იქნეს ინსტრუქტორების დაგზავნა ადგილებზე.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკანდიდატო ჯგუფების მდგომარეობას და მუშაობას.

7. შემოღებულ იქნეს სასოფლო-უჯრედთა მდივნების თათბირების გამართვა თბილისის კომიტეტთან.

8. მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ პარტიის ყველა წევრები გატარებულ იქნენ ლიკპუნქტებში ტეხნიკური უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

9. გაძლიერებულ იქნეს მოძრავ სკოლების მუშაობა.

10. მოეწყოს მოკლევადიანი კურსები სასოფლო უჯრედების მდივნების გადასამზადებლად.

ბ. ᲗᲔᲛᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

სოფლის პარტორგანიზაციის შინაპარტიული მუშაობის მოსაწესრიგებლად აუცილებელია:

1. შემოღებულ იქნეს თემკომებთან სასოფლო უჯრედთა მდივნების პერიოდულ თათბირების მოწვევა, რათა ინსტრუქციები მიაწოდონ მათ პარტმუშაობის და სასოფლო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საკითხების შესახებ.

2. მიმაგრებულ იქნენ თემკომების წევრები ცალკე უჯრედებზე.

3. შემოღებულ იქნეს თემკომების პრაქტიკაში ცალკე უჯრედების მოხსენებების მოსმენა, ამასთან ერთად ჩატარებული უნდა იქნეს უჯრედთა წინასწარი გამოკვლევა ისე, რომ 3 თვის განმავლობაში ყველა უჯრედები არდგენდენ ანგარიშებს.

4. ჩამოყალიბებული იქნენ უჯრედთა ბიუროები.

გ. ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ.

1. პარტორგანიზაციების მუშაობის ძირითად ფორმას გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საქმეში უნდა წარმოადგენდეს უჯრედების ღია კრებები.

2. უჯრედთა კრებებზე უპარტიო გლეხობის მოზიდვის მიზნით, საჭიროა წამოყენებული იქნას გლეხობისათვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხები.

3. ამასთან ერთად უნდა გატარდეს კომუნისტ-გლეხების ინდივიდუალური კავშირი სხვადასხვა უპარტიო გლეხებთან უკანასკნელების პარტიაში და კრებებზე მოზიდვის მიზნით.

4. უნდა იმართებოდეს სათემო კომიტეტების და ყველაზე ძლიერ უჯრედების ღია სანიმუშო სხდომები სხვადასხვა სოფლებში უპარტიო გლეხების მონაწილეობით.

5. უჯრედები და თემკომები ამა თუ იმ თანამდებობაზე თავიანთ კანდიდატების წამოყენების დროს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრან უპარტიო გლეხთა წამოყენებას.

უჯრედების და სათემო კომიტეტის ამოცანას შეადგენს გამოიყენონ უპარტიო გლეხობის აქტივობა და კომუნისტების წამოყენებასთან ერთად წამოაყენონ ყველაზე ავტორიტეტული და პარტიასთან ახლო მდგომი უპარტიო გლეხები.

6. სოფლის ცხოვრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხების განხილვის დროს უჯრედებმა უნდა მიიზიდონ სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა აქტივი (კანდიდატურის არჩევა და განხილვა, სხვა ღონისძიებათა გატარება).

7. გლეხობის შორის მუშაობის გაძლიერებასთან ერთად უჯრედები არჩევენ სოფლის დაქირავებულ მუშების, ღარიბ და პარტიასთან უფრო ახლოს მდგომ საშუალო შეძლების გლეხთა წრიდან საუკეთესო ელემენტებს მათი პარტიაში მისაღებად.

8. ამასთან ერთად უჯრედები ყურადღებას აქცევენ პარტიაში სოფლის პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მუშაობის იმ აქტიურ ორგანიზატორების და კულტურულ მუშაკების მიზიდვას, რომლებიც პოპულიაროპით სარგებლობენ გლეხთა შორის. ასეთ მიზიდვას საფუძვლად უნდა დაედოს ინდივიდუალური შერჩევა.

დ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

1. კომკავშირის ხელმძღვანელობის საკითხს კომპარტიის სოფლის ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება.

2. კომკავშირის უმთავრეს საკითხად მაზრაში უნდა იქნას აღიარებული საკითხი პარტიული კადრის დასაცავად ჰასაკგადაცილებულთა შესახებ. (მაზრაში პირველი უდრის 4,5 პროცენტს, ხოლო მეორე 16,5 პროცენტს).

2. უჯრედები მახლობელ პერიოდში უნდა შეუდგენ პარტიაში კომკავშირის აქტივის საუკეთესო ნაწილის და სტაჟ და ჰასაკ გადაცილებულთა გადაყვანას.

4. საჭიროა განიტვირთოს კომკავშირის პარტიული კადრი უშუალო პარტიულ მუშაობისაგან და მის უმთავრეს მუშაობად. უნდა იქნას აღიარებული—მუშაობა კომკავშირში.

5. კომკავშირის აქტივობის ზრდა უნდა იქნას მიმართული პრაქტიკულ მუშაობისაკენ სასოფლო მეურნეობის ასაწევად (ახალგაზრდობის სასოფლო-სამეურნეო წრეების ორგანიზაცია) და აგრეთვე პოლიტიკურ მომზადების გასაძლიერებლად (პოლიტწრეები, საკლუბო მუშაობა, მუშაობა ქოხ-სამკითხველოებში).

6. ამასთან ერთად კომკავშირი უნდა ჩაებას საზოგადოებრივ საბჭოების; გლეხკომების, კოოპერაციის და ექ. მუშაობაში.

7. საჭიროა, რათა კომკავშირში ჩაბმული იქნას სოფლის დაქირავებული მუშების, ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობის 100 პროც. და ამავე დროს მიზიდული იქნას საშუალო შეძლების გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ

როგორც უკვე აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში პირველ დეკემბრიდან საქართველოს ახ. კომკავშირის ცეკა უშვებს ყოველდღიურ გაზეთს „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს სახელწოდებით. ამას უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს კომკავშირის აღზრდისა და განვითარებისათვის.

პრესა ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა. პრესის საშუალებით კომუნისტური პარტია აყალიბებდა თავის ორგანიზაციას, პრესის საშუალებით იკრებდა თავის გარშემო [illegible]თა კლასის საუკეთესო ნაწილს, [illegible]ის საშუალებით ებრძოდა ის [illegible]გვარ გადახრას ნამდვილ [illegible]ლეტარულ ხაზიდან.

ყოველდღიური გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, არ გადასცდება რამდენიმე ათეული წლობით განმტკიცებულ გზა[illegible] და ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიის მომავალი იმედის ახ. კომკავშირის რიგების განმტკიცებას, ლენინურათ აღზრდას და განვითარებას.

საქართველოს კომკავშირი დღეს ერთ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენს. ის დღითი-დღე იზრდება. იზრდება მისი გავლენა და ავტორიტეტი ახალგაზრდა მუშებში, გლეხებში და მოსწავლე ახალგაზრდობაში. მაგრამ, დასამალავი არ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ცუდი მხარეებიც ახლავს, როგორც ცალკე ორგანიზაციებს, ისე თვითეულ წევრსაც. საჭიროა რომ ყოველდღიური პრესა სასტიკად ებრძოლოს ამ უარყოფითი მხარეებს კომკავშირის რიგებში. აქ არავითარ მორიდებას, არავითარ მერყეობას ადგილი არ უნდა ექნეს.

დღეს ხშირათ შეხვდებით სოფლებში, როდესაც კომკავშირლები ლოთობაში ატარებენ მთელ დროს. ან და ხშირათ აქვს ადგილი ფთავბოლოთ იარაღის ტრიალს და ხმარებას, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. ჩვენი პარტიის ხაზიც სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრმა კომკავშირელმა ვერ გაიგო, და ისინი დღესაც ისეთივე უხეშათ ეპყრობიან ამ საქმეს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინათ. ზოგიერთი კომკავშირელი არხეინად გრძნობს თავს, რომ კომკავშირის რიგებში ითვლება და სრულიად არ ფიქრობს ისწავლოს, იმეცადინოს და რამე შეიძინოს, არ ფიქრობს თვითგანვითარებაზე. ყველა ამ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრას უნდა ებრძოლოს „ახალგაზრდა კომუნისტი“.

ორიოდე სიტყვა „ახალგაზრდა კომუნისტის“ გავრცელების შესახებ. გაზეთი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამოვა 1 დეკემბრიდან. ამ გაზეთის გავრცელებას აქედანვე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. აქედანვე უნდა ჩატარდეს მაზრებსა და რაიონებში გაზეთის გავრცელების კამპანია. უნდა ფართოდ გაშუქდეს ფაბრიკა ქარხნებში, დაწესებულებებში, სოფლებსა და თემებში საკითხი კომკავშირის პრესის მნიშვნელობაზე. მუშა და გლეხ-ახალგაზრდობას უნდა ჩაუნერგოთ, რომ „ახალგაზრდა კომუნისტი“ მისი გაზეთია, რომ ეს გაზეთი ასწავლის მას, თუ როგორ იბრძოდა კომუნისტური პარტია ათეული წლების განმავლობაში ოქტომბრის გასამარჯვებლათ, თუ როგორ იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე მუშა და გლეხი. ეს გაზეთი შეასწავლის ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობას ბოლშევიზმს და ბოლშევიზმის გზით ბრძოლას ოქტომბრის მთელ ქვეყანაზე გასამარჯვებლათ.

საქართველოს ფარგლებში არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა და გლეხი, რომ „ახალგაზრდა კომუნისტი“ არ გამოიწეროს და ხელი არ შეუწყოს მის გავრცელებას. ყველა პარტორგანიზაციებმა ამ კამპანიის ჩატარებას ხელი უნდა შეუწყონ.

დავეხმაროთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გავრცელებას, დავეხმაროთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გაძლიერებას მატერიალურათ და მორალურათ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ჩვენში, საქართველოში, საბჭოთა არჩევნები დაიწყება მომავალი წლის იანვრიდან. ჩვენი პარტია ამ არჩევნებისთვის აქედან უნდა ემზადოს. ამისათვის დრო კიდევ ბევრია. საბჭოების ხელახალი არჩევნების ჩატარების დროს პარტიის ხაზი სრულიად გატარებული უნდა იქნეს. თუ შარშან ადგილი ჰქონდა ამ ხაზიდან გადახრას, წელს ასეთს ადგილი არ უნდა ექნეს. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა ისარგებლონ შარშანდელი გამოცდილებით და წლევანდელ არჩევნებს მომზადებული უნდა შეხვდენ.

პირველად ყოვლისა საჭიროა, რომ პარტიის წევრებმა, განსაკუთრებით სოფელში მომუშავე ამხანაგებმა, შეიგნონ და შეითვისონ პარტიის პოლიტიკა საბჭოთა არჩევნების საქმეში. ბევრ ჩვენ ამხანაგს არ ესმის, ბევრ ჩვენმა ამხანაგებმა ვერ შეიგნო, პარტიის ხაზი არჩევნებში და ამ ხაზის გატარების მნიშვნელობა. ამიტომ დადებითი მხარეებთან, შარშანდელ არჩევნებს უარყოფითი მხარეებიც ბლომათ ჰქონდა. ამას აღნიშნავს თავის ცირკულიარში ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ასეთ მდგომარეობის აღმოსაფხვრელათ წინადადებას აძლევს სამაზრო და საოლქო პარტკომებს, რომ „ჩატარდეს შინა-პარტიული კამპანია იმ მიზნით, რომ სოფლის პარტორგანიზაციებისთვის ახსნილ და განმარტებულ იქნას პარტიის მიერ აღებული კურსი... საბჭოთა არჩევნების საქმეში“.

მაშასადამე, სანამ წინასწარი საარჩევნო კამპანია დაიწყებოდეს, საჭიროა თვით პარტიის წევრთა მომზადება არჩევნებისთვის. ეს აუცილებლათ საჭიროა, რომ არჩევნებში ნამდვილათ გატარებულ იქნას პარტიის ხაზი.

რას უნდა მიექცეს პირველათ ყურადღება? საჭიროა, რომ არჩევნები აუცილებლათ ჩატარებულ იქნას პარტიულ უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. დამნეულობას ადგილი არ უნდა ექნეს. ეს ხელმძღვანელობა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ არჩევნებმა ხელი შეუწყოს გლეხების ფართო მასებს საბჭოების გარშემო შემოკრებაში; ამ მასების დაინტერესებას საბჭოების მუშაობით.

ადგილობრივ ორგანიზაციებმა მომავალი არჩევნები წარმატებით უნდა ჩაატარონ.

გ. ლ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲐ

ᲤᲝᲗᲘ

ჩვენი ორგანიზაცია

ფოთის ა. კ. კ. ორგანიზაცია აერთიანებს 25 უჯრედს, რომლებშიაც ირიცხება 557 წევრი და კანდიდატი. ამათში 48 ახალგაზრდა ქალია. უჯრედების სხდომები იმართება სისტემატიურად. დისციპლინა მტკიცეა. პოლიტმეცადინეობა საუცხოვოდ მიმდინარეობს. ორგანიზაციის ავტორიტეტი უპარტიო ახალგაზრდობაში კარგია: ამიტომაა, რომ ლტოლვა კომკავშირისაკენ განსაკუთრებით კი ამ ბოლო ხანებში, ძლიერ გაიზარდა.

კავშირი პარტიულ კომიტეტს და კომკავშირის სამაზრკომს შორის დამაკმაყოფილებელია. ურთიერთშორის წარმომადგენლობითი სისტემა სავსებით დაცულია. ამხ. მეგრელიშვილი, პარტკომის პ | გ მდივანი, არავითარ ძალ-ღონეს არ ზოგავს იმისათვის, რომ კომკავშირის რიგებში კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა.

კომკავშირის თითქმის ყველა უჯრედებში გამოდის კედლის გაზეთები, რომელშიაც აქტიურად ჩაბმული არიან ამხანაგები. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კედლის გაზეთებში ამხანაგები სათანადოთ აშუქებენ ყველა მტკივნეულ საკითხებს.

დ. ვაჩეიშვილი.

ᲡᲝᲤ. ᲛᲣᲟᲐᲚᲘ (ზემო-სვანეთი)

ჩვენი უჯრედის მუშაობა

ჩვენი უჯრედი აკავშირებს 75 კომკავშირელს, ამათში 30 ქალია. უჯრედის მუშაობა განსაკუთრებით ძლიერია ზაფხულობით, რადგან ამ პერიოდში სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიან მოსწავლე ახალგაზრდები, რომლებიც სათავეში უდგებიან უჯრედის საერთო მუშაობას. ზამთრობით კი სულ სხვა მდგომარეობაა. უჯრედი ჰკარგავს თავის სიცხოველეს. მასში მუშაობაც მოდუნებულია.

აღსანიშნავია, რომ სამაზრო კომიტეტი ჩვენს უჯრედს არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს. ამას ბოლო უნდა მოეღოს. უჯრედში უნდა აღმოიფხვრას მუშაობის სეზონური ხასიათი.

ზ. მ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲤᲐᲠᲗᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ

ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ა | კ. განყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

თბილისის ფართლეულობის ბაზარი ოქტომბრის მეორე ნახევარში მეტათ გაცხოველებული იყო. დიდი მოთხოვნილებაა, როგორც ბამბის ქსოვილებზე, ისე კამვოლის ნაწარმოებზე, მაუდზე და სელის და აბრეშუმის საქონელზე. როგორც წინეთაც, მოთხოვნილება ბამბის ქსოვილებზე მრავალჯერ აღემატება მიწოდებას. ოქტომბრის მეორე ნახევარში საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ა | კ განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო ჩვიდმეტი რონოდა ბამბის ქსოვილები, მაგრამ ეს რაოდენობა საკმარისი არ არის ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბამბის ქსოვილებზე გლეხების მხრიდან. ამ საქონელს უმთავრესად ყიდულობენ სოფლის პირველი საფეხურის კოოპერატივები. განყოფილება უმეტეს შემთხვევებში ვერ ახერხებდა მათი მოთხოვნილების სრულათ დაკმაყოფილებას.

განყოფილებამ კერძო ვაჭრებს შეუწყვიტა ბამბის ქსოვილების მიცემა.

კერძო ბაზრის ფასები სასეზონო ქსოვილებზე 50—100 პროცენტით აღემატება განყოფილების ფასებს.

თბილისის განყოფილების კლიენტურა ოქტომბრის მეორე ნახევარში უმთავრესათ შესდგებოდა კოოპერატივებისა და სახელმწიფო ორგანოებისაგან. განყოფილების ბრუნვის ნახევარზე მეტი მოდის კოოპერაციაზე.

გ.

ᲐᲛ.-ᲙᲐᲕᲙ. ᲤᲘᲜᲡᲐᲮᲙᲝᲛᲨᲘ

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲒᲚᲔᲮᲝ ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ

იმის გამო, რომ ხელისმოწერამ მეორე საგლეხო სესხზე უკვე გადააჭარბა გამოცხადებულ თანხას ორ-ნახევარჯერ, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განკარგულება მოახდინა სესხზე ხელისმოწერის შეწყვეტის შესახებ მიმდინარე წლის 12 ნოემბრიდან.

დღეს ხელისმოწერა გაგრძელდება მხოლოდ დღის 3 საათამდე, რის შემდეგაც ხელისმოწერა სრულიად შეწყვეტილი იქნება. ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებში და შემნახველ კასებში.

Ა. | Კ. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კომისია, რომელიც მოახდენს ა. | კ. ფინანსიურ აპარატის გამოკვლევას.

გამოკვლევის მთავარი მიზანია, გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ დაკავშირებულია ა | კ. ფინანსიური აპარატი ტიპიურ ფორმებთან, რამდენათ განსხვავდება ამ უკანასკნელთაგან და სხვა. განსაკუთრებითი მნიშვნელოვანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ მიზანშეწონილია ეს გადახრა და ამართლებს თუ არა მას ადგილობრივი პირობები.

გამოკვლევა შეეხება აგრეთვე კვალიფიციური მუშაკების მომზადების, შრომის ხელფასის, შტატების, სასტრუქტურო ფორმების, სხვადასხვა ორგანოების ურთიერთობის, ნაციონალიზაციის, რაიონებათ დანაწილების და სხვა საკითხებს.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲤᲐ.

ა | კ ფინსახკომში მიღებულ ცნობების თანახმად პირველ ნოემბრამდე ა | კ რესპუბლიკებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოვიდა შემდეგი რაოდენობით:

საქართველოში—386.392 მან., სომხეთში—193.154 მან. და აზერბეიჯანში—327.063. სულ მთელ ა.-კ. შემოვიდა—906.609 მან.

Ა.-Კ. ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად, ცენტრის მიერ 24 | 25 წლების თანხების ანგარიშების დამატებით გაღებულია 180,000 მანეთი.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

Ს.-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანია თბილისის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. საგადასახადო განყოფილების ცნობების მიხედვით, პირველ ნოემბრისათვის თბილისის მაზრაში გადასახადი შემოვიდა 54.710 მანეთის 27 კაპ. რაოდენობით.

ფინსახკომის რწმუნებულის სამართველოს დავალების მიხედვით, მაზრაში შეგროვებული უნდა ყოფილიყო განაწერის 30 პროცენტი, დავალება კი შესრულებულია 23 პროცენტით. მაგრამ არის ისეთი რაიონებიც, სადაც პროგრამა შესრულებულია 200 პროცენტით. საჩივრები გადასახადის უსამართლოთ გაწერაზე ძალიან ცოტაა.

ზემოაღნიშნულ თანხის გარდა, წარსული წლის გადასახადის აუკრეფელ თანხების ანგარიშში შემოვიდა 974 მან. 30 კ.

ᲛᲔᲚᲕᲘᲜᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

სრულიად საქართველოს მევენახე-მეღვინეთა კოოპერატივების კავშირმა მეღვინეთა კოოპერატივებს დაურიგა ავანსები ღვინის დამზადებისათვის; ავანსები განაწილებულია შემდეგნაირად:

ამხანაგობა „დიმ“-ს—10,000 მანეთი, ამხ. „ბაღდადს“—8.000 მანეთი, ამხ. „ხვანჭკარა“-ს—3000 მანეთი, ამხ. „კავშირთ კავშირს“—44,000 მან., ამხ. „კახეთს“—35,000 მანეთი, ამხ. „წინანდალს“—18,000 მანეთი; სულ ყველა კოოპერატივებისათვის დარიგებულია 131.600 მანეთი.

მევენახე-მეღვინეთა კავშირს თავისი კოოპერატივების საჭიროებებისათვის განზრახული აქვს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის საშუალებით შეიძინოს 20,000 ფუთი შაბიამანი და 20,000 ფუთი გოგირდი.

კავშირმა დაამთავრა ყველა კოოპერატივების შენობების და ქარხნების ჩაბარება. ამას გარდა კავშირის მიერ ბაქოში გახსნილია თავისი განყოფილება.

კავშირის ინიციატივით გორის მაზრაში ეწყობა ამერიკული ვაზის სადედე.

— **ქიმიური ქარხნისათვის** „აჭარპრომტორგმა“ ქიმიურ ქარხნისთვის საზღვარგარეთ შეუკვეთა ახალი კონსტრუქციის მანქანები.

— **საქონლის შემოტანა.** ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა მარსელიდან გემ „ფრიკემ“-ით ბათომში მიიღო 16,575 კილო სხვადასხვა საქონელი.

— **თხილის დამზადება.** კოოპერატიული კავშირის ბათომის განყოფილებამ გლეხებისაგან შეიძინა 18,000 ფუთი თხილი.

— **სპირტის დამზადება.** წარმოკავშირის სპირტისა და კონიაკის სახელი ქარხნები თბილისში და იმერეთში მიმდინარე წელს დაამზადებენ 900,000 გრად. სპირტსა და კონიაკს.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ

საქ. ჯან. სახკომმა გამოიმუშავა და საქარ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარადგინა სოციალურ სნეულებებთან ბრძოლის ხუთი წლის გეგმა, რომელშიაც შედის ბრძოლის გეგმა ალკოჰოლიზმთან, ტუბერკულიოზთან და ვენერიულ ავადმყოფობასთან.

ᲓᲘᲡᲞᲐᲜᲡᲔᲠᲔᲑᲘ.

გეგმის მიხედვით მთავარი ყურადღება ექცევა პროფილაქტიურ მუშაობას, რისთვისაც განზრახულია ყოველ მაზრაში გაიხსნას ერთი დისპანსერი მაინც. თითო-თითო დისპანსერი გაიხსნება სამრეწველო რაიონებში: ჭიათურაში, ტყიბულში და ფოთში.

გარდა ამისა განზრახულია ორ-ორი დისპანსერის გახსნა ავტონომიურ რესპუბლიკებში—აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში და აფხაზეთში.

ᲡᲞᲔᲪ. ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ.

რაც შეეხება მუშაობის ტეხნიკას, ავადმყოფობათა აღმოსაჩენად და გამოსარკვევად სოფლებში ივლიან სპეციალური გამომკვლევი რაზმები, რომელთა დანიშნულებაც იქნება ავადმყოფობის გამორკვევა და სანიტარულ განათლების გავრცელება მცხოვრებთ შორის. რაზმების საქმე იქნება აგრეთვე ავადმყოფების დაგზავნა დისპანსერებში, რომელნიც მკურნალობას და კარგს კვებას საჭიროებენ.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წინასწარ ზომების მიღებას გადამდებ ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ. ამ მიზნით გადამდებ სნეულებით დაავადმყოფებულნი უღარიბეს ოჯახებიდან მოთავსებული იქნებიან დღიურ და ღამის სანატორიუმ-დისპანსერებში.

ᲡᲐᲜᲘᲢ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

გაძლიერებული მუშაობა იწარმოებს აგრეთვე მოწაფე ახალგაზრდებს და სამეურნეო წარმოებების მოზარდებს შორის. ამ ჯგუფების მდგომარეობა განსაკუთრებულ გულმოდგინეობით იქნება შესწავლილი იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ იქნეს გადამდები სნეულებანი და მიღებული იქნეს სათანადო ზომები მათ გავრცელების წინააღმდეგ.

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე ექიმ-ლექტორთა კადრის შექმნა ადგილებზე სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად და პროფილაქტიურ პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად.

გეგმა გულისხმობს აგრეთვე მასსებისათვის პოპულიარული ლიტერატურის ფართე მიწოდებას სოციალურ ავადმყოფობასთან ბრძოლის დარგში.

გეგმით გათვალისწინებული მუშაობისათვის მოსახლეობას ფული არ გადახდება. ზემოხსენებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება წინ წასწევს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს საქართველოში და თუ სავსებით არა, საგრძნობლად აღკვეთს სოციალურ ავადმყოფობათა გავრცელებას საქართველოს მოსახლეობაში.

ᲑᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲚᲐᲓ

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა, რომელიც დაარსებულ იქნა ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატთან 1924 წლის ნოემბერში, გამოითხოვა ცენტრალური დაწესებულებებიდან საბინაო-საამშენებლო ამხანაგობებისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად 1924—25 საბიუჯეტო წელს 2.095.000 მანეთი, ხოლო 1925—26 საბიუჯეტო წლისათვის კი 9.698.400 მანეთი. ამ გამოთხოვილ თანხიდან ცენტრისგან მიცემულია ჯერჯერობით 4.800.000 მანეთი.

გარდა ამისა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ყოველგვარ ღონისძიებას მიმართა, რომ უკლებლივ ელო მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად გადადებული ანარიცხების ის ნაწილი, რომელიც დანიშნული იყო საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის.

1924 წლისათვის საბინაო მშენებლობისათვის გადადებული ანარიცხები 75 პროცენტის კვალობაზე უდრიდა 41.146 მანეთს. ა | კ. ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად რესპუბლიკებს შორის ეს თანხა ასე იქნა განაწილებული: საქართველოს შეხვდა 24.324 მანეთი 95 კაპეიკი, აზერბეიჯანს 8.109 მან. 32 კაპ. და სომხეთს—6.081 მან. 99 კაპ. გარდა ამ ანარიცხებისა საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად შეკრებილ იქნა ე. წ. მიზნობრივი საბინაო გადასახადი და ადგილობრივი საბჭოების ხუთპროცენტიანი ანარიცხები.

საქართველო-სამეურნეო ორგანოებს ა.-კავკასიაში განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა „[illegible]“-მა, რომელმაც საბინაო საქმის მოსაწესრიგებლად გადასდო 4.089.000 მანეთი.

გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში მუშათა საბინაო ამხანაგობების მიერ პრაქტიკული მუშაობა ბინების ასაგებად სწარმოებდა მხოლოდ საქართველოში, სადაც მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1923 წელს.

1924 წლიდან 1925 წლის პირველ ოქტომბრამდე საბინაო ამხანაგობების მიერ აგებული იქნა 56 ბინა 112 ოთახით. ამას გარდა დაწყებულია 8 სახლის და 62 ოთახის შენება. სახლების აგებას აწარმოებენ აგრეთვე თბილისის აღმასკომი და კომუნალური ბანკი და ა | კ. რკინის გზები. მუშათა საბინაო ამხანაგობათა რიცხვი თანდათან იზრდება და საქართველოში უკვე 20 გადააჭარბა. საფინდო და ადგილობრივი ორგანოების ანარიცხებიდან შემოსული თანხები საგრძნობ კაპიტალს წარმოადგენენ. საქართველოში ანარიცხების ჯამი საბინაო მიზნობრივ გადასახადისგან შემოსულ თანხასთან ერთად 260 ათას მანეთს შეადგენს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲨᲘ

— **გზატკეცილების ამაღლება.** ზაჰესის სამუშაოთა ადგილზე ამჟამად სწარმოებს სამხედრო გზის იმ ნაწილის ამაღლება, რომელსაც დღემდე ფარავდა საგუბარში დაგროვილი წყალი.

— **მუშათა სახლი.** ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ნაძალადევში მუშათა სახლის ასაგებათ.

— **კანალიზაცია.** სანიტ-ტეხნიკური სექცია შეუდგა იურიევის ქუჩაზე კანალიზაციის მოწყობას.

— **მთაწმინდაზე** დამთავრდა თხრილების გაჟყანა და ხის ნერგების დარგვა.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲨᲘ

— **სანიტარული განათლება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს სანიტგანათლების მოკლევადიანი კურსები, ექიმების თანაშემწეთა და სამკურნალოების უნცროს ჯგუფის თანამშრომელთა გადასამზადებლათ.

ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥ. ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲨᲘ

— **შემოსავალი ტყეებიდან.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის ცნობით 1924—25 წელში საქართველოს ტყეებიდან შემოსულა 718,839 მანეთი.

— **ჩაის მეურნეობის შესახებ.** მიწათმოქ. კომისარიატი ახლო ხანში გამოსცემს აგრონომ ე. ნაკაშიძის წიგნაკს: „ჩაი, მისი გაშენება და დამზადება“.

— **ტყეების გამოკვლევა.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა დაამთავრა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოკვლევა.

ᲡᲝᲪ. ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

— **დასასვენებელი სახლი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ წყალტუბოში დასასვენებელი სახლის ასაგებათ გადასდო 43,315 მან.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ დაადგინა სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებებთან მოიწვიოს დაზღვევის მუშაკთა თათბირები.

— **სენაკის საავადმყოფოს** შესაკეთებლად სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასდო 1.500 მან.

— **თბილისის დამზღვევი** სალარო ამა თვის დამლევს შეუდგება სოციალურ დაზღვევის კამპანიის ჩატარებას.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

— **გადასახადის შემცირება.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მეცხვარეობაზე შემცირებული იქნა 20 პროც.

— **მოჯამაგირეთა მდგომარეობის** გამოკვლევას ამ დღეებში შეუდგება შრომის სახ. კომისარიატი.

— **„წითელი მეწვრილმანე“.** უმუშევართა კოლექტივი „წითელი მეწვრილმანე“ გაუქმებული იქნა.

— **მეტყევეთა ყრილობა.** ახლო ხანში ტყეების მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით მოწვეული იქნება სრ. საქართველოს მეტყევეთა ყრილობა.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ

— **იურიდიული საზოგადოებაში** — მოხსენება იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების კონსულტანტის ამხ. ს. ხანკალამოვისა საოჯახო, საქორწინო და სამეურვეო კოდექსის პროექტზე“ დღეს, 12 ნოემბერს არ შესდგება.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

ᲨᲔᲕᲘᲝᲢᲘ № 3003

კონსტანტინე მარდელაძე და გიორი პაიჭაძე ეწეოდენ „მადლიან ხელობას“ — ჩავიდოდენ ბათომში მოჰქონდათ იქიდან კონდრაბანდათ შევიოტი 3003.

ამას წინადაც ჩამოიტანეს მათ 30 მეტრი შევიოტი და მიჰყიდეს ვინმე ისაკი ტატევოსოვს.

უკანასკნელმა ვერ შესძლო ერთბაშად გადაეხადა მთელი ფასი და დარჩა ვალი კანდრობანდისტების 300 მანეთი. „შემოიარეთ ცოტა ხნის შემდეგ და გადაგიხდით ვალს“, —განუცხადა ტატევოსოვმა „პატიოსან ვაჭრებს“.

კონდრაბანდისტები დიდი მომთმენი ხალხია და ეხლაც გამოიჩინეს ეს თვისება—მოთმინება, მაგრამ როცა გავიდა მთელი ერთი კვირა და ტატევოსოვმა არ დაუბრუნა მათ ფული, მოთმინების ფიალაც აღივსო...

კონდრაბანდისტებმა მიატოვეს დროებით თავისი „ხელობა და სცადეს როგორი იქნებოდა მეორე „ხელობა“—ბანდიტობა,—მათ გადასწყვიტეს „იერიშით“ აეღოთ ფული ტატევოსოვისაგან.

შეიარაღდენ „ბრაუნინგებით“ და 4 ნოემბერს ღამით შეუტიეს ტატევოსოვის ბინას და წარუდგინეს ტატევოსოვს ულტიმატუმი: „ან ფული, ან სული“.

ტატევოსოვმა წინააღმდეგობა გაუწია „დაუპატიჟებელ სტუმრებს“, მორთო ყვირილი და ღრიალი, რამაც შეშინებული წამოაგდო ლოგინიდან ტატევოსოვის მეზობელი. უკანასკნელი დარწმუნდა, რომ მის მეზობელს კარგი დღე არ ადგა, გაიქცა დაუძახა მილიციონერს, რომელმაც შეიპყრო ბანდიტები და გადასცა სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც მთელი საქმე გადასცა სასამართლოს.

კ—ი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲖᲐᲜᲪᲔᲕᲘ

სახელგამის მაღაზიის № 4 თანამშრომელი მიხეილ კაზანცევი 3 თვის განმავლობაში აწვდიდა სასწავლებლებს წიგნებს. ბოლო ხანებში კაზანცევს შეუჩნდა ბოროტი სული, რომელიც ჩასჩიჩინებდა: „სად მიგაქვს ეს ფული, რომელიც წიგნების ფასად მიგილია, შენ გაგიწევია ჯაფა და აგიკრებია ფული; ფული ჩაიდე ჯიბეში, სახელგამი ამით არ გაკოტრდება“.

ეს აზრი ისე გაუჯდა ძვალ-რბილში კაზანცევს, რომ ერთ დღეს შეგროვილი ფული 444 მ. 18 კაპ. ვეღარ გაიმეტა სახელგამისათვის და თავის სახარჯო ფონდში გადასდო.

ეს გაიგო სისხლის სამართლის მილიციამ და დააპატიმრა.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა სასამართლოში.

ს.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲚᲠᲩᲝᲑᲐ

10 ნოემბერს, საღამოს, 6 საათზე, მე-12 სამილიციო უბნის სამმართველოში გამოცხადდა მოქ. გრიგოლ ზემლიანოვი და განაცხადა, რომ დაახლოვებით 2 საათის წინ ის ყოფილა მუშტაიდის ბაღის გაღმა მტკვრის ნაპირზე, საიდანაც დაუნახავს, რომ მუშტაიდის ბაღის ახლოს მტკვარში გადავარდნილა ვილაცა ქალი, რომელიც იმ წამსვე დამხრჩვალა და წაუღია წყალს. როდესაც ის მისულა, იმ ადგილას, საიდანაც უცნობი ქალი გადავარდნილა წყალში. უნახავს ერთი კოსტიუმი, ტილოს ფეხსაცმელები, რედიკიული, ოქროს ბროშკა და წერილი, საიდანაც სჩანს, რომ ის ყოფილა გორის მაზრიდან, სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრები თამარა გრიგოლის ასული ყუთიაშვილი. მიზეზი თავის დაღრჩობისა გამოურკვეველია.

— **გვამის პოვნა.** 10 ნოემბერს, საღამოს 6 ს. ვერის ხიდის ქვეშ მეველედი ნავის თანამშრომლების მიერ ნაპოვნი იქნა უცნობი ქალის გვამი.

— **ქალის გატაცება.** 2 ნოემბერს სოფ. ბაშკოვში დიმიტრი ზოსიმოვი თავს დაესხა მიხეილ ჯანოვის ბინას, ჯანოვის ქალიშვილის ალექსანდრას გატაცების მიზნით, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 10 ნოემბ. ღამის 10 საათზე, ანასტასიევის ქ. № 1 გაქურდეს ვიქტორია მინაევას ბინა.

— ამავე დღეს, ელისაბედის ქ. № 148 გაქურდეს ნინა ზინოვიევის ბინა.

— **დაიკარგა** ვლადიმერ გრიგორის ძე ხუროშვილი, 27 წლის, საბაჟოს მოსამსახურე, მცხოვრები გოგოლის ქ. № 61. თუ ვინმემ რამე იცის შეიძლება შეატყობინოს აღნიშნულ მისამართით მშობლებს.

პ. რეთელის იუბილე

ჩვენს თვალწინ გადიქროლა რევოლიუციის გრიგალმა და ყველას თვალსაჩინოთ აგრძნობინა, თუ რა მძიმე და პასუხსაგები ყოფილა მშრომელი ხალხის ნამდვილი სამსახური.

მაგრამ ამ გრიგალს წინ უძღოდა გრძელი და მძიმე ხანა წინასწარი მზადებისა და ამ ეკლიან გზაზე ბევრი სიცოცხლე ეწირებოდა მეფის ბატონობის დამხობის საქმეს.

ძლიერი იყო ხალხის მტერი, ფართე იყო ასპარეზი მეფის ბარბაროსული ბატონობისა. მაგრამ მედგარი და უდრეკელი იყო ხალხის ნებისყოფა და ბოლოს მან კიდეც შესძლო დამსხვრევა თავაშვებულ იერარხიისა და დამყარება ნამდვილი ხალხური ხელისუფლებისა.

დღეს, როდესაც მიღწეულია უპირველესი და საყოველთაო მიზანი, როდესაც ნაცარმტვრად არის ქცეული მეფის რეჟიმი და მშრომელი ხალხი თვითონ განაგებს თავისივე ბედს, ჩვენ მოვალენი ვართ გადავხედოთ წარსულ მებრძოლთა რიგებს და შესაფერისად დავაფასოთ მათი ღვაწლი.

ამ მრავალ მოღვაწეთა შორის, რომელნიც სიტყვით, საქმით თუ მწერლობის საშუალებით ემსახურებოდენ ხალხის გამოფხიზლებას და გათვითცნობიერებას, ღირსეული ღვაწლი აქვს შეტანილი საქართველოს სინამდვილეში ჩვენს დამსახურებულ მწერალ-დრამატურგს პ. ირეთელს, რომელიც 25 წელიწადია რაც სამწერლო ასპარეზზე გულწრფელად მოღვაწეობს. მას უგემია ციხე, ციმბირი, პირადი ცხოვრების სიმწარე, ხელმოკლეობა. მაგრამ არასოდეს არ გადაუხვევია დანიშნული მიზნისათვის და დღევანდლამდე ეწევა თავის ხვედრ ჰაპანს მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

ზედმეტია იმის ჩამოთვლა თუ რა დაუწერია ირეთელს. საქართველოს მშრომელი ხალხი კარგათ იცნობს მის ნაწერებს, რომლებიც მრავლადაა გაბნეული ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში და, რომლების ტომებად გამოცემა სამწუხაროდ, დღემდე არ მოხერხდა. საკმარისია აღვნიშნოთ მისი პიესა „დამარცხებულნი“, რომელიც 1908 წელს ქარიშხალივით შეიჭრა თვითმპყრობელობის ბუნაგში და მუშათა კლასის გულში რევოლიუციონური ბრძოლის ცეცხლი დაანთო, „ქრისტინე“, „ნიაღვარი“ და სხვა. საერთოდ კი მისი კალამი დაჩაგრულ და უფლებააყრილ ხალხის ჭირვარამს დასტრიალებს.



პ. ირეთელი

პ. ირეთელის ღვაწლის აღსანიშნავად მადლობის გამოცხადების დღეთ, დანიშნულია 14 ნოემბერი, რუსთაველის თეატრში.

საიუბილეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი, პროლეტარიატი და გლეხობა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ სამადლობელ ზეიმში და ერთხელ კიდევ დაადასტურებს, რომ იგი იცნობს თავის მოამაგეს, რომ მან იცის ღირსეული დაფასება დამსახურებულ თანამებრძოლისა.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე: ქ. ხომერიკი.

კომიტეტის წევრნი: 1. გ. პარკაძე, 2. ი. გედევანიშვილი (ხელოვნებათა მთ. საბჭ. თავმჯ.) 3. კოტე მაყაშვილი (სრ. საქ. მწერ. კავშ. თავმჯ.) 4. ვასო აბაშიძე (რესპუბლ. სახალხო არტისტი), 5. ზ. ფალიაშვილი (რესპ. სახ. არტისტი), 6. ნ. გოცირიძე (რესპ. სახ. არტისტი), 7. ვასილ ბარნოვი, 8. ნინო ნაკაშიძე, 9. შიო მღვიმელი, 10. კოტე მარჯანიშვილი, 11. გ. ბუხნიკაშვილი, 12. სოლ. ახვლედიანი, 13. ნ. კურდღელაშვილი (ნარკანი), 14. ტრ. რამიშვილი, 15. ტიციან ტაბიძე, 16. აკაკი ფაღავა, 17. გ. ქუჩიშვილი.

საიუბილეო კომიტეტის მდივანი: ლ. ძიძიგური.

მუშათა ცხოვრება

შრომის დისციპლინის აღდგენისათვის

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 95-ის თანახმად, ფიზიკურ და გონებრივ იმ მომუშავეთათვის, რომელთა მუშაობა პირდაპირ დაკავშირებულია წარმოებასთან, დაწესებულია რვა საათის სამუშაო დღე. კანტორის ან კანცელარიის მოხელეთათვის კი 6 საათის სამუშაო დღე.

აღნიშნული ექვსი და რვა საათები ეკუთვნის წარმოება-დაწესებულებას, მთლიანათ. ეს სამუშაო საათები უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ წამოწყება დაწესებულების აყვავების და მოწესრიგების საქმეს. ზემო აღნიშნულ ნორმალურ სამუშაო დროის განმავლობაში მუშა აუცილებლად უნდა იდგეს თავის დაზგასთან და ყოველი საბჭოთა მუშაკი (მიუხედავად იმისა, პასუხისმგებელია ის, თუ უბრალო თანამშრომელი) უნდა იყოს თავის ადგილზე და კეთილსინიდისიერად აკეთებდეს თავის საქმეს, ყოველგვარი პირადი საქმეები კი უნდა იქნეს უკუგდებული.

მხოლოდ ნორმალურ სამუშაო დროის განმავლობაში შრომის კანონმდებლობა ანიჭებს მუშა-მოსამსახურეთ ნახევარი საათის ხანგრძლივობით დასვენებას, რომელიც კანონმდებლის აზრით, უნდა მოხმარდეს საჭმლის ან საუზმის მიღებას და სხ.

სამუშაოს შეწყვეტის დროს (ე. ი. დასასვენებელი ნახევარი საათი) არ შედის სამუშაო 6 და 8 საათებში. ეს დრო ემატება 6 და 8 საათებს. (იხ. იქავე მუხ. 98). ამ გვარად მუშა-მოსამსახურეებმა წამოწყება-დაწესებულებაში უნდა დაჰყონ ექვს ნახევარი და რვა ნახევარი საათები.

ასეთია ამ საკითხის იურიდიული მხარე.

რასა ვხედავთ სინამდვილეში?

სინამდვილეში (უნდა ვსთქვათ გულახდილად) შრომის კანონთა ეს მუხლები სისტემატიურად ირღვევა: არც ექვსი და არც რვა საათი მთლიანად არ ხმარდება წამოწყება-დაწესებულების საქმეს. მუშა-მოსამსახურეები თითქმის სისტემატიურად არ ცხადდებიან სამუშაოზე თავის დროზე. იგვიანებენ 10—30 წუთამდის თითქმის ყოველ დღე. განსაკუთრებით ეს ითქმის „საბქალებზე“ და „საბმუშაკებზე“. ეს უკანასკნელები იმ დარჩენილ სამუშაო საათებსაც კი ახმარებენ პირად საქმეებს, როგორიცაა მაგ. სარკეებთან ხშირი ტრიალი, თმის („პრიჩოსკი“-ს) დავარცხნა-გასწორება, ფერ-უმარილის ხმარება და სხვადასხვაგვარ ქალინაურები და სხ.

ჩვენ დაწესებულებებში ხშირად დაინახავთ „საბქალების“ მაგიდასთან ამაყურად აპიმულ სანტიმენტალურად და ალერსიანად მოსაუბრე „საბმუშაკს“, რომელიც რამოდენიმე წუთს-ზოგჯერ საათსაც ანდომებს თავის „გულისდამწველ დულცინეიას“.

არის ასეთი მაგალითებიც: ამა თუ იმ „საბქალის“, ან „საბვაჟის“ მაგიდაზე არის დაწყობილი წიგნები, სასწრაფოთ შესასრულებელი ქაღალდები და სხ. თვით ეს „მუშაკები“ კი ახლოსაც არ სჩანან. ვინ იცის, სად და რას აკეთებენ ისინი; ამაოდ დაეძებს და უცდის მათ, რომელიმე სასწრაფო საქმისათვის მოსული საქმიანი მუშა-გლეხი ან მოქალაქე.

ადგილკომებს შემფასკომებს და ადმინისტრაციასაც სძინავთ და ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

ასეთი მოვლენები ყოვლად დაუშვებელია და შეუწყნარებელიც.

„ასეთი „მუშაკები“ სახელს უტეხენ ჩვენ დაწესებულებებს მშრომელი მასის თვალში: ცუღლუტობენ მუშაობაში და ამით ძირს უთხრიან საბჭოთა მშენებლობის საქმეს და როგორც ასეთები უნდა იქნენ გაძევებული ჩვენი დაწესებულებებიდან.

შრომის დისციპლინა საბჭოთა ორგანოებში აუცილებლად უნდა იქნეს აღდგენილი და განმტკიცებული.

იურისტი.

—

დაუდევრობაა, თუ უცოდინარობა

28 ოქტომბერს, სახარატო საამქროში კინაღამ დატრიალდა უბედურება. ეგრედ წოდებული „ტალი“ ორიტანის ლონისა, რომელსაც გადააქვს და გადმოაქვს მძიმე სამასალო ტვირთი იქნა დატვირთული 150 ფუთით, მაშინ როცა 120 ფუთის მეტის ატანა მას არ შეუძლია. მოწყდა ჯაჭვი და ძირს დაეცა თუჯეულობა, ამათ ქვეშ მუშაობდა 8 კაცი, მაგრამ რაღაც ბედნიერ შემთხვევით გადარჩენ უბედურებას. იბადება კითხვა, რას აკეთებენ და რაზე ფიქრობენ ის „სპეცები და ტეხნიკოსები“, რომლებიც აქ მუდამ ჟამს ტრიალობენ?

ნუთუ იმდენი მაინც არ ესმით მათ, რომ მანქანას რისი ატანა შეუძლია, ისიც ვერ გაუთვალწინებიათ? აქ აშკარაა ის, რომ მათ ეს მოსდით ან უცოდინარობით ან დაუდევრობით, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიაც დაუშვებელია ასეთი „სპეცებისთვის“ საქმის მინდობა და საჭიროა დროზე მათი გამოცვლა უფრო მცოდნე პირებით სანამ არ მოხდა უბედურება მუშებში.

მუშკორი წუმწუმა.

—

რად აფუჭებთ სახალხო ქონებას?

ტელეგრაფის უბნის შეკეთების დროს ხშირად იცვლება ბოძები და ზედადგრები. ამ გამოცვლილ მასალას იბარებს ტ. ზედამხედველებისგან გზის ოსტატი, რომლისგანაც შემდეგში იგი უნდა ჩაიბაროს რკინისგზამ, მაგრამ ხშირად გზის ოსტატებს არავინ არა სთხოვს ამ ხეებს, ვერც თვითონ გზის ოსტატი და ვერც ერთი მუშა ამ ხეს ვერ იყენებს და ამდენი (100—150-მდე) ხე ტყუილა უნაყოფოდ ფუჭდება-ლპება.

თუ იგი რკინისგზას არ ესაჭიროება, შემად მაინც მოახმარეთ რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეებს.

მუშკორი ელპერწკი.

—

გამოუქვეყნებელი წერილებიდან.

— **ამ ექიმებს ჭკუა უნდა ასწავლოთ.** სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობენ ექიმის თანამდებობაზე—ფრეიმანი, სზორშჩიკოვა, გიორგ შეკიანი და ბებია-ქალი ვერმიშევა. ეს ვაჟბატონები და ქალბატონები ძალიან უხეშად და უდიერად ეპყრობიან მსმენელებს და მუშა მოსამსახურეთ. ამის შესახებ კიდეც დაინიშნა ჯანსახკომის და კავშირის თაოსნობით კომისია, რომელმაც დაადგინა მათი მოხსნა. სამწუხაროდ ეს დადგენილება დღესაც არ არის სისრულეში მოყვანილი.

რაშია საქმე?

გლეხი.

— **ამ ექიმსაც მორჯულება სჭირდება.** ქ. სამტრედიის საბჭოთა საავადმყოფოს ექიმი ილია ჯაში დაზღვეულ ავადმყოფებს, უდიერად ეპყრობა. ავადმყოფებს განსინჯვაზე სთხოვს ორ მანეთს. თუ ამ უკანასკნელთ ეს თანხა არ აღმოაჩნდა, ექიმი მათ არც კი მიიღებს.

ასეთი ექიმი სხვებსაც სახელს უტეხს.

დაზღვეული ლუბა გაგუა.

—

— **უპატრონო და გაბინძურებული სახლ-კარი.** გოგოლის ქ. სახ. № 42 ეკუთვნის ვინმე ელბაქიანს. სახლის სახურავი, ჭერ-იატაკი და კედლებიც საშინელ მდგომარეობაშია. სახლი განიცდის ნგრევას. წვიმა ჩამოგვდის. ეზო ძალზე გაბინძურებულია. სახლის პატრონი სახლს არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ალმასკომო, მიხედე უპატრონო სახლს, თორემ სახალხო ქონება იღუპება.

ისევ ის.

—

— **ამ მუშებსაც უნდა მისცეთ კუთვნილი შვებულება.** რკინისგზის „ზაკპოგრუზის“ ხაზებზე ბევრ მუშა-მოსამსახურეს უხდებათ მუშაობა ისეთ ადგილებში, სადაც გავრცელებულია მალარია. ამათ კი არა აქვთ დამატებითი „სამალარიო“ შვებულება. სამართლიანად რომ ვიმსჯელოთ, ამათაც უნდა მიეცეთ ასეთი შვებულება.

მტვირთ. მუშა.

—

— **უნდა შევუმციროთ გადასახადი.** დუშეთის მაზრის თვითმშრომელთა კავშირის ბიუროს პროფკავშირის შენობის ქვედა სართულში უჭირავს ერთი აგურის იატაკიანი ოთახი, რომლის ქირად იგი თვიურად იხდის 4 მანეთს. ეს ქირა ბიუროსთვის ძალზე დიდი იყო და ამჟამად იგიც გააორკეცეს. ასეთი გადასახადი ბიუროსთვის მეტად მძიმეა და ვერც გადიხდის.

თვითმშრომელი.

—

— **როდის გვაღირსებთ „კედლის გაზეთს“?** ქალ. სამტრედიაში მუშებმა აირჩიეს კედგაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელსაც გადასცეს აუარებელი წერილები თავიანთ ყოფა-ცხოვრების შესახებ. გაზეთი კი დღესაც არ არის გამოსული, მგონია წერილებიც დაგვიკარგეს.

მუშა კარგი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **სახ. უნ. ახ. ლენ. კომკავშირის უჯრედების ბიურო** აცხადებს კომკავშირის წევრების და კანდიდატების საყურადღებოთ, რომ დღეს, 12 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება უჯრედების სხდომები.

სოც. ეკონომ. ფაკულ. № 1 აუდიტორიაში, აგრონომიული ფაკულტეტი № 2, საექიმო ფაკულტეტი № 8, პედაგოგიური და პოლიტეხნიკური ფაკულ. აუდიტორია მეორე სართული.

— თბილ. კომ. ალმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება სთხოვს ამხ. მარკოზ გლოველს დღეს, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე, აუცილებლად გამოცხადდეს განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან, შორაში აირაპეტიანცს კი წინადადება ეძლევა 24 საათის განმავლობაში გამოცხადდეს განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

— **მეორე რაიკომი** ხელმეორეთ აძლევს წინადადებას ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ გამოცხადდენ ერთიან პარტბილეთების მისაღებათ ალმრიცხ.-გამნაწ. განყოფილებაში, ამხ. მდინარაძესთან:

ედ. როლლოვი, თეოფ. კობერიძე, სტეფ. პოტაპოვი, მანუკ სიმონიანცი, სტ. აკიმოვი, მხით. ხალათიანი, ვარდ. სირაძე, ვას. მაროზოვი, ვართან დარახჩევი, მიხ. ვართანოვი, მიხ. აპინიანი, ვლ. გოგობერიშვილი, მიკიჩ მარქაროვი, რუბ. საპილოვი, დარიკო აბუაშვილი, არტემ მკრტიჩევი, ახმედ დუნიამან-ოღლი, ივან უმეკოვი, მამედ-ალი დუნიამალოღლი, ტიგ. არუთინოვი, კასუმ-ოღლი იბატ, ნინა ფოცხვერაშვილი.

პროფესიული

— დღეს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში—მატერიალიზმი მომხსენებელი ამხ. თალაკვაძე.

განცხადებები

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი“ მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დილის ოთხ საათზე, ორშაბათს, 9 ნოემბერს, უდროოდ გარდაიცვალა დაუფასებელი ამხ.—კორპორანტი

ვეჩე ჯიქია

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნ. 222 2—1

საქართველოს სახელმწიფო დრამის მსახიობნი, სცენის მუშები და მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი ამხანაგის

ვეჩე ჯიქიას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს, დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნ. 222 2—1

სახელმწიფო დრამის რეჟისორთა კოლეგია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დილის 4 საათზე, ორშაბათს, 9 ნოემბერს, უდროოდ გარდაიცვალა საუკეთესო სცენის მუშაკი დაუვიწყარი

ვეჩე ჯიქია

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნ. 222 2—1

სახელმწიფო დრამის დირექცია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა სცენის თავდადებული მუშაკი მსახიობი

ვეჩე ჯიქია

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნ. 222 2—1

სახელმწიფო დრამის ადგილკომი აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა კულტ-კომისიის წევრი საყვარელი

ვეჩე ჯიქია

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნ. 222 2—1

სახელმწიფო საქმეთა მთავარი საბჭო აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა სახელმწიფო დრამის დასის წევრი

ვეჩე ჯიქია

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნის. 222—2—1

სახელმწიფო ოპერის დირექცია, დასი და სცენის მუშები აუწყებენ საზოგადოებას, ძვირფას ამხანაგის, სახელმწიფო დრამის მსახიობის

ვეჩე ჯიქიას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნის. 222—2—1

სახელმწიფო კონსერვატორიის დრამატიული ფაკულტეტი აუწყებს საზოგადოებას დაუვიწყარ მსახიობის

ვეჩე ჯიქიას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 7 საათზე პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნის. 222—2—1

ქართველ მსახიობთა ახალ-კავშირის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას დაუფასებელ წევრის

ვეჩე ჯიქიას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 7 საათზე პროფკავშირების მცირე დარბაზში; გამოსვენება კვირას, 15 ნოემბერს დღის 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ნის. 222—2—1

ნინო ივანეს ასული და ნიკოლოზ ასლანის ძე მდივანი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი შვილის და ძმის

საშა მდივნის

გარდაცვალებიდან წლისთავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, პარასკევს 13 ნოემბერს, სად. 3 ს.

1—1 470

გულდათუთქული და უდროოდ დამწუხრებულნი მშობლები ვეფხო აკობაშვილი და ნინო აკობაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ უსაყვარლესი შვილის პატარა

გივის

უდროვოდ დაკარგვას. გამოსვენება მოხდება დღეს, 12 ნოემბერს ცენტრალურ გლეხთა სასახლიდან, საღამოს ოთხ საათზე ვერის სასაფლაოზე.

1—1 469

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ჯამბაზები“

ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზები“ შეიძლება ჩაითვალოს მუსიკალურ დრამათ [illegible] ბიჯს ცხოვრების დრამის რეალურად ასახვისაკენ მუსიკალურ ფორმებში. ალბად ამ აზრს იზიარებს მსახიობი ქალი ბოკოვაც (ნედდა), რომელიც თავიდან ბოლომდე პარტიის შესრულებაში იძლევა მთელ რიგ მხატვრულ მომენტებს რეალურ ტონებში. ყოველგან ვოკალური ნაწილის შესრულება სტოვებს მშვენიერ აკორდს. ნედდის დუეტი სილვიოსთან (ვენაძე) ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მუსიკალურად და ლამაზი ფრაზიროვკით მღერის ვენაძე სილვიოს პარტიას ოპერის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კანიო (ჯამბაზი—მოხეტიალე დასის მეთაური). ეს პარტია კიპარენკო-დამანსკის შესრულებით ყოველგან ვერ სტოვებს დადებით შთაბეჭდილებას. მაგრამ სცენის ფინალი არიოზოს „Смейся Паяц“ შესრულების დროს ძალიან ცოცხლად და რეალურად იყო შესრულებული.

ქარცივაძის ხმა ძლიერად ისმოდა პროლოგში, მაგრამ მან განცდა ვერ გვიჩვენა. კანტილენის ადგილებიც უფრო დამთავრებულად უნდა იქნეს შესრულებული.

„სოფლის პატიოსნება“

„სოფლის პატიოსნება“-ში საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა პანკრატოვამ სანტუცას პარტიის შესრულებით. მსახიობი ქალი სწორად უდგება სანტუცას როლის გაგებას და სიმღერაში სავსებით განიცდის მას. მსახიობი ქალი იძლევა მრავალ შესანიშნავ მომენტებს შესრულებაში. სცენიური შესრულებაც სავსებით რეალურია.

ტურიდის პარტია შეასრულა ახალმა ტენორმა ოლეჟინსკიმ.

უნდა ითქვას, რომ მომღერალის წმინდა ლირიული ტენორი ნაკლებად შეეფერება ამ პარტიას, სადაც საჭიროა უფრო დრამატიული ხასიათის ხმა, ვინემ ლირიული მთელი პარტიის შესრულებაში თავიდან ბოლომდე ისმოდა ხმის ნაძალადევად გაძლიერება, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. საბოლოო აზრის გამოთქმა ოლეჟინსკის ხმის და სცენიური ნიჭის შესახებ შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა მომღერალს მოუსმენთ ისეთ პარტიებში, რომლებიც უფრო შეეფერება მის ხმას. [illegible]

მომღერალი ქარცივაძე, რომელიც გამოვიდა ელიოზაშვილის მაგიერ, ალფიოს პარტიაში, იძლევა სწორ სახეს.

ოპერას ემჩნევა ცუდი ორკესტროვკა. ზარის რეკვა სცენაზე უნდა უერთდებოდეს ორკესტრს და ამ წარმოდგენაზე კი სრული არევ-დარევა იყო ამ მხრივ. გუნდი მოდუნებულად მღერის, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მოქმედებაში. ეს რეჟისორის ბრალია და ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

შ. გ.

—

— **საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** შაბათს, 14 ნოემბერს, ხელოვნების სასახლეში, საღამოს 5 საათზე, ამხ. ნ. ხუხუნაიშვილი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე კინო და მისი პერსპექტივები“.

— **რუსთაველის თეატრი.** 12 ნოემბრის წარმოდგენა „ჰამლეტ“ რუსთაველის თეატრის მუშების, მსახიობთა და დირექციის საერთო დადგენილებით მიძღვნილია ახლად გარდაცვალებულ მსახიობ ვეჩე ჯიქიას ხსოვნისადმი.

— **საბავშვო კინო-სეანსები.** კვირას, 15 ნოემბერს, კინო თეატრებში „აპოლო“ და „ერფასტი“-ში გაიმართება საბავშვო სეანსები საგანგებოთ შერჩეული პროგრამით. დასაწყისი დილის სრულ 12 საათზე.

— **მ. ეპელბაუმის კონცერტი.** ახლო ხანში თბილისში გაიმართება ებრაული სიმღერების ცნობილ შემსრულებლის მ. ეპელბაუმის კონცერტი.

— **თურქული დრამის სეზონი** გაიხსნება რუსთაველის თეატრში 13 ნოემბერს.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი“.

ფიზიკური კულტურა

სრულიად საქართველოს შეჯიბრის შედეგები.

8 ნოემბერს დამთავრდა ფიზკულტურის მოყვარულთა სრულიად საქართველოს შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ აფხაზეთის, აჭარისტანის და საქართველოს ყველა მაზრების სასპორტო ჯგუფები (ჯგუფში შედიოდა 6 კაცი: 4 ვაჟი და 2 ქალი). თბილისი წარმოდგენილი იყო ოთხი ჯგუფით.

ქალაქების ჯგუფურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიჭირა თბილისის მე-4 ჯგუფმა, რომელსაც მიეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯილდო. მეორე ჯილდო მიიღო აფხაზეთის სასპორტო ჯგუფმა, მესამე—ქუთაისმა.

7 და 8 ნოემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე ხდებოდა ინდივიდუალური შეჯიბრი. დისკის სროლაში პირველი ადგილი დაიჭირა სერგეევმა, მეორე—ოჩიგავამ. ქალებიდან პირველი ადგილი დაიკავა ფომენკომ.

საუკეთესო ხტომა (სიგრძეზე და სიმაღლეზე) გვაჩვენა სემიონოვმა. სიგრძეზე ხტომაში შორიდან პირველი ადგილი აიღო სერგეევმა.

რბენაში 100, 400 და 1.500 მეტრის სიგრძეზე პირველი ადგილი დაიკავა გუგუევმა. ქალებიდან რბენაში 60 და 800 მეტრის სიგრძეზე პირველი ადგილი აიღო დავიდოვამ.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდენ კავკავის მოყვარულენი, მაგრამ ისინი კონკურსის გარეშე იყვენ გამოცხადებული.

ფეხბურთი

თბილისი—კავკავი

8 ნოემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის და კავკავის ნაკრები გუნდის შეჯიბრება.

თბილისის ნაკრებ გუნდს საზოგადოება სულ სხვა შემადგენლობით იცნობს. ამ დღეს გუნდი შედგენილი იყო შემთხვევით მოთამაშეებისაგან. თბილისის გუნდს არ გამოუჩენია თამაშის არავითარი ტეხნიკა.

მიუხედავად ამისა, მან სულ ადვილად დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე. კავკავის გუნდში შედიან მეორე ხარისხოვანი მოთამაშეები. მათ აკლიათ შეკავშირება და გამბედაობა. ძალიან სუსტია გონერი.

შეჯიბრება გათავდა 4:0 თბილისის სასარგებლოდ.

წერილები პროვინციიდან

კინკლაობით საქმე ფერხდება

(წალენჯიხა, ზუგდ. მ.)

წალენჯიხის გარშემო მდებარეობს შემდეგი თემები: ლია, ჯვარი ჯგალი, მუხური, ზუბი, კირცხი, ობუჯი და ჭაქვინჯი, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ ტეხნიკუმს. ხუთი წელია საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა ტეხნიკუმი, მაგრამ შენობის უქონლობის გამო საქმე სრულიად მივიწყებულია.

შენობის ადგილის არჩევის გარშემო ამ სოფლებს შორის დიდი ბრძოლა და ჭიდაობაა. თემის ერთ ნაწილს სურვილი აქვს ააგოს ტეხნიკუმი, მდინარე წენისწყარის მარჯვენა ნაპირზე, ძველი იარმუკის ადგილზე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ადგილი სრულიად უვარგისია, როგორც ჭაობიანი, რომელსაც გარშემო პატარა ღელე უვლის. ადიდების დროს ეს ღელე გადადის შენობის ეზოში, აწუხებს მას და ბადებს ციებას, რაც მეტად მავნებელია მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის.

მოსახლეობის მეორე ნაწილს სურს ააგოს სკოლის შენობა წენისწყარის მარცხენა ნაპირზე. ეს ორი მხარე აგერ შვიდი წელიწადია, რაც კინკლაობენ და სკოლას კი დღესაც შენობა არა აქვს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი ზომები მიიღო ამ გაუგებრობის მოსასპობად, მაგრამ ვერას გახდა.

წალენჯიხაში არის კიდევ მესამე ადგილი, სადაც წინეთ ძველი ნორმალური სკოლა იდგა. მცხოვრებთ ერთ დროს სწორეთ აქ სურდათ ტეხნიკუმის აგება. ამისათვის დაარღვიეს მათ ძველი სკოლის ხის შენობა, გადათხარეს აქ არსებული გორაკი ტეხნიკუმის შენობის დასადგმელი ადგილის გაფართოების მიზნით. ერთი თვის განმავლობაში თითქმის ათას ხუთასი მუშა განუწყვეტლად მუშაობდა აქ; დიდი შრომა გაიღო სოფელმა.

ეს ადგილი მეტად კარგია სკოლის შენობის დასადგმელად; იგი მაღალ ადგილზეა და მდინარე ლეფენჯარის ძვირფასი ანკარა წყარო აქ ახლო გადმოჩუხჩუხებს. ტეხნიკუმის შენობის დასადგმელი ადგილის მდებარეობაც მეტად საყურადღებოა და მისაღებიც ყოველმხრივ, რადგან იგი იმყოფება თემის ცენტრში.

ზოგიერთი მოკინკლავე მოსახლის სურვილია თავის ეზოს მახლობლად ააგებინოს ხალხს ტეხნიკუმის შენობა. ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა მაზრის სახალხო განათლების განყოფილებისათვის და მას ევალება ბოლო მოუღოს ამ საზიანო ჩხუბს და კინკლაობას.

ანტონ წალენჯიხელი.

რწყილური მსჯელობა

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა კეთილსინდისიერათ შეასრულა თავისი მოვალეობა—კოჯრელ გლეხების წინაშე. მან გახსნა ამ თემში საკრედიტო ამხანაგობა. მოსახლეობა მეტად კმაყოფილი დარჩა ამხანაგობის გახსნით. სულ მოკლე ხნის განმავლობაში წევრთა რიცხვი ერთიათად გაიზარდა.

მაგრამ, როგორც ვიცით, უნაკლო ამ ქვეყნად არაფერია. და კოჯრის საკრედიტო ამხანაგობამაც ვერ გადაურჩა ცხოვრების ამ ულმობელ კანონს. გლეხების გარდა, რომლებიც უშუალოთ ეწევიან სოფლის მეურნეობას, კოჯორში ბევრი პატივსაცემი პირებიც მოიპოვებიან. სხვა რომ არა იყოს რა, ეს თემი სააგარაკო ადგილი მაინც არის. და აბა, ისე შუბლი როგორ გაიტეხოს საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ, რომ ისეთ დიდ კაცებს, როგორიც კოჯრის მილიციის უფროსი და ალმასკომის მოანგარიშეა, რაიმეში აწყენინოს.

მოდიან გლეხები ამხანაგობაში სესხის ასაღებათ. ცხადია ამხანაგობის სალაროს ფულის საჭრელი მანქანა არ უდგია, რომ სოფლის მთელი მოთხოვნილება უკლებლივ დააკმაყოფილოს. ქესატობა საკრედიტო ამხანაგობის ხშირი სტუმარია. და აი ბევრ შემთხვევაში სესხისათვის მოსული გლეხი ხელცარიელი უკან ბრუნდება, რადგან საკრედიტო ამხანაგობას ძალა არ შესწევს დააკმაყოფილოს მისი თხოვნა. სამაგიეროთ, ამავე ამხანაგობას ძალა კი მოუკრეფია, რომ სესხი აძლიოს მილიციის უფროსს და ალმასკომის მოანგარიშეს. მილიციის უფროსს ორჯერ გაუტანია სესხი. არც მოანგარიშე ჩამორჩენია მას უკან.

მართალია ჩვენ დიდი მომხრე ვართ სოფლათ რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების და კერძოთ კოჯრის ალმასკომის საანგარიშო საქმეების წესიერათ დაყენების, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ აქ არაფერ შუაშია საკრედიტო ამხანაგობა. იქნებ სესხის გამცემი ამხანაგობა საკითხს შორიდან უდგებოდა, როგორც, მაგალითად, ერთ ცნობილ არაკშია ნათქვამი: „...მუხა მომცემს რკოსა, რკოს მიუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა, დავგრეხ თოკსა მაგარსა“-ო.

ალბათ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობაც ასე მსჯელობდა. მილიცია იცავს კანონიერებას, კანონიერება ხელს უწყობს წესრიგს, წესრიგი აუცილებელია მეურნეობის ნორმალურათ წარმოებისათვის. ამ შემთხვევაში მილიციის უფროსსაც და მოანგარიშესაც კი უთუოდ კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან. შეიძლება „რწყილი და ჭიანჭველის“ მაგვარ მსჯელობას ხელს უწყობს კოჯრის იშვიათი ბუნებრივი სილამაზე და სუფთა ჰაერი. მაგრამ რას იტყვის კოჯრის საკრედიტო ამხანაგობა, რომ მის რწყილურ ლოღიკას არ დაეთანხმონ თბილისში?!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველ შემთხვევაში, ასეთ გულუხვობისათვის მას შუბლზე არ აკოცებს სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ნიაგა.

დარაჯები სკოლის სანიტარიის სადარაჯოზე

(წერილი სენაკიდან)

3 ნოემბერს განათლების ინსპექციამ მოიწვია სკოლების დარაჯების თათბირი. თათბირს დაესწრენ, როგორც ტეხნიკუმების, აგრეთვე 9 წლედების და 7 წლედების დარაჯები. თათბირს უნდა გაერკვია ის აღმზრდელობითი მოვალეობა, რომელიც კისრად აწევს სკოლის დარაჯს სწავლა-განათლების საქმეში და აგრეთვე დარაჯის დანიშნულება სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებში.

განისპექტორის ამხ. ვ. ქობულიას და ექიმ იბ. ჩხეტიას მიერ გაშუქებულ იქნა ყველა საკითხებში, საიდანაც გამოირკვა, რომ სკოლის დარაჯსაც დიდი მოვალეობა აწევს. ერთმა დარაჯმა სთქვა; „აქამდის თავი უპასუხისმგებლოთ მიმაჩნდა, ეხლა კი ვიცი, რომ მე მქონია საპატიო როლი სასკოლო საქმეებშიო“.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყველას მიეცა სათანადო დირექტივები ამ თათბირმა ხელი შეუწყო განისპექციისა და დარაჯებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას.

უჩა.

ნუ მოსპობთ ტყეებს

(ს. ობჩა და სვირი, ქუთ. მ.)

ამ თემების სამხრეთი ნაწილი მთა-გორიანია და ტყიანი. ეს ტყეები დაუზოგველად ნადგურდება და მთის მაღალ ფერდობებზე სიმინდი ითესება. მოძრული მიწა ირეცხება წვიმების დროს და მოკლე დროში ეს სააგარაკო მთები სილ-კდეებათ გადიქცევა.

ამ მთების გადაღმა ორი ვერსის მანძილით ჩაივლის მდინარე საკრეულა, რომლის წყალიც ზაფხულობით აამოძრავებს ოთხ თვალ წისქვილს. ამ მდინარის ობჩაში გადმოყვანა შესაძლებელია ორი მიმართულებით; ერთი „სარკიეთიდან“ შემოვლით და მეორე „საამილახვრო“ მთის ბუნებრივ სივიწროვეში ტუნელის გათხრით. რომ ამ მიმართულებებით წყალის გადმოყვანა შესაძლებელია, ამას გვიჩვენებს ამ მიდამოს ტოპოგრაფიული თვისებები. ამ წყლით მოირწყება ობჩის, როდინიულის და სვირის თემების ეწერ-მიწები, რომლებიც უამისოდ არავითარ მოსავალს არ იძლევა.

ამ ეწერ მიწების მორწყვის შემდეგ შესაძლებელი იქნება მთებში სიმინდის თესვის აკრძალვა და გლეხების ამ მიწებით დაკმაყოფილება, რის შემდეგ მოსახერხებელი გახდება მთების დაცვა და განადგურებულ ტყეების ხელ-ახალი გაშენება.

მიწისმზომელი გ. ბუაძე.

წერილებიდან

ს. ცაიში (ზუგ. მ.)

მარულა სჯობია კოოპერატივს. აქაური ინტელიგენციის აზრით მარულას უფრო მეტი სარგებლობა და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კოოპერატივს. თუ ეს ასე არაა, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ როცა კოოპერატივის შენობისათვის საჭირო დარჩა ფულის შეკრება, არავინ თავი არ შეიწუხა, ხოლო მარულას სასარგებლოდ ფულის შეგროვება დიდი ხალისით და ენერგიით სწარმოებდა.

თრია.

—

ს. ყანდაურა (სიღ. მ.)

დაგვეხმარეთ თოვლის მოსვლამდე. ჩვენი სოფელი სეტყვისა და ნიაღვრისაგან სასტიკად დაზარალდა. დაპირება იყო, რომ გლეხებს სათესლე ხორბალს მოაწოდებდენ. უკვე ზამთარი დგება და ხორბალი არსად სჩანს. ბევრი მიწები დაუხვნელ-დაუთესავი რჩება.

მეთვალყურე.

—

ს. აკეთი (გურია)

სად გაქრა შეგროვილი ფული? გვქონდა კოოპერატივი. ორი წლის წინათ ის დაიკეტა. გლეხებმა კვლავ შეაგროვეს საპაიო გადასახადი კოოპერატივის გასახსნელად. მას შემდეგ ერთი წელია და ფულის არაფერი ისმის. კოოპერატივის შენობა მისი ინვენტარით კერძო პირს გადაეცა, რომელიც შიგ ვაჭრობს თავისუფლად.

ბ. თ.

—

ასკანა (გურია)

რამ ჩაყლაპა თეატრის ფონდი? ათი წლის განმავლობაში ვაგროვებდით ასკანის სახალხო სახლის ასაშენებლად შემოწირულებებს, წარმოდგენიდან შემოსულ ფულს და სხვა დახმარებას. სახალხო სახლი დღესაც აუშენებელია. საჭიროა კომისიის დანიშვნა საქმის გამოსარკვევათ.

ადგილობრივი გლეხი.

—

წედისი (რაჭა)

ჩამოხსენით ბოქლომი. ალმასკომის თავმჯდომარე კვირაში ორჯერ ცხადდება სამუშაოთ. სხვა დღეებში კარებს დიდი ბოქლომი ადევს. თემი დიდია, გლეხებს ამის გამო ხშირად უსარგებლოთ უხდებათ შორეულ მანძილის გავლა. ჩამოხსენით ბოქლომი წედისის ალმასკომს.

ჯიჯვისპირელი.

მეორე ხობი (ზუგ. მ.)

კომისია, გაიღვიძე! ადგილობრივ სკოლის შეკეთების მიზნით არჩეული იყო კომისია, რომელსაც უნდა შეეგროვებია სათანადო თანხა. ზამთარი დგება და კომისიას ჯერაც არ გაუნძრევია ხელი.

აქაური.

სოფლის ქრონიკა

— **ჭაობის ამოშრობა.** დაიწყო მუშაობა ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობად.

— **ახალი სკოლა.** სოფ. ხორგის (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს თავიანთი ხარჯით ააშენონ შენობა 7 წლედისათვის.

— **ახალი კურორტი.** სენაკის ალმასკომმა გადასწყვიტა გამოყოს და გააშენოს ქვიბის კურორტი.

— **თელავის ალმასკომმა** მაზრაში სკოლების შესაკეთებლად გადასდო 3.500 მან.

აპოლო არტისტული სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი

„დიადი—მარადიული"

ხარინა გრიფფიტის მონაწილეობით

პირველ სეანსის დაწყებამდის: პარტერი—35 კ.
ამფითეატრი—25 კ. მეოთხე ადგილები—20 კ.

ერთდაიმავე დროს 2 კინოში

„ЗАКРОЙЩИК ИЗ ТОРЖКА"

ი. ი. პროტაზანოვის დადგმა. მთავარ როლში: ი. ილინსკი გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები ბელსკის და რეიზნერის მონაწილეობით.

0—10 ნ. 115

მაკარონი და ვერმიშელი

„კლეიროვინით", რაც მნიშვნელოვნად ადიდებს მათ სინოყივრეს

მოითხოვეთ ყველგან

ფასები დაკლებულია

სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოება

„ბოეც"
„БОЕЦ"

თბილისი, განყოფილებები: ბათომში, ქუთაისში და ლენინაკანში.

სახელმწიფო კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეღავათი, სამხედრო ნაწილებს მაკარონი მიეცემათ სამხედრო-სამეურნეო განყოფილებასთან მოლაპარაკებით.

შეკვეთები მიიღება: თბილისში გამგეობა, რუსთაველის პრ. 84. ტელ. 7-74. ფაბრიკა ყოფილი ქალაქის წისქვილი, ტელ. 6-91.

ადგილობრივ განყოფილებებში

შეკვეთა სრულდება დაუყოვნებლივ

კრახმალი

ასაწონი ხორბლის პრიმა ყუთებით და ლამაზ კოლოფებში 100 და 200 გრამ.

გაიცემა ყველაზე

ნ. 215. 2—1

XXV რუსთაველის თეატრი XXV

შაბათს 14 ნოემბერს, გაიმართება დამსახურებულ მწერალ-დრამატურგ

პოლიო ირეთელის
= იუბილე =

1 განყოფ.

მოხსენება,

ს. დევდარიანის: ქართველი ინტელიგენცია და ქართული მწერლობა.

იმღერებენ: საოპერო თეატრის მსახიობნი: ქუმსიაშვილი და ვენაძე.

2.

წარმოდგენილ იქნება: „დამარცხებულნი"
მეორე მოქმედება—დრამა ირეთელისა.

3.

„ქრისტინე"

მეოთხე მოქმედება—დრამა მისივე.

მონაწილეობენ: ქ-ნი ანკარა, ვ. გუნია, რესპ. სახალხო არტ. ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, ვ. მინდიაშვილი მარკოზოვი, გ. ანაშვილი და სხვანი.

4.

საზეიმო სხდომა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივი.
ბილეთები თეატრის სალაროში. საიუბილეო კომიტეტი.

ნ. 21 ნ. 3—1.

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს 12 ნოემბერს

სეზონის გახსნა

უ. შექსპირი „ჰამლეტ"

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა. მუს. ჩაიკოვსკისა. მხატვარი ირ. გამრეკელი. ორკესტრი ახალ. მუს. საზ-ბის.
დირიჟორი გველესიანი. რეჟისორი ივ. პატარიძე.

ნ. 209 3—3.

სახელმწიფო ოპერა

დღეს 12 ნოემბერს

ურიის ქალი

პარასკევს 13 ნოემბერს

დაისი

ზ. ფალიაშვილის

2—1 ნ. 218

გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

აცხადებს, რომ 1 ნოემბრიდან დაწესებულია განცხადებებზე შემდეგი ტარიფი:

1. სტრიქონი წონპარელით ტექსტის ბოლოს . . . 40 კაპ.
2. ტექსტში ორჯერ მეტი . 80 კაპ.

განცხადებებს იღებს გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა (რუსთაველის პრ. № 24) და რწმუნებულები, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობები.

არავითარ საშუამავლო კანტორებს და სარეკლამო ბიუროებს განცხადებების მიღების უფლება არა აქვთ.

0—1 მთავარი კანტორა.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი" (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი.

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—16

განათლების სახ. კომისარიატის

სახელმწიფო საბუღალტრო კურსები № 2
იოსებ გიორგის ძე ავალიშვილის

ხელმძღვანელობით აცხადებს,

რომ განახლდა თხოვნების მიღება ჯგუფებში ჩასაწერად

გამგის ბინა: დუშეთის ქ. № 19, საღამ. 5 საათ.
კურსებისა: დავითოვის ქ. № 25.

ა. წ. პირველ დეკემბრიდან გაზ. „სპარტაკის" ნაცვლად იწყებს გამოსვლას
ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის

ყოველდღიური გაზეთი

„ახალგაზრდა კომუნისტი"

(გადიდებული ფორმატით)

გაზეთს ექნება შემდეგი მუდმივი განყოფილებები:

1. სახელმძღვანელო ხასიათის წერილები კომკავშირის მუშაობის ყველა დარგიდან;
2. წერილები საბჭოთა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე;
3. ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა (კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა და ჩვენი მტრები საზღვარ-გარეთ);
4. ჩვენი კავშირის ცხოვრება;
5. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება;
6. პიონერთა შორის;
7. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა;
8. მეცნიერება და ტეხნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ხელოვნება, და სხვ.

თვითეული კომკავშირელი, ყოველი ახალგაზ. მუშა. და გლეხი, მოსწავლე, ახალგაზ. წითელ-არმიელი

უნდა იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთს

„ახალგაზრდა კომუნისტ"-ს

თვითეულმა ადგილკომმა, კლუბმა, ქოხ-სამკითხველომ და სკოლამ უნდა გამოიწეროს

„ახალგაზრდა კომუნისტი"

ხელის მოწერის პირობები:

	გაზეთი ღირს ქალაქად:	გაზ. ღირს ქალაქ-გარეთ:
1 თვით	— 70 კ.	— 75 კაპ.
3 „	2 მან. „ „	2 მან. 10 „
6 „	4 „ „	4 „ 20 „
1 წლით	8 „ „	8 „ 40 „

რედაქციის და კანტორის მისამართი: რუსთ. პრ., № 20, საქ. ახალგ. ლენინელთა კომკავშირის ცეკა—„ახალგაზრდა კომუნისტისათვის".

გაზეთზე ხელის მოწერა დაიწყება 10 ნოემბრიდან

პასუხისმგებელი რედაქტორი ვალ. [illegible]

ნ. № 202—4—3

„დარიალი"

გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „მნათობის" ალმანახი „დარიალი" № 1 შემდეგი შინაარსით:

	I.
პოეზია	დავით გაჩეჩილაძე. „გლეხი" „აბრიგი" კარლო კალაძე. „თბილისი" კონსტანტ. ლორთქიფანიძე. „მტკვარზე" გივი მდივანი. „მკის სიმღერა" ვარლამ ჟურული. „ელვის მონადირე" „მზიურიდე" „პალიასტომის ტბა" ნიკოლოზ ჩაჩავა „კომუნარი" სიმონ ჩიქოვანი „მყინვარი" დავით ცაგარელი „ზღვასთან" „ურბანული"
	II.
პროზა	კონსტან. ლორთქიფანიძე „სანაპირო" დემნა შენგელაია „გურამ ბარამანდია"
	III.
კრიტიკა	შალვა რადიანი „ლიტერატურა და პოლიტიკა" დავით ცაგარელი. (რონდელი) „ახალი ლიტერატურის გზები"
	IV.
უცხოური ლიტერატურა	ვლ. მაიაკოვსკი. „ღრუბელი შარვლით" თარგმ. ვ. ქ. ნ. ნიკიტინი. „თეთრი ტყე" თარგმ. დ. შენგელაიასი.

ალმანახი შეიცავს 209 გვერდს და ღირს 1 მან.

ნ. 217 1—1

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი

იწვევს

ტეხნიკურ-ინსპექტორის
თანამდებობაზე ინჟინერ-მექანიკს

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატში (მესანგრეთა ქუჩა № 30, მესამე სართული) curiculum vitae-ს და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ დიპლომის დართვით.

ნ. 220 1—1

ამიერ კავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან

იმის გამო, რომ მე-2 სოფლის მომგებიან სესხზე ხელისმოწერამ უკვე 2 ნახ. ჯერ გადააჭარბა გამოცხადებულ ჯამს, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, პირველად დანიშნულ ვადის შესაცვლელად

სესხზე ხელის მოწერა ყველგან სწყდება 12 ნოემბერს

იმ მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ ხელი მოაწერონ სესხზე უნდა დააჩქარონ ხელისმოწერა დღეს, დღის 3 საათამდე; ამ ვადის შემდეგ ხელისმოწერა ყველგან შეწყვეტილი იქნება.

ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებში, შემნახველ და საშემოსავლო-საგასავლო კასებში.

1—1 221

პირველ

სახელმწიფო

საბუღალტრო კურსებზე

ახალი ჯგუფის მეცადინეობა დაიწყება 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე. ვინც კანდიდატათ არის ჩაწერილი, ეხლავე უნდა წარმოადგინოს: 1) განათლების ცენზის საბუთი, 2) სწავლის ხვედრი გადასახადი ფული. საბოლოოდ ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე კურსების ბინაზე (კიცხოველის ქუჩა, ყოფ. ლორის-მელიქოვის № 12) საღამოს 7—8 საათ.

—:—

კურსების გამგე
მ. თაქთაქიშვილი

447 3—2

ბათომის ნავთსადგურის

სამმართველო ამით აცხადებს, რომ იცემა იჯარით გემი

„გეროი"

რომელსაც სჭირდება შეკეთება კაპიტალურად.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ სამმართველოს კანცელარიაში ყოველ დღე 9—12 საათამდე.

ნავთსადგურის სამმართველოს უფროსი სპრინკვლი.

ნ. 219 2—1.

თბილისის სასაკლაოებში

ხშირად შემოაქვთ შეკითხვები იმ გადასახადების რაოდენობის შესახებ, რომლებიც არის მიღებული ღორების ხორცის გასინჯვაზე მიკროსკოპით

სასაკლაოები ამით აცხადებენ დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ

სასაკლაო ახდევინებს

მიკროსკოპით გასინჯვაში ღორებზე ფუთში ცოცხალი წონით 24 კაპ. და გოჭზე თითო ცალში 10 კაპ.

2—2 960

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

გვინდა

გამდელი

ქართველი
ორი წლის ბავშვისათვის.
წყნეთის ქუჩა, სახლ. 6, ბინა 2.

448 2—2

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: საღამოობით 5—7 ს. შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7—8 ს. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ.

მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89.
(ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

ექიმი ნ. გ. ახვერდოვი

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

ექიმი ვ. ს. არზუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ჭლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №3.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 8. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ.

რუსთველის პროსპ. № 12.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალიხნინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ქ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

ექიმი ზ. ა. თარუმოვი

დაბრუნდა ახალთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1545, გიორგი ახალკაცის სახელზე. ჩ. გ.
464 1—1

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 51262, ნიკოლოზ იაკობის ძე ჟორჟაძის სახელზე. ჩ. გ.
465 1—1

დაიკარგა პასპორტი გიორგი ალექსის ძე გრიქუროვის სახელზე, ჩ. გ.
466 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი და პირადობის მოწმობა, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ამბაკო [illegible] სახელზე, ჩ. გ.
467 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი, სამხედრო კომისარიატის მიერ მოცემული № 546 გიორგი ბესარიონის ძე ნასყიდაშვილის სახელზე, ჩ. გ.
468 1—1

ტირაჟი—2.200
სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამა წულუკიძის ქუჩა № 4